



11

• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

ՀԱՅԿՄՈՂ

ԵՆՈՐՅԵՆԻ

1966



# საქართველო სენიონი

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
ქინო  
კაჩიბაქაძე  
ქოჯობაძე

საპარტვილო სსრ კულტურის სამინისტროს  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, თეორიული  
პოპულარიზაციის განყოფილება



•1966



თბილისი. 1966 წლის 1 ნოემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგული მდივანი ლ. ი. ბრეცხევი საკართველოს სსრ დროშაზე აბნევს მეორე ლენინის ორდენს. მარჯვნივ — ამხანაგები გ. ს. შოჭუაძე, ვ. პ. მკვახიანიძე, გ. დ. ჯავახიშვილი.

ფოტო გ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძის

სიკეთე

არ

მოეხალის!


ს

იკეთე არ მოეშალოს!...

ასე ვეუბნებით იმათ, ვინც ამის ღირსია.

ღირსი კი ისაა, ვინც სიკეთეს ყველასთვის სთე-  
სავს და ყველას გულმოდგინედ პატრონობს.

მერე ვინ არის ასეთი თავგადაც, საკუთარი გულწმინ-  
დობითაც რომ გვაჯერებდეს და იდეური მიზანსწრაფვი-  
თაც გვაიმედებდეს, პირადი შრომისმოყვარეობითაც გვან-  
თებდეს და თავმდაბლობითაც ერჩეოდეს, წინაპართა სა-  
ხელსაც უფროსილდებოდეს და შევირდობასაც არ თაკი-  
ლობდეს, ხალხისაგან სწავლობდეს და ხალხსავე არიკებ-  
დეს, ქვეყანას სასიკეთოდ წარმართავდეს და «ტაში დამი-  
კარის» ცდუნებას არ ეძლეოდეს. ბევრია ასეთი თავგადაცი?  
ბევრია!



სახეიშო კრება სპორტის სასახლეში

მათ შორის ისიც, ვინც საქართველოში ლენინური გულით ჩამოვიდა და ლენინიზმის სულით მოგვიდგა, თბლისში გვესტუმრა და მოგვხიზლა, მოსკოვს დაბრუნდა და აქ წანახით სხვაც მოხიზლა, გაგვიგო და გაუგებო, გვენდო და ვენდეო.

ვინ არის იგი?

ჩვენი საზოგადოების თავკაცი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ს გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი, რომლის ორმა დღემ საქართველოში უფრო მეტი კვალი დასტოვა, ვინემ ოცმა ბროშურამ თუ ორასმა სტატიაზე შეგობრობაზე.


ჩვენი დედაქალაქი სტუმართმცირობას ვერ დაემდურება. მაგრამ მაინც ცნანობთ, რომ დიდ ლენინს სა-

ქართველოში ჩამოსვლის საშუალება არ მიეცა. როგორ კი სწყუროდა, — ქართულ მიწაზე დასვენებას ლამობდა, განკურნებას ნატრობდა.

ორჯერ ინახულა თბილისი სტალინმა — ოცდაერთსა და ოცდაექვს წლებში — დაძაბული პარტიული საკითხების მოსაგვარებლად. უკანასკნელად კი 1935 წელს, ავადმყოფ დედასთან გამოსათხოვებლად.

ღიმილით ვისენებთ ზოგიერთის სტუმრობასაც...

საბედნიეროდ 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა ბოლო მოუღო სუბიექტივიზმს. ამიტომაც არის, რომ დაუფარავი გრძნობებით შევეგებეთ ლეონიდ ბრეჟნევის, რომელმაც სხვებთან ერთად უხმაუროდ დაგვიჩქარა მოძალეპული ვოლიუნტარიზმის თავიდან მოცილება.



ლ. ო. ბრეჟნევის ჩამოსვლა თბილისში. საქართველოს სსრ დელეგაციის მშრომელები გულთოდად ესალმებიან ძვირფას სტუმარს ლიტონ ზ. ჩხეტიანისა

1966 წლის ოქტომბერში კი თბილისსაც ესტუმრა, საქართველოს დამსახურებულად მოპოვებული ლენინის მეორე ორდენიც ჩამოუტანა და პარტიისა და ხალხის ასეთი ურთიერთგულუბნობა ყველა სამჭოთა ადამიანის ზეიმად აქცია. სწორედ იმავე სიორტის სასახლეში, რომლის აგებისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ახირებული მეთაურის საყვედური მიიღეს, ახლა საერთო მიზანდასახულებით მოღვაწე სტუმარ-მასპინძლები შეიკრიბნენ, გაწეული შრომა შეაჯამეს და გასაწევი დასახეს. ლენინის მეორე ორდენის გადმოცემა ჩვენი პარტიის პოლიტიბიუროსა და საქართველოს მშრომელების ძმური ხელჩამოერთმევის, სითბო-სიმტკიცის დემონსტრაციად იქცა. ყოველივე ეს ხალხმა, საქართველოს მთავრობამ და რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მაღალი იდეებისადმი რწმენითა და გარჯით მოიმაკა. ამიტომ შეხვდა საქართველო ზეიმით ბრეჟნევის ჩამოსვლას, ამიტომ გაუხსნა გული.

რატომ ვიგულებთ საიმედო მძად და ნამდვილ ხელმძღვანელად ლეონიდ ბრეჟნევი თბილისში?

იმიტომ, რომ საიმედო მძობა და ხელმძღვანელობა გაგვიწია მან მოსკოვში.

მჯერა, ყველამ გაიხარა, როცა მან მოსკოვში, ბოლშეაი გრუზინსკაიაზე დიდი ქართველის ძვლის ლენტეც გადაჭრა, ერთი გარჯით ბევრი რაული პრობ-

ლემის კვანძი გახსნა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკებელი ადამიანი ერთობლივი აზრით ამტკიცებდა. დიან, უებარი ძალა ჭქონია პატარა მაკრატელს დიდი გულის ადამიანის ხელში!

კიდევ რატომ ვიგარძენით ჭეშმარიტ მძად და ღირსეულ მეთაურად ლეონიდ ბრეჟნევი აქ?

იმიტომ, რომ მისი მხარდაჭერითაც გადაწყვედა რუსთაველის იუბილეს ბედი იქ. ეს გვითხრეს და ამას როდი დავივიწყებთ. წარსულის ერთი გენოსის პატივით მოხსენიებმა თანამედროვეობის მრავალი პრობლემის გადაწყვეტაში შეგვეშველა და სხვადასხვა შეხედულებათა ადამიანები ერთმანეთს დაუკავშირა. დიან, უებარი ძალა ჭქონია ერთ ბრძნულ გადაწყვეტილებას დიდი ადამიანობის იდეალის დასამკვიდრებლად მრავალმილიონიან სამყაროში.

რატომ მივიღეთ ერთგულ მძად და ნაცად წინამძღოლად ლეონიდ ბრეჟნევი საქართველოში?

იმიტომ, რომ იგი მთელი კომუნისტური პარტიის სახელით გვეწვია, ნდობა და სიყვარული ჩამოუტანა ქართველ ხალხსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. ეს კი მტკ ძალასა და ხალისს გვმატებს, ნაყოფიერი გარჯისა და თოსნობის უნარს გვიმრავლებს. რა დაგვაწივებს ვოლიუნტარიზმის ქამს, როცა იდეური ერთგულება წყალში გვეყრებოდა, შრომითი თვდადება ხელიდან გვეცლებოდა და ეროვნული სიამყე გველახებოდა, —

ვილცა რალცაზე გვიწყრებოდა და რატომღაც გვექადნებოდა.

რატომ მიგვიღო ლეონიდ ბრეჩენევიც თავის ერთგულ ძმებად საქართველოს შვილები?

იმიტომ, რომ — როგორც დიდი ილია იტყოდა, „ველს გული იცნობს“...

იმიტომ, რომ, როგორც ლეონიდ ილიას ძემ სთქვა: „საქართველოს თითქმის 500 ათასი შვილი — კომუნისტები, კომკავშირლები, უპარტიოები — იზრდოდნენ ფრონტზე“.

იმიტომ, რომ — „საქართველო მრავალდარგოვანი, თანამედროვე მრეწველობის რესპუბლიკა გახდა“.

იმიტომ, რომ — „საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებმა გაამრავლეს მისი დოვლით და შრომითი დიდება“.

იმიტომ, რომ — „რუსთაველი ქართველია, მაგრამ იგი მარტო საქართველოს როდი ეკუთვნის, რუსთაველი ეკუთვნის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხს“.

იმიტომ, რომ — „ყოველ ათას სულ მოსახლეზე 45 უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი მოდის“.

იმიტომ, რომ — „რესპუბლიკის მეცნიერებათა მიღწევები უზრუნველყოფდა მათს საპატიო ადგილს საბჭოთა მეცნიერებაში“.

იმიტომ, რომ — „ქართულმა ლიტერატურამ საუკუნეებში გამოატარა დემოკრატიზმისა და ნამდვილი ხალხურობის ტრადიციები“... „წარმატებით ვითარდება ქართული მუსიკა, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, კინემატოგრაფია“... „შორს, საქართველოს ფარგლებს გარეთ, აღიარებულია და სიყვარულით სარგებლობს ნიჭიერ ქართველ მწერალთა და კომპოზიტორთა, მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებები, ქართველ მსახიობთა და მუსიკოსთა სამემსრულებლო ოსტატობა“.

იმიტომ, რომ — „რესპუბლიკის შესანიშნავი მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმია“.

ამიტომ სთქვა მან: „დიდება საქართველოს მინდვრის მშრომლებს!“  
ამიტომ მოგვმართა პარტიისა და მთავრობის სახელით:

„ნება მიბოძეთ სოციალისტური საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, უძველესი და მარად ახალგაზრდა ქართული კულტურის

შესანიშნავი ტრადიციების გამგრძობლებს ვუსურბო ახალი დიდი წარმატებები მათს კეთილშობილურ შრომაში, რომელიც ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს დიდებასა და აყვავებას ემსახურება“.

დიას „გულს გული იცნობს“... მაგრამ დამსახურებულმა ქებამ არ უნდა გაგანებოვროს:

„ცხოვრება ყოველდღიურად გვასწავლის, რომ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები მყვირალა ფრაზები და კამპანიურობა, და რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა, იმის უნარი, რომ საქმიანად, დინჯად ვერცეოდეთ საქმის ვითარებაში, თავს არ ვიტყუებდეთ მაღალფარდოვანი სიტყვებით და რეალისტურად ვაფასებდეთ როგორც შესაძლებლობებს, ისე სიძნელეებს, როგორც წარმატებებს, ისე ნაკლოვანებებს. დაკვირვებულად, საფუძვლიანად მიყუდდეთ ყოველ პრობლემას — დიდსა თუ პატარას, გადაწყვეტილებები მივიღოთ ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, ვიცოდეთ ჩვენი საქმიანობის შედეგების კრიტიკული შეფასება, გულისხმობდა და ყურადღებით მოვეკიდოთ ადამიანებს — ასეთი უნდა იყოს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, და, უწინარეს ყოვლისა, ყველა ხარისხისა და რანგის ხელმძღვანელი მუშაკის მუშაობის სტილი“.

ასეც იქნება! საქართველოს შრომა და შრომკმედება დაუფსდა და ათმაჯად გამარჯვლოთ, — წარმოებაშიც ვასახელოთ და კომლენურებოშიც, პოეზიის ასპარეზობაზეც და ხელოვნების დარბაზშიც, — არსად არავის არ ჩამოვრჩეთ და არც სასაყვედურო ვაძქმევინოთ.

ასე დაიბედა ხალხმა თბილისში ჩამოსული ლეონიდ ბრეჩენევი და მანაც ძმადნათესაის დასტურად მიიღო ქართველობის ნაგულევი. ახლა კი თვითონ ნახახითა და გუულით განცდილი მტკიცედ დაუდასტურებს მთელს კომუნისტურ პარტიას, რომ საქართველო აშენებს მხოლოდ იმას და მხოლოდ ისე, როგორც ამას ლენინი გვიჩვენებდა და ჩვენი მრწამსი გვიკარნახებს.

კვლავადაც ასე გავსწოთ! — საერთო საკაცობრიო ვაკეთოთ და ქართული სულიც არ მოგვკლოთ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი განვამტკიცოთ და ეროვნული თვითმყოფლობაც არ დაგვკლოთ, — ისე მოვიქცეთ, როგორც ლენინიზმი მოგვიწოდებს, — ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის.

ამ რწმენით გააკილა ლეონიდ ბრეჩენევი თბილისმა.

ამ რწმენით ჩავიდა იგი მოსკოვში.

ამ რწმენით დაგრძოთ საქართველოშიც.

ამ რწმენით ვიცხოვრებთ და ვიშრომებთ საკუთარ მიწაზე.

საქართველოში სასიკეთოდ ჩამოსულს კი საქართველოს გართავს სიკეთე არ მოეშალოს, ხალხის ნდობა და მაღლიერებამ ადღეკრძოლოს, საკაცობრიო მოღვაწეობისათვის ძალდონე უმრავლოს და დიდხანს აცოცხლოს.



ქტომბერი — დიდი იდეების პრაქტიკული განხორციელების სათავე იქცა. ასე იყო 49 წლის წინ. ასეა ახლაც. ყოველი ახალი მოვლენა თუ წარმატება, რომლებსაც აღნიშნავს და მოიპოვებს საბჭოთა ხალხი, დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევისთვის გამარჯვებასთან, გაპირობებულია დიდი ლენინის უკვდავ იდეათა ტრიუმფით.

საბჭოთა ხალხი, როგორც ყოველთვის წელსაც მაღალი იდეურობითა და ორგანიზაციული უნარიანობით შეეგება ახალ, ორმხედამხებურ წელს, რომელზეც კიდევ ერთი წლით მიგვაახლოვა სახელმწიფო ჩემის, მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნაწივარი საუკუნის თავს.

დიდი და სახელმწიფო გზა ვანგო ჩვენმა ქვეყანამ, დიდი და სანაქებო ნაყოფი მოიპოვა კომუნისტების შეწებულმა საზოგადოებამ, მთელმა სოციალისტურმა სისტემამ, მსოფლიოს ერთ მივთხედზე მეტ ნაწილში რომ დამკვიდრდა და მსოფლიოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს მოიცავს.

უკვე უკან არის რევოლუციის პირველი წლები, როცა რუსეთის მუშათა კლასი ის იყო პირველი აგურს დებდა დიდი სოციალისტური სახელმწიფოს საძირკვლის ამოსაყვანად და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში საბჭოეთის არსებობის ყოფნა-აწყობის საკითხს გაუგონარი მსხვერპლის სახედურად სწყვეტდა დიდი მომავლის გასამარჯვებლად. პეტერბურგში გასროლილმა კრიკურ „ავრორას“ ზალპამ ნიშანი მისცა სოციალისტური რევოლუციის დასაწყისს და ზამთრის სსახლის იერიში მველი წესწყობილების მოსპობისა და ახალი საზოგადოების შექმნის სიმბოლოდ იქცა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ხალხს არასდროს დაავიწყდება „ავრორას“ ხმა, არ დაავიწყდება ისტორიას. ამიტომ მთი უფრო სადავლად იკითხება ვინმე კადრინის სტატია, რომელშიც ავტორი შეეცადა ეჭვი შეეტანა რევოლუციური კრიკურის რევოლუციის მხარეზე გამოსვლის რეალურ ფაქტში.

ავტორი არ დაუფიქრდა იმას, თუ რამდენად ატნალურად გაისმა მისი ჩხრეკა-ქეპა ფაქტობრივულ ანალგებში, რომლის მიზანია წაართვან ადამიანებს ყოველგვარ მაღალი და იდეური, დაავიწყონ ძველსა და ახალ თაობას რევოლუციური რომანტიკულობით აღსავსე და ისტორიული მკერბმტყველებით გამორჩეული გვირული შემოქმედებანი. კრიკურმა „ავრორამ“ და პეტერბურგის პროლეტარიატმა ერთსულუნად უპასუხეს ლენინის მოთხოვნას — დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ზამთრის სასახლის იერიში მთავრობით მთავრობის ჩამოსაგდებად, და რომ ეს ბრწყინვალე განხორციელდა, ამას ახლა საუკუოდ ვეღარავინ გახდის. მთი უფრო გასაოცარია კადრინის ვერსია, რითაც მხოლოდ მილიონთა უკმაყოფილება

და აღფიქრება გამოიწვია, ძველსა და ახალ თაობებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ რევოლუციის იგნორირება ხდებოდა არა მარტო რევოლუციის გარეგანურად, არამედ შესაძლოა მოხდეს ახლაც.

ამიტომ არის, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვან ისტორიულ ზეიშად ვიხდით ოქტომბრის რევოლუციის ყოველი ახალი წლისაივის შესრულებას, კიდევ უფრო გამამხნეველები და შთამაგონებელია იგი დიდი კომუნისტური მშენებლობის გასაშლელად, დასახული ლენინური მიზნის განსახორციელებლად, პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტებების გადასაწყვეტად, სიკეთისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად, სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად, მთელი სოციალისტური ბანაკის ერთობლივი წარმატებების გასამრავლებლად.

საბჭოთა ადამიანებს ახარებთ პროლეტარული რევოლუციის ყოველი ახალი წლისთავი. მთი უფრო ამფაშად, როცა საბჭოთა კავშირის შინაგანი და საგარეო მდგომარეობა არანახულად განმტკიცდა, ხალხისა და პარტიის მონოლითურობა კიდევ მეტად გამაგრდა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გზა გაუხსნა სინათლესა და იმედსწრაფვას, შემორტა და მოსპო ბიზნესულ და უიშელობა. რუსეთის ველებზე გაბატონებული სოციალური და ეროვნული უსამართლობა რევოლუციურ მუშათა და გლეხთა ერთობლივი შეტეებით მოისპო და ადამიანების შემოქმედებით თაოსნობას გზა გაუხსნა.

მაგრამ ამის მიღწევა ადვილი როდი იყო. რევოლუციის პირველსავე წლებიდან რევოლუციურ შემოქმედებას თავგანართმევი პრობლემები ეხატებოდა წინ. ჯერ კიდევ მძიმე, 1921 წელს ლენინი წერდა: „შეხედეთ რუსეთის სეს რესპუბლიკის რუკას. ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის როსტოვისა და სარატოვის საზრეთ-აღმოსავლეთით, ორენბურგისა და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით გადაჭიმულია თვალწინდენი სივრცე, რომელზედაც მოთავსდებოდა რამდენიმე ათეული დიდი კულტურული სახელმწიფო. და მთელ ამ სივრცეზე ნაშენებულია კულტურული სახეობა, ნახევრად ველებობა და ნაშვილი ველებობა კი“.

ლენინმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წარსულის სიმუხტლეს, სიბნელეს, ველებობას და მასების აზრისა და ძალების მობილესაივით რევოლუციური ნათელით გააშუქა უიმედობასა და ზედშავობას მიცემული რუსეთის დიდი და პატარა კუთხე, თვალწინდენი ტრამალები და ქალაქები, დაბეზი და სოფლები. ლენინური პარტიის მიზანწრაფვამ ფართო და ნათელ გზაზე გამოიყვანა ძველი რუსეთი და მასში შემავალი ჩაგრული ხალხები, მისცა ბრძოლისა და გამარჯვების რწმენა, დაუსხა მეცნიერულად გამართლებული სამოქმედო გეგმა და უკვე რამდენიმე წლის შემდეგ მიიყვანა პირველ გა-

მარჯვებამდე გარეშე და შინაურ მტერზე, პირველ შემოქმედებით წარმატებამდე სოფლის და წარმოების უზნებზე. ასლა უკვე მსოფლიოსათვის მისაბამ მავალითად იქცა ჩვენი ხალხისა და ჩვენი პარტიის გმირული შემართებანი, მისი დაუღალავი და თავმოუხრელი შეტევათი, ახალი, სოციალისტური საზოგადოების უთვალავი წარმატებანი, რომელთა რიცხვი უფრო იზრდება, რაც უფრო ემატება წლები ოქტომბრის რევოლუციის დიად თარიღს. ასლა უკვე მთელი მსოფლიოსათვის ნათელ ფაქტად იქცა, რომ ოქტომბრის რევოლუციის სამშობლოში „შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში განხორციელდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს ეკონომიური დამოუკიდებლობა და გადააქცია იგი მსოფლიოს მეორე სამრეწველო სახელმწიფოდ.

წარმატებით გადაიჭრა აგრეთვე სოციალისტური რევოლუციის მეორე ურთულესი პრობლემა — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ეს იყო ერთადერთი სწორი, ლენინის კოოპერაციული გეგმით დასახული გზა, რომ ტექნიკურად ჩამორჩენილი წერილსაჭინლური გლეხური მეურნეობანი გადაგვეყვანა მსხვილი მექანიზებული კოლექტიური მეურნეობის რელსებზე.

ამავე დროს საბჭოთა კავშირში მოხდა დიდი კულტურული რევოლუცია. იგი სოციალიზმის აშენების პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი რგოლი იყო<sup>14</sup>.

მაგრამ, კულტურული რევოლუცია როდი ნიშნავდა ყოველი ძველი კარგის უარყოფას. ლენინი მოითხოვდა, რომ შემოქმედებითად ავეთვინებინა წარსულის მემკვიდრეობა და ასალ, მაღალ საფეხურზე აყვანილი, ენიღებდა გვექცია. „გასრისილი კაპიტალიზმი ვერ გაგაძლებს. უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი, უნდა ავიღოთ, მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება, უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“<sup>15</sup>.

ბელადის ეს მითითება ჩვენმა პარტიამ და ხალხმა განახორციელა. განახორციელა იგი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფრონტებზე, მეცნიერებისა და კულტურის ყველა

ფართო მასების კუთხარაღის კაპიტალიზმი ვერ გაგაძლებს. უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი, უნდა ავიღოთ, მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება, უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“<sup>15</sup>.



თამაზ დევდარიანი

„შენ მოუკრეპა არ ეფებს, იგი თავისა მტერია“.

უბანზე. მიუხედავად სამოქალაქო ომით მოყენებული მიმიეზარალისა, დიდ სამამულო ომში ფაშისტების მიერ 70 ათასზე მეტი ჩვენი ქალაქისა და სოფლის განადგურებისა, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთიანობის წყალობით სოციალიზმის ქვეყანა დღეს კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე როდისმე. გასულ წელს 1940 წელთან შედარებით მრეწველობის წარმოება დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდა. 1966 წელს მიღებულია მარცვლეულის ყველაზე დიდი მოსავალი ჩვენი სახელმწიფოს არსებობის მანძილზე. შესაძენე ვად გაუმჯობესდა ვაჭრობა, უმაგალითოდ გაფართოვდა საბი-

ნათ მშენებლობის მასხლეტი, უმჯობესდება მოსახლეობის მომარაგება სასურათო და სამრეწველო საქონლით.

დიდი მიღწევებით ხდება დღმასწავლელ ჩვენი ხალხი კულტურის ფორტიფიკაცია. საბჭოთა კავშირის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 48 მილიონზე მეტი კაცი, ჩვენი ქვეყნის ყველა სახის ტექნიკუმებში — თითქმის 4 მილიონი და უმაღლეს სასწავლებლებში კი — 4,1 მილიონი კაცი. ეს არის მართლაც კომუნისტური საზოგადოების უდიდესი მიღწევა, რასაც ვერ შესძლებდა ვერც ერთი სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიური წყობის საზოგადოება.

ასეთივე დიდი მიღწევებით შეხედნენ ოქტომბრის რევოლუციის 49 წლისთავს ჩვენი მწერლები, თეატრისა და კინოს მუშაკები, მხატვრები, მუსიკოსები, სამშენებლები და მხატვრული შემოქმედების სხვა მოღვაწენი. საბჭოთა მასების კომუნისტური აღზრდის სულ უფრო ქმედითი ძალა ხდება ლიტერატურა და ხელოვნება. ამიტომ არის, რომ ლენინის პარტია უდიდესი პატივსცემილია და ყურადღებით ეკიდება მხატვრული ინტელიგენციის შემოქმედებას. ეს გამოიხატება მრავალ მაგალითში და კერძოდ იმ დიდ ყურადღებასა და პატივისცემას, რაც ასე თვალნათლივ გამოჩნდა საქართველოს მხატვრული ინტელიგენციის მიმართაც. როგორ შეიძლება ხაზი არ გაესვას 1954 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობას მთელი ინტელიგენციისათვის და კერძოდ ქართული მხატვრული შემოქმედების შემდგომი გაშლისათვის. ამ პლენუმის ბრძოლა გადაწყვეტილებების სულიერიველი უზრუნველყო გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ასე ბრწყინვალედ ჩატარება მთელს საბჭოთა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი თბილისსა და მისკოვში. შოთა რუსთაველის სახეობი დღეებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მეცნიერებისა და მწერლების ჩამოსვლამ კიდევ უფრო დააკვირა მშვიდობისა და პროგრესისათვის შებნობი ძალები, შეახვედრა ისინი მრავალი მაგიდის გარშემო, რათა ესაუბრათ და ფიქრათ შოთა რუსთაველის მაღალტანამიერ, თანამედროვეობისათვის მღვდელარე და ხელონდელი დღის გამამარჯებელი იდეების დასაცავად და გასაფრცხვლებად.

რუსთაველის დღეები საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური სოლიდარობის კიდევ ერთ ახალ და მჭერმეტყველ დემონსტრაციადა, საბჭოთა კავშირის მიმართ მსოფლიოს პროგრესული ძალების მეტი კონსოლიდაციის ნათელ გამოხატულებად იქცა. რუსთაველის 800 წლისთავმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა ჩვენი კომუნისტური პარტიის ფაქიზი დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი. იგი მხილება იმათი, ვინც „კულტურული რევოლუციით“ ხელს უშლის ჭეშმარიტი სოციალისტური კულტურის მიზნების განხორციელებას.

უბოლო დღეებში მისკოვში რუსთაველის ძეგლის გახსნა ჩვენი პარტიის ლენინური ერთობული პოლიტიკის თანმიმდევრულად, სწორად გადაწყვეტის ბრწყინვალე ნიმუშად იქცა.

და ბოლოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცვ-ს გენერალური მდივნის ანხანაკი ლენინდ ილიას ძე ბრენცერის თბილისში ჩამოსვლა იქცა ხალხისა და პარტიის

ერთსულოვნებისა და მონოლითურობის ბრწყინვალე დემონსტრაციადა. ყველამ, ვინც თავისი მთელი ნაწა და თავისი ყურთი მოისმინა საქართველოს სოციალისტური დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი მოვლენისადმი, ადვილად დარწმუნდება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საქართველოს კომუნისტური პარტიის სახით ერთგული მშობერი რაზმი გააჩნია, საბჭოთა მოაზრობის საქართველოს მშობიერების სახით თავდადებული და შემოქმედებითი შემართებით აღსავსე დამცველები და განმატკიცებლები ჰყავს.

ეს გამოიღონდა ყველაფერში, — საქართველოს სოფლისა და მრეწველობის საერთო მიღწევებში, მთელი მშრომელი მოსახლეობის ერთსულოვან მზადყოფნაში შემდეგშიც თავდადებით იზრომონ და იბრძოლონ საქართველოს X XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ეს გამოიღონდა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მზადყოფნაში, — კვლავაც მტკიცედ იმოღვაწეონ საბჭოთა სამშობლოს სადღეებლად, კომუნიზმის მშენებლობის დასაქმებულად, კაცობრიობის საბოლოო მიზნის მოსახლეობლად.

საქართველოს ხელოვნების მუშაკები ვალში არ რჩებიან სამშობლოს. ქართულმა კინოფილმებმა და მათ შორის „ჯარისკაცის მამამ“ მსოფლიოს ხალხებს სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა და ამით მთელი საბჭოური იდეების საქმესაც თავისი წვლილი შემატა. ქართულმა მუსიკამ და სამეცნიერებლო ისტატობამ კიდევ უფრო ამრავლა საბჭოური წყობილების მომხრეები უცხოეთში; ქართულმა თეატრმა ბევრი საინტერესო სიტყვა სთქვა, მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც წინააქვს; ქართულმა ჟორნალთაში უკვე მოაჯადოვა მსოფლიო და ხალხთა კულტურის საგანძურში დიდი საუნჯე შეიტანა. ჩვენებურმა მხატვრებმა, უფრო კი ჭეღურისნებმა არაერთხელ გაახარეს საბჭოელი მაცურებლები და ახლა ჯერ მიიღეს, რომ უცხოეთში მოყოლილ გამოყენებით უცხოეთშიც ალაპარაკონ კომუნისტური საზოგადოებრივი სისტემის სასარგებლოდ. ქართველმა მწერლებმა შორს გაუთქვეს ხელი მშობლიურ ლიტერატურას და რაც დრო გავა კიდევ უფრო მეტს იტყვიან ხალხთან სიხლოვეზე, მოგვცემენ ტოლოებს, რომლებშიც სწორად და სისლუსაყველ და ისხებმა მუნიზმის მშენებელთა ცხოვრება და ბრძოლა.

ჩვენი ხელოვნება და ლიტერატურა, მივლი მხატვრული ინტელიგენცია ერთ მიზანს ემსახურება — ახლოს იყოს მახებთან, კომუნისტურ მშენებლობასთან, ჩაუვრდებოდეს და განუშტკიცოს სიყვარული ძველსა და ახალ თაობას, განსაკუთრებით ჩვენს მომავალთ, იმათ, ვინც ახლაც მთელს მშენებითა და სიყვარულით, სიდიადითა და სიმტკიცით აცხადებს:

„ჩვენი თაობა არასოდეს გადაუხვევს ლენინურ გზას! ჩვენს თვითულ გულისცემას, ყოველ განვილილ დღეს, მთელ სიოცხლებზე ვფიცავ და ვაპყვიდროთ ქვეყნად კომუნიზმი!“

ამ მოწოდებას მისდევს მხატვრული ინტელიგენციის ძველი და ახალი თაობაც. ამ ფიცს იზიარებს ყველა ისინი, ვინც დღეს უკვე ააშენა სოციალიზმი და ისინიც, ვინც ხვალაც განაგრძობს ბრძოლას კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად.

# რუსთაველის ღვაწლი მოსკოვი



იდი ხანი არაა, რაც „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს სასწავლებელს გასცდა ახლა მას ყველაგან სიყვარულით და პატივისცემით ეგვიბებინა. მისი ავტორის სახელს ყველაგან მოწონებით წარმოთქვამენ და დიდებით მისაყვები.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროს ახალ აღმოჩენასავით მოედო ქართული ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების გენიის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ხალხთა ძიობისა და მეგობრობის აღმადარის, პოეზიის სწორუპოვარი რაინდის — რვაასი წლის რუსთაველის სახელი.

რუსთაველი უჭრობ კვლევებით ანთია ქართველი ხალხის გულში, რომელმაც მომთაბარე ბარბაროსი ხალხებით გარსემოხრებულმა, საუკუნეების განმავლობაში უამრავ ჭირსა და განსაცდელს გაუძლო და რაღაც სასწაულით გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას. დასაბუყობად დასაბუყობი მამამა დაიანური აღმოსავლეთი ციცილები და მასხვილით ანადგურებდა ქრისტიანულ საქართველოს, გაქრა უდიდესი ძეგლები, დაიწვა სახელგანთქმული თხზულებები. მაგრამ რუსთაველის გმირული სულით გამსჭვალვამა ქართველმა ხალხმა ათას ქარცეცხლში გამოატარა და კაცობრიობას შეუნარჩუნა მსოფლიო პოეზიის უნიკალური შედევრი — „ვეფხისტყაოსანი“.

დღეს კი რუსთაველი ყველა ერისა და ხალხის კუთვნილება გახდა.

სწორედ ამას გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანამა ანხ. ლეინინდ ლიას ძე ბრძენებმა, როცა საქართველოს მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოების აღსანიშნავ სასტიკო კრებაზე აღნიშნა:

„საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ამას გვლავ მოგვაგონებს დიდი პოეტისა და მთარგმნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაული. რუსთაველი ქართველი, მაგრამ იგი მარტო საქართველოს რდი ეკუთვნის. რუსთაველი ეკუთვნის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხს... საქართველოსთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს პოეტის სახელგანთ ეუბილეს“.

მაშინ, როცა ჩვენი სამშობლოს მიღმა ბნელი ძალები კვლავ გამშავებით თქვენ ხალხთა შორის მუდღსა და მტრობას, როცა ცდილობენ მსოფლიო ჩაითრიონ თერმოკატორული ომის ქარცეცხლში, რუსთაველი აღიმართება, როგორც კოლონისი ჰუმანიზმისა, და კაცობრიობის ნაიელი მომავლის გზაზე უღვარებას, როგორც სამართლიანობის, თანასწორობის, ერთობისა და მშვიდობის გენია.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი... იქნებ ვერც კი ითქვას იმაზე უკეთ, ვიდრე ჩვენი თანამემამულე ირაკლი ანდრონიკაშვილი მას თარიღთან დაკავშირებით წერდა, „ნედლობაში“:

„ერჯეს არ დაბადებულეთი კოლუმბი, რომელმაც შემდეგ ამერიკა აღმოაჩინა, არც კოპერნიკუს ვთქვა, რომ დღემანა და პლატეიტები მუის გარშემო ბრუნებოდნენ, რუსეთში არც კი გაგვიონათ ბათუ-ყაენის სახელი, ბერლინის ალაგას ორი მაჟია სოფელი იდგა, ჯერ არც „ღიათაბრიები კომედია“ არსებობდა, არც დანტე და რომში წმინდა პეტრეს ტაძრის აგებაამდ სამასი წელიწადი რჩებოდა, ლინდინელ ხელისიგებს ჯერც არ დაეწყოთ ბრძოლა დიადი ქართველსათვის, როცა რუსთაველ შოთას საქართველოში უკვი დაწერილი ქონდა პოემა „ვეფხისტყაოსანი“...“

რვაასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი მოველინა მსოფლიოს. ვადა, რომელიც იტებს ათი მოხუცის სიცოცხლეს; და დიდი ისტორიული ვადა, რომელმაც დიდიკა მრავალ თაობათა ბუდი; საუკუნეები, რომელთა განმავლობაში წარმოიშვა და აყვავდა ევროპის დიდი კულტურა, ამერიკისა და სხვა კონტინენტთა კულტურები; და კაცობრიობამ არანგულუბრებლად წინ წაიწია; და ამასთან ერთად ათობით და ასობით წლების განმავლობაში გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ომები, იცვლებოდა მსოფლიოს რუკა; და წარმოიშვებდა ახალი კლასები, ხდებოდა დიდი რევოლუციები, და მათ შორის უდიდესი — ოქტომბრისა; და მარქსისა და ლენინის გენიალური იდეები კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას აღნიშნავდნენ; მრავალსაუკუნოვან ტანჯვას გაუძლო რუსთაველის სამშობლომაც, „ვეფხისტყაოსანი“ კი ოცნებობს, ლექსის სრულყოფით ოცნებს ახალ პოეტებს, შინაარსის სიცოცხველითა და სიღრმით იტყვებს ახალ მკითხველებს... რვაასი! და როგორი რვაასი წელი!“

რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო იდეალების განხორციელების საკითხი განსაკუთრებული სიმზავითი წამოიჭრა ჩვენი ეთოქში. ამიტომ აქვს მას ასეთი დიდი მასშტაბის რეზონანსი ჩვენი პლანეტის უკეთესად აღმზინების გულში. ამიტომ აღნიშნავდა გაზეთი „პრავდა“ საიუბილეო დღეებში:

„გონებისა და გრძნობის განთავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლმა — შოთა რუსთაველმა შუა საუკუნეების ბჭოლეთში აღმართა ჰუმანიზმისა და კაცობრიუყარობის დროშა. პატრიოტიზმი და ხალხთა ძიობის უდიდეთა-წმინდა იდეალები, სიყვარულისა და მეგობრობის მაღალი გრძობა, გმირობა და მამაცობა, სიცოცხლის დამსჯელობითი ოპტიმიზმი — ეს არის მსოფლიო პოეტური ერისის შედევრისა — „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული სიმდიდრე“.

განა მარტო გაზეთთა-გაზეთი „პრავდა“ გამოიხმარა ასე გულთიდად მესხს ზელუქტის რვაასი წლისთავს. იმ დღისას-სოვარ დღეებში არ დარჩენილა ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი პრესის თითქმის არცერთი გამოცემა — ცენტრალური თუ რესპუბლიკური, საოლქო თუ საქალაქო გაზეთი, ლიტერატურულ-მხატვრული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, რომელსაც დირსეულად არ აღნიშნოს საიუბილეო თარიღი და არ აუხასოს „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის უდიდესი პოპულარობა. ყველა წერლობის, ყველა საზოგადო მოღვაწის, მწერლის, უცნაო ხელოვნისა და ხელოვნის გამოსვლას ლიტერატურა დასდევდა აზრი, რომელიც ასე გულწრფელად გამოხატა მოწინავე სტატიამი „ბაკინსკი რისორიში“:

„რუსთაველი საქართველოს შვილია, მისი ტალანტი, მისი ხალხის საუჯრეა. მისი პოემაც მშობელი ხალხის სიღრმისა, მაგრამ ეს სიღრეა გასაგები და მახლობელია სხვა ხალხებისათვის, ისინი მდგრან მას, როგორც საკუთარს, სანუკუნის, გულთან მიაჭეი თოქმის გმირთა გირ-ვაგამი და სიხარული, იმსჭვალვებან მათი ლითი ოცნებით, ზეიმობენ მათი გამარჯვებითა და ნათელი რწმენით.“

დაე, მარად გიზგიზებდეს პოეზიის ეს ცეცხლი! დეი, მიხმა შექმა გაუხათოს კაცობრიობას სიყვარულის, მეგობრობის და სიკეთის გზა!“

ქართველმა ხალხმა უდიდესი სულიერი აღმავლობით აღნიშნა თავისი გამორჩეული წინაპრის — გენიალური შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავი. საქართველოში დიდი ზეიმით ჩატარდა შოთა რუსთაველის ეუბილე, იგი სა-



ყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა და ჩვენი რესპუბლიკიდან ყველა მოძმე რესპუბლიკასა და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გადაინაცვლა.

ქართული პოეზიისა და ხელოვნების დეკადა გაიმართა მოსკოვში, ლენინგრადსა და რიანანში. საქართველოს წარ-

გზავნილები სასურველი სტუმრები იყვნენ ყველგან. პირველი დიდი საღამო 13 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვის პ. ჩინოვნიკის სახელობის საკონსერტო დარბაზში. შემდეგ შეხვედრები მ. ლომინოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეურნალ „დრუბა ხაროდვის“ რედაქციაში, პოლიტექსიკური მუზეუმის ლექტორიუმში, დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების კულტურის სახლში. ზეიმი მოსკოვი და მის საქართველებში ოთხი დღე გაგრძელდა. შემდეგ ქართველი მწერლებისა და მსახიობების ჯგუფი გამგზავრა რიანანში, სადაც გულთბილი შეხვედრები გაიმართა სერგეი ესენინის მშობლიური ქალაქის მშრომელებთან.

ორ დღე ჟღერდა ქართული ლექსი ლენინგრადში, საიდანაც შოთა რუსთაველის შემოქმედებითი ტრადიციების მემკვიდრეები ისევ მოსკოვში დაბრუნდნენ. აქ საქაიმი გორაკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა იუბილესადმი მიძღვნილი საგანგებო სამეცნიერო სესია. ქართველ რუსთაველოვებთან ერთად სესიაზე მონაწილეები წაიკითხეს მოსკოველმა მეცნიერ-ფილოლოგებმა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო სახლარგარეთული ლიტერატურის ცნობილი საბჭოთა მეცნიერის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის რ. სამარინის მოხსენება, რომელიც მან რუსთაველის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობასთან დაკავშირებულ საკითხებს მიუძღვნა.

1966 წლის 25 ოქტომბერი. მოსკოვი. დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი — „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩა, რომელიც ამ სახელს მეთვრამეტე საუკუნიდან ატარებს. აქ აღიმართა დიდი რუსთაველის ძეგლი. არჩევიანი შემთხვევითი არ ყოფილა. ამ ისტორიულ ფაქტს თვით ისტორია განაპირობებდა.

სწორედ ახლანდელი „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის მიდამოებში მდებარებდა ძველი მოსკოვის ქალაქგარე სოფელი ვოსკრესენსკოე, რომელიც რუსთა მეფეს უბოძებია 1725 წელს, საქართველოში თურქთა ჯარების შემოჭრის შემდეგ, ორი ვაჭითა და სამი ათასი კაცისაგან შემდგარი ამალით მოსკოვს ჩასული ვახტანგ მეექვსისათვის. მალე მდინარე პრესნის ორივე ნაპირზე გაშენდა ქართული დაბები. ახლანდელი „გრუზინსკაიას“ მოედნის ადგილას აღიმართა საქართველოს მეფის სასახლე, ვახტანგმა სასოებით „თან წარიტანა“ მის მიერ 1712 წელს თბილისში პირველად დატარებული „ვეფხისტყაოსანი“ და მომზდურ მკერეთაგან ლტოლვილ ქართველთა კოლონიასთან ერთად რუსთა მიწაზე პირველად აქ დასახლდა რუსთაველიც.

აქ, „სადაც წინათ უცხოვრიათ, უმოღვაწიათ და უშრომიათ ქართველებს, სადაც გურამიშვილი ლექსების კითხვაში გაკვირებია პოეტ ჯავახიშვილს, სადაც საბა ორბელიანს თავისი იგავ-არაკები დამით სანთლის შუქზე უწერია, სადაც ქართველებს ქართული სიტყვით უდიდებითა და ქართული მხლით უსახელებიათ საქართველო“, მოსკოვის ამ ქუჩაზე — „ბოლშაია გრუზინსკაიას“ სკვერში აღიმართა ჩვენი სასიქაღლო წინაპრის ძეგლი.

ძეგლის გახსნა რუსთაველის საიურილეო საყოველთაო-სახალხო ზეიმის აპოთეოზი იყო.

დღის ოთხ საათზე აქ შეიკრება დედაქალაქის ათასობით მშრომელი — მწერლები, პოეტები, მსახტრები, მსახიობები, სტუდენტები, მოსკოვის საწარმოთა მუშები და მოსამსახურენი, მრავალი სტუმარი. საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აღმებით სახეიმოდ მორთული მიედნის მწვანე სკვერში დგას თეთრი ქსოვილით მობურული ქანდაკება. იქვე გვერდით, ყვავილეზში ჩაფულუ



მოსკოვი. 1966 წლის 25 ოქტომბერი. შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნა ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე.



შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი მოსკოვში, სიტყვით გამოდის პოეტი ნიკოლა ტახიონოვი

ტრიბუნაზე ადინა ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელუშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნავევი, ვ. პ. მთავანაძე, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი.

მათთან ერთად ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ თვალსაჩინო საბჭოთა მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი, საქართველოს სსრ დელეგაციის წარმომადგენლები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ლოლაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ი. ნ. ვეკუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში ი. დ. ართმელაძე, ძველის ავტორი — მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლეკუაძე.

მიტინგი გახსნა სკაპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ვეგორიჩევმა.

შესავალი სიტყვის შემდეგ მან სთხოვა მიტინგზე დამსწრე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს გაეხსნათ ქართველი სახლის ფიქრთა მპყრობლის შოთა რუსთაველის ძეგლი.

სკაპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლიონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ჩამოვიდა ტრიბუნიდან და ძველს მიუხსლოვდა. მას მკარატევი გამოვალსა რუსულ და ქართულ უროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ჯალ-ვაჟმა. ამხანაგმა ბრეჟნევა გადატრა წითელი ლენტეხი. მსრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიზნები. ჩამოვი-

ლა თეთრი საბურველი და გამოჩნდა წითელი გრანიტის კვარცხლბეზე აღმართული ბრინჯაოს ქანდაკება. კვარცხლბეკის წინა მხარეზე აწერია:

შოთა რუსთაველი

დიდი პოეტული პოეზია და მოაზროვნის

კვარცხლბეკის გვერდებზე წარწერილია „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“

„ვინ მოყვარეს არ ეძებს, იგი თავისა მტერია.“

სიტყვა ეძლევა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის-თავის იუბილეს მომწყობი სრულიად საქავშირო კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ნ. ს. ტახიონოვს. მან თქვა:

„დღეს დიდად აღფრთოვანებული ვართ! დიდებული პოეზიის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ამ შესანიშნავ დღეს, ჩვენ სახელოვან მოსკოვში, გაგხსენით დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის ძეგლი!“

აი იგი — უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი, თვითონ წარმოსდგა დღეს ჩვენს წინაშე, როგორც მისი საყვარელი გმირები, სამართლიანობის დამცველი. — რაინდის — ბოროტობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლის სახით!

იგი, რომელმაც საუკუნეების წინათ უმღერა ჰუმანიზმის ნაივლ იდეებს, საუკეთესო გრძნობებს. პროგრესული კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრთა რიცხვს მიეკუთვნება!

მისი დაბადების რვაასი წლისთავის აღსანიშნავად ზემი იმართება მთელ ჩვენს ქვეყანაში და სახლავარგაერთ, და ჩვენ უდიდეს სიხარულს გვანიჭებს იმის შეგნება, რომ საყვარულის, ვაჟაკობის, ერთგულების, ხალხთა მგობრობის მებოტის

ძველი ამიერიდან დაამშენებეს ჩვენს სახელოვან საყვარელ მოსკოვს!

ძველთაგანვე — ჯერ კიდევ კვივის რუსეთის ქაშს კულტურული ურთიერთობა იყო საქართველოსა და რუსეთს შორის, ეს ურთიერთობა მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა საუკუნეთა განმავლობაში.

შოთა რუსთაველის ძველი დღეს იმ ადგილას აღიმართა, სადაც განსაკუთრებით დაადასტურა დრომ ქართველი და რუსი ხალხების ერთობა. აქ თვით ადგილის სახელწოდებამ მოწამობს, რომ მოსკოვში ძველთაგანვე უცხოურადაა ქართველებს.

აქ საუკუნების წიხ უკვე გაისხოდა შოთა რუსთაველის შაირი, აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები და მწერლები. აქ შეადგინა ქართული სამეფოს აღწერა ცნობილმა ისტორიოგრაფმა ვახუშტიმ, აქ წერდა თავის ცნობილ იგავ-არატებს სულხან-საბა ორბელიანი, აქ ასახვდა ლექსებს ქართველი, რუსი, უკრაინელი ხალხების მეგობრობის შესახებ უმანძილზე პოეტური დავით გურამიძის ლექსები.

დღეს ეს უმანძილი კავშირის ყველა სახლის შვილები მშობლიურ ენაზე კითხულობენ შოთა რუსთაველის ლექსებს და ჩვენთან ერთად მისალმებიან კეთილ მეგობარ-პოეტს, როგორც თავის, მარად ახალგაზრდა თანამედროვეს! „ვინ მოყვარება არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“, — თქვა შოთა რუსთაველმა.

დღეს დიდ პოეტს მილიონობით მეგობარი ჰყავს, რადგან არ არის ისეთი კულტურული ადამიანი, რომელსაც თავის ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ აქვს ხელში პოეტების სიტყვის ეს მშვენიერი ძეგლი და არ ეგრძნოს მისი შთამაგონებელი ძალა!

და დაე, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა, დიდმა ძმამ და თანამედროვემ შოთა რუსთაველმა მარად გვიმღეროს რუსი და ქართველი ხალხების მძურ მეგობრობაზე და მისი ძველი იყოს მშვენიერი განსახიერება საბჭოთა კავშირის ყველა მოძიე ხალხის, ყველა კეთილი ნების ადამიანის მეგობრობისა, რომლებიც ერთი პოეტის კაცობრიობის მშვილობან განვითარებას ქსრუფვიან!

მოსკოვის მშრომელთა სახელთი სიტყვით გამოვიდა ლიხაჩოვის სახელობის სააკადემიოლო ქარხნის უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. კ. კოვრიაკა.

მიტინგზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტ აკადემიკოსი ი. ა. ბაშკინი.

შოთა რუსთაველი, — თქვა მან, — ჩვენს დიად წინაპართა იმ პოლადს გუთვნის, რომლის სრულუფლებიან მემკვიდრეებდაც გამოვაცხადეთ ჩვენი თავი. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მათი ნათელი იდეებით ვამოწმებთ ჩვენს საქმეებს, რომლებიც ისტორიამ დაგვაკისრა დიდი ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე.

შოთა რუსთაველი ჩვენს დიად წინაპართა იმ პოლადს აკავშირებს, რომელთა სახელს არა თუ მოწინებთ ვისინებოთ, არამედ თვალმინიებით ვუფროსობდებით, და შეუძლებინდა გვარად ვამრავლებთ და ვამდიდრებთ ტრადიციებს.

შოთა რუსთაველი ჩვენს დიად წინაპართა და წინამორბედთა იმ პოლადს გუთვნის, რომლებიც დღესაც ჩვენს თანამედროვეებად მიგაჩინა და ბრძოლასა და შრომაში ჩვენს გვერდით გვეკულებიან.

შოთა რუსთაველი ერთი იმთავანი იყო, ვინც მრავალი საუკუნის წინათ უძღვრა კაცობრივობის, მეგობრობის, ერთობის, თავისუფლების ზოგადკაცობრივ იდეალებს, რომელთა დამკვიდრებისათვის აი უკვე ნახევარი საუკუნეა ვიბრძვი.

შოთა რუსთაველი ერთი იმთავანი იყო, ვინც გვასწავლიდა, რომ ადამიანმა ფარ-ხმელი არ უნდა დაყაროს, სანამ კეთილი საბოლოოდ არ სძლევის ბრძოტს.

რვა საუკუნე, რვათა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ჩვენებთ შოავლი ისტორიული კატაკლიზმით, ურთულეს ეპოქებთან დავიკლებული ცხოვრებას ჩვენს პლანეტაზე. ახარსი წარსული ეპოქებიდა აოც ერთთან არ ყოფილა იგი ისე ახლოს, როგორც ჩვენს ეპოქასთან. როცა ცხოვრების პრაქტიკულ ამოცანებს შორის წაითიერა საკითხი იმ დიდი და ააღლენი იდეალების განხორციელებისა, რომლებზეც ოცნებობდა რუსთაველი და მასთან ერთად კაცობრიობის ბევრი საუკუნეუ-სი წაოთამბნენელი.

სწორედ აიტოტ ვამოხთ ამავად, რომ რუსთაველი ჩვენთანაა, ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად, ჩვენს ხხარდახხარ ბრძოლასა და შრომაში. ჩვენი საქმეების გახორციელებისას მხოლოდ დიდი პოეტის წინაა იდეალებით როდი ვივლიძვან-ნებლობთ — ისინი გვეხმარებიან ჩვენი ისტორიული მისიის შეარულებაში, ჩვენი ოცნების, ჩვენი იდეალების განხორციელებაში.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ არც ერთ სხვა ეპოქას არ გაუკეთებია იდებრი რამ, რამდენიც ჩვენმა გავადა, რათა დიოსუელად დაგვავსებინა რუსთაველის სიდიადე. და ეს ბუნებრივია და კახონზომიერია. ჩვეუ შარავანდღვით მუშავებთ რუსთაველის სახელი და მთელ მსოფლიოს თავცახით იგი სწორედ დიდი ოქტომბრის შვიდედ. საგულსხმთა ის ფაქტი, რომ რუსთაველის ძეგლის გახსნა ჩვენი დიადი ძქვევის დედაქალაქ მოსკოვის დავითხვა ოქტომბრის რევოლუციის ოროც-დათ წლისთავს, და რომ ეს დიდებელი ძეგლი აღიმართა რუსეთის მიწაწალაზე, მის მუავალბით, თხუთხტვივე ფრესხებ-ლიკის საერთო და ერთიანი ახამბოლის დედაქალაქში, ქალაქში, სადაც ცხოვრობდა და მარად იცოვლებს ახალი სამყაროს ფუძემდებელი და მასუწებელი — დიდი ლენინი.

ეს იმ ადამიანის ძეგლია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უსუსტმა სახლთა მკობრობასა და ძმობას. ეს იმ ადამიანის ძეგლია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უმღერა ჰუმანიზმი და კაცობრივკაცობის იდეებს. ეს ძეგლი საბლიერი შთამომავლობის ხარკა დედამიწაზე ყველა ადამიანის თანასწორობის დიდი მებოტისადაში.

მიხივნი დამაბრდა. ორგესტილი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კიმნს.

მონუმენტს ანკობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, დედაქალაქის მშრომელთა გვირგვინებით.

იმვე საღამოს სსრ კავშირის დიდ თეატრში თავი მოიყარეს ლიტერატორებმა, მეცნიერებმა, სასოფადობებრიობის წარმომადგენლებმა. სცენაზე, სადაც ქართველი მგისინს ზუსრმა-ზარი პორტრეტება, ადგენებს იკავებენ მსოფლიო საბიბლიოე კომიტეტის წევრები, მოსკოვლი და ქართული მწერლები, სტუდნები.

საუბიო სხდომას დაესწრნენ ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელოვი, მ. ა. სულოვი, ა. ნ. შტაუბინი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მუჟანაძე, დ. თ. უსტინიოვი, თ. დ. კულაჰოვი, ბ. ნ. ბონომაროვი.

საუბიო სხდომას დაესწრნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ლოლავიცი.

საუბიო სხდომას გახსნა სრულად საკავშირო საბიბლიოე კომიტეტის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ნ. ს. ტხონიშვიმ. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის სახალხო დღესასწაული

შოთა რუსთაველის  
სახელობის პრემიის  
ახალი ლაურეატები  
მიქოლა ბაჟანი და  
ნიკოლოზ ტინოზოვი



მსოფლიო მნიშვნელობის დიდ მოვლენად გადაიქცა, რომ რუსთაველმა შეადო თვითიველი სახლის კარი, როგორც ძვირფასმა სტუმარმა, რომ იგი ცხოვრობდა ბუნებრივი ცხოვრებით, როგორც ძველი მეგობარი, როგორც მარად ახალგაზრდა თანამედრვე.

„ვეფხისტყაოსანი“, — თქვა ნ. ს. ტინოზოვმა, — ხობაბა სიყვარულისა და მამაცობისა, რომელმაც გაუძლო საუკუნეებს და მისი შემქმნელი კაცობრიობის ერთ-ერთი მარადიული თანამეზავრი გახდა. მისი პოემის გმირები — ინდოელი ტარიელი, არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი მძაღდაფიციები გახდნენ, მათი სახეები დღევანდელ ადამიანებს მოგაგონებენ ისეთ საოცარ და უშრეტ ძალს, როგორცაა ხალხთა მეგობრობა...

და ეს პოეზიის შუქურა, სიყვითისა და სიმართლის ჩირადღანი, ჩაიბარა განათლებულმა მსოფლიომ, რათა მომავალ თაობებს გადასცეს სინათლისა და სითბოს მარადიული წყაროს ჩაუქრობელი ლამპარი!“

ვრცელი სიტყვიერ გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტს აკადემიკოსი ი. აბაშიძე. მან ილაპარაკა თუ რის საუფქველზე, რა ნიდადზე, რა სულიერ ატმოსფეროში იზა ეს დიდებული პოემა.

„რუსთაველმა დაავიწყებინა, — თქვა მან, — და უდიდესი ძალით გამოხატა ადამიანის ის დიდი იდეალი, რომელზეც შუა საუკუნეებში იმდენი სიყვარული და არა მარტო შუასაუკუნეობრივი, მხოლოდ იუნბა თუ შეეძლო. რუსთაველმა უსაზღვროდ განაწიდა ადამიანის სახელი და ბეგრად დაასწრო ევროპის რენესანსს...

და ჩვენ გვიჩანია, რომ რუსთაველის ჩწილიება არა მარტო ქართველობის, არამედ მთელი კაცობრიობის თრანსული და ღვიძლი კუთვნილებაა. იგრობელი თუ აზიელი, ამერიკელი თუ აფრიკელი ამ პოემაში უფრო მიტს აზოების, ვიდრე ბრწყინვალე ღმერთებად ჩამოქონილ რომანტიკულ რაინდულ ამბავს.“

შიმდგ სიტყვიერ გამოვიდნენ უკრანელი პოეტა, „ფიფისტკაისონის“ მთარგმნელი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ნ. ბაჟანი, ყაბარდო-ბალყარეთის პოეტა კ. ყილოვი, სომხი პოეტესა სილა კაკუჩიანი, პოლონელი პოეტა-მთარგმნელი იჟი ზაკურსკი, ცნობილი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ირაკლი ანდრონიკაშვილი.

„1917 წლამდე „ვეფხისტყაოსანს“ ძირითადად ქართველები კითხულობდნენ, — თქვა ირაკლი ანდრონიკაშვილმა, — რუსეთში მის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით თუ ეცნენ და სიმბოლურია, რომ მისი პირველი თარგმანი რუსულ ენაზე რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. ნახევარი საუკუნეც კი არ გასულა და რუსთაველის პოემას მთელი მსოფლიო იცნობს. აი რატომ ეცნობება პოეტის ეს იუბილე ჩვენი სახელმწიფოს მომავალ ნახევარსაუკუნეოვან იუბილეს“.

საზემო კრების დამასპსტორების გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატები.

რუსთაველის დღეებში, მოსკოვში ნათლად იგრძობოდა, რომ დიდი მგოსნის იუბილე, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამოები, რომლებიც კულტურის დიდ დღესასწაულად გადაიქცა, ნამდვილად იყო კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა კავშირის ხალხების მშობა-მეგობრობის ტრიუმფი. გარდა წარდა გაუთი „კომუნისტები“, „სწორედ ამ დიად მეგობრობას ზემობდა ჩვენი ქვეყნის დღაქალაქი, და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მოსკოვს თვითონ ესტუმრა პოეტთა ზონის უპირატესი შოთა რუსთაველი და თან ჩამოიტანა ქართული ხალხის პოეზიის ემზი და სიღამაზე, შუასიის ტემპი ჰანგები, გონებრივი და სულიერი საუწყანი...“

ამ მეგობრობისა და ურთიერ კულტურულ თანამშრომლობის შესანიშნავი დამასტკურებელი ფაქტია ისიც, რომ შოთა რუსთაველის სახელობის პირველ ლაურეატთა სახელები მიემატა საბჭოთა მწერლების ორი საუკეთესო წარმომადგენლის სახელი — გამოჩენილი რუსი პოეტისა და საზოადო მოღვაწის ნიკოლოზ ტინოზოვის და გამოჩენილი უკრანელი პოეტისა და საზოადო მოღვაწის მიკოლა ბაჟანის სახელები.

შოთა რუსთაველმა, კიდევ ერთხელ დიდი ეროვნული სისხარული მოუტანა მშობლიურ ხალხს, კიდევ ერთხელ ჭეშმარიტად დარაზმა ჩვენი სულიერი ძალითა და როგორც პოეტმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ თქვა: „რაც მეტი დრო გავა, კიდევ უფრო ახლოს მივა იგი შოთამოპოლობასთან: კიდევ უფრო მეტი ადამიანი გაიყნობს მას ჩვენი დიომიწაზე, კიდევ მეტად ჩაჟვადიბება მისი აზრის, მისი ლექსის იდე ყველს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. რაც უფრო გავა, საი უფლასათვის უფრო ახლობელი გახდება“.



საპარტიო-სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სსრ შიდა-საგარეო საკითხების განყოფილება და მინისტრთა საბჭოს საჯარო სხდომა საპარტიო-სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სსრ შიდა-საგარეო საკითხების განყოფილება და მინისტრთა საბჭოს საჯარო სხდომა



## საგარეო საკითხების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

სსრ კავშირის მფარველთა კავშირისა და  
საპარტიო-სოციალისტური პარტიის  
გამართლების პლენუმის მონაწილეებისათვის

საბჭოთა მწერლები, რომელთა ერთსულოვანი მრავალეროვანი ოჯახი შეიკრიბა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგებობათა გაერთიანებულ პლენუმზე, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქიდან გულწრფელად და გულითადად მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მომხმე ქართველ ხალხთან ერთად ჩვენ პატივისცემით აღვნიშნავთ სიტყვის უდიდესი ოსტატისა და გამოჩენილი მოაზროვნის შოთა რუსთაველის იუბილეს, რომელმაც მრავალი საუკუნის წინათ უმღერა ჭეშმარიტებისა და ხალხთა მეგობრობის უკვადავ იდეებს.

ჩვენ, მეგვიდრენი და მცველნი ყოველივე იმისა, რაც მოწინავე და უჭედილია წარსულის კულტურაში, ამავე დროს ახალი კომუნისტური სამყაროს მშენებელნი, დღეს აღვნიშნავთ სსრ კავშირის ხალხთა დიდ საერთო დღესასწაულს, რომლითაც მკაფიოდ გამოვლინდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება და ლენინის იმ ანდერძის განხორციელებას, რომ სათუთად ვეპყრობოდეთ კაცობრიობის კულტურის საგანძურს.

ჩვენი მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობის წინ ყოველდღიურად ვგრძნობთ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვას ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის, მწერალთა შემოქმედებით შრომის საუკეთესო პირობების შექმნისათვის, და მადლობელი ვართ ამ ზრუნვისათვის.

საბჭოთა მწერლები იყვნენ, არიან და კვლავაც იქნებიან კომუნისტური პარტიის თანამეწიენი მის დიად შემოქმედებით საქმიანობაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.



# ბენიის უკვლავება

შოთა რუსთაველის  
დაბადების 800 წლისთავის  
ჯიჩიი სეპარტეველური

**უ**ვიდასი წელიწადია, რაც ქართველი კაცი ამ დღე-ზე ოცნებობს, ოცნებობს მადლობა უთხრას თავის დიდ წინაპარს შოთა რუსთაველს, საქვეყნოდ, მთელი დედამიწის გასაგონად, რადგანაც ქართველ კაცს, ისტორიის მრავალ პარადოქსთაგან ერთ უდიდეს პარადოქსად მუდამ ის ამავეც მიაჩნდა, რომ ამ შვიდასი წლის მანძილზე მსოფლიო მნათობთა თანაგარსკვალავდში შოთა რუსთაველს მისი კუთვნილი ადგილი არ ჰქონდა მიჩენილი. ჩვენ კი მუდამ გვეგვროდა: ქართველ ერს რომ სხვა მისია არც ჰქონოდა ამ ქვეყნად, რუსთაველის წარმოშობით მოიხდიდა თავის ვალს კაცობრიობის წინაშე. — თქვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა — აკადემიკოსმა ირაკლი ავაშიძემ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს 30 სექტემბრის საჯირო სხდომაზე, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა.

შეიდასი წლის ოცნება ახდა! მშობლიურმა ერმა მთელი დედამიწის გასაგონად გამოსთქვა თავისი უსაზღვრო მადლიერება დიდი წინაპრის მიმართ და მისი ეს საამაყო განცდა გაიზიარეს მსოფლიოს ყველა ხალხის წარმომადგენლებმა, ვისთვისაც უცხო არ არის ადამიანის გონიერების, ნიჭიერების

სა და შემართების წინაშე მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობა, ვისაც თავის წმინდათა წმინდა მოწოდებად მიაჩნია მაღალი ადამიანური იდეალებისათვის, დედამიწაზე ყოველივე მშვენიერის დამკვიდრებისათვის ბრძოლა. ამიტომაც ხვდა რუსთაველის იუბილეს ასე ფართო გამომხატურება. და თუ დღემდე „ვეფხისტყაოსანს“ მრავალ ქვეყანაში და მრავალ ენაზე კითხულობდნენ, ამერიიდან იგი უსაზღვროდ ღრმად და კიდევ უფრო შორს გაიდგამს ალბათ ფესვებს.

შეიდასი წლის ოცნებას საარაკო ფრთამეხსმა სჭიროდა, რეაასი წლის იუბილარს ღირსეული შეხვედრა შეჰფეროდა. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მწერლებმა და ხელოვანებმა, ყველა პროფესიის ადამიანებმა, რომ იტყვიან, შეუძლებელი გააკეთეს, რათა შინაურებს თუ შოთას პატივსაცემად ჩამოსულ უცხო სტუმრებს თავი ეგრძნოთ „ცოცხალ ფორუმზე, ცოცხალ ზეიმზე, იმ პოეტის იუბილესზე, ვინც ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წყვილადში ყველაზე მაღალ კვარცხლბეკზე დააყენა ადამიანი, დაიცვა და ადიდა ადამიანი, ვინც დიდებული ბიძინ უძღვნა გონების განთავისუფლებას და მებრძოლი პუმანიზმის ჭაღვებში შეიდასი წლის შემდეგაც ჩვენს გვერდით დაღვა ჩვენს მრისხანე ეპოქაში“. (ირ. ავაშიძე).



დიდხანს და გულდასმით ემზადებოდა საქართველოს რესპუბლიკა ზეიმისათვის. ამ თარიღს მიეძღვნა ახალი ლექსები და მუსიკალური ნაწარმოებები, სექტაკლები და ფერწერული ტილოები, ქანდაკებები და გრაფიკული ილუსტრაციები, სამეცნიერო გამოკვლევები და ექსპედიციები... „რუსთაველიანა“ დამკვიდრდა ყველგან და ყველგან. მსგოვანი თუ ახალგაზრდა, დიდი თუ პატარა სიყვარულით და შთაგონებით იღვწოდა, რათა რითიმე გამოეხატა თავისი თაყვანისცემა და მადლიერება სულმნათი პოეტის მიმართ.


25 სექტემბერს, საიუბილეო ზეიმის დაწყების დღეს, საოცრად იერმეცვლილად, ქუმარჩტი დიდებულებით გამოიყურებოდა რესპუბლიკის დედაქალაქი. თბილისის ყოველი კუთხე, ყოველი კუნძული, მისი მისადგომები თუ მიედნები გასხვიოსნებელი იყო ახალი, შინაგანი შუკით. ყველგან იფრქვეოდა აფორიზმების სიბრძნე, ქუჩებში გამოსულიყვნენ ქართულ შემოქმედთა მიერ წარმოსახული რუსთაველისეული გმირები, დიდი პოეტის გამოსახულება გვიშურდა ქუჩებსა და მოედნებზე, საგამოფერო დარბაზების შესასვლელებთან თუ მაღალხეობის ვიტრინებიდან... ყველაფერს ეტყობოდა ქართველი მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორების, მებაღე-დეკორატორების მადლიანი ხელი, ფაქიზი გემოვნება და მაღალი ოსტატობა, უდიდესი სიყვარული და შთაგონება, ყველაფერი აღბეჭდილი იყო მკაფიო ეროვნული კოლორიტით, დახვეწილობითა და ღრმა შინაგანი აზრით...

ასეთი იხილეს თბილისი სტუმრებმა, ვინც პირველად გადავა ფეხი საქართველოს მიწას, უჩვეულოდ დიდებულად გამოიყურებოდა დედაქალაქი იმათთვისაც, ვინც ადრეც იცნობდა მას, მაგრამ ასეთი სხიფენილი ჯერ არ უნახას.

რუსთაველის სტუმრები კი ურიცხვანი იყვნენ. საიუბილეო

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ეწვივნენ დღევანდები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვანნი... დედაქალაქში ჩამოვიდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. ფ. შაურო, მოსკოვის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. პ. შაპოშნიკოვა. დელეგაციის შემაჯგნელობაში იყვნენ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ტ. სიზოვი და რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების მდივანი ფ. ვინიჩკოვი; ლენინგრადის დელეგაცია რომელსაც მეთაურობდა ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ნ. ბ. სიტოვი და რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის ობიექტის მომწყობი სრულიად საქავშირო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნიკოლოზ ტიხონოვი, ბორის პოლევოი, ოლეს გონჩარი, მიკოლა ბაიანი, მიხეილ ლეონინი, ოლექსა ნოვიციკი, პეტრე ბროფკა, ედვარდს მეველიაიტისი, რასულ გამზატოვი, ალექსი სურკოვი, ვეგენი ეგტუშევი, გიორგი გულია, ირაკლი ანდრონიკაშვილი, ვადიმ კოვენიკოვი, ლევ შეინინი, ალექსანდრე ჩაკოვსკი, დანიელ გრანინი, ბორის რიურიკოვი და მრავალი, მრავალი სხვა.

მრავალრიცხოვანი იყვნენ უცხოელი სტუმრებიც. მეგრე მათგანი ქართულად ესაუბრებოდა და მხედურ მასპინძლებს, ქართულად გვესაუბრებოდა პრესის ფურცლებიდან. მეცნიერები — ქართველოლოგები, „ფეხვისტყაოსნის“ სხვადასხვა



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახეობი სხდომა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ძალიან მადლობელი ვარ, რომ ს. წულაძემ ფრანგ ხალხს საშუალება მისცა შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას შრობიერ ენაზე გასცნობოდა. ამიტომ როგორც ფრანგი და როგორც ქართველოლოგი დიდ მადლობას ვუძღვნი მას.

სიხარულით ისე ვვლავა, რომ ვერ მოვახსენებ მთლიანად გადმოშეცა ჩემი შთაბეჭდილებანი, როგორც საქართველოზე, ისე ქართველ ხალხზე“.

პოლანდიელი ქართველოლოგი, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს ფოქტი პირველად როდი იყო საქართველოში. ერთ დროს იგი თბილისელ სტუდენტად ითვლებოდა. მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიაზე წარმოთქმულ პატარა სიტყვაში, რომლის ქართული ხელნაწერი — ავტოგრაფი ასევე გახუჭი „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა (№ 223, 30 სექტ.) ჰანს ფოქტი გულთბილად გვიხარებებს თავის შთაბეჭდილებას: „...თითქმის ოცდაათწლიანი წლის განმავლობაში თვალყურს ვადევნებ საქართველოს კულტურულ და მეცნიერულ განვითარებას, და ესეა, როცა სტუმრად ჩამოებრუნდი ჩემს საყვარელ თბილისში, სადაც ახალგაზრდობის დროს სტუდენტად ვსწავლობდი, აღტაცებული ვარ შესანიშნავი დაწინაურებითა და წარმატებით, რომელიც ყოველ დარგში გეტყობა — ნიჭისა და მუშაობის შედეგი“...

მრავალათასიანი ქართველი მეზიხველების, ტელმაყურებლებისა თუ საიუბილეო სიმპოზიუმების მონაწილეთათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენდა შოთას თვითული სტუმრის გამოხატვა. ავსტრიელი პოეტი ჰუგო პუბერტი, იაპონელი პოეტი იპეი ფუჯურო, რუმინელი მწერალი ვიქტორ კერნაზი, პოლონელი პოეტი იგორ სიკირიცი, ცნობილი ინგლისელი მეცნიერი — ჰერბერტ უილიამსონი და სხვები, უნგრელი მეცნიერი, ქართული ლიტერატურის საკვილესი მარტინ იმტანოვიჩი, ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი, მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი იულუს ასფელ და მრავალი სხვა მსმენელთა ფართო აუდიტორიას აცნობდნენ თავის შეხედულებებს შოთას განთავსებულ პოემაზე, მიუთხრობდნენ თავიანი თარგმანებზე, ქართულ შთაბეჭდილებებზე...

საიუბილეო ზეიშის პირველივე დღეს, 25 სექტემბერის თბილისში გაიხსნა დიდი გამოფენები. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მოვლი ტერიტორია და ცხრა პავილიონი დათმობი ეპიზოციას — „ქართული კულტურა“; პავილიონში „ქართული დამწერლობა და ლიტერატურა“ წარმოდგინებოდა იქნა ქართული დამწერლობა მეხუთე საუკუნიდან ჩვენს დღემდე. ცალკე პავილიონები დათმობი სხვა დარგებსაც: „სახვითი ხელოვნება“, „ხალხური ხელოვნება“, „კინოხელოვნება“, „თეატრალური-დვიორაკული ხელოვნება“, „მეცნიერება და განათლება“, „არქიტექტურა“ და სხვ.

გამოფენაზე შემეხველს გეგმება საქართველოს სახალხო მხატვრის რობერტ სტურუს ორი დიდი და ღრმა შთაბეჭდვაი პანო — თამარ მეფე, შოთა რუსთაველი. აქვე აღმართულია მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ ორიგინალურად გადაწყვეტილი კომპოზიცია, რომელიც გამოსატყავს „ვეფხისტყაოსანს“, ხალხის სიყვარულს ამ „ხელის-ხელ საგოგამების“ წიგნის მიმართ. ქართული სახვითი ხელოვნების პავილიონის შესასვლელთან დგამოი რუსთაველის მონუმენტური ფიგურის ავტორია მოქანდაკე დიმიტრი ყვიშიძე, ხოლო თამარ მეფის ფიგურია — ჯემალ ჯაფარიძე.

გამოფენაზე ფართოდანა წარმოდგინებოდა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება. ექსპოზიციანია გამოჩენილი ოსტატების — ურა ჯაფარიძის, ლადო გუდიაშვილის, დავით

ენაზე მთარგმნელები სიხარულსა და აღტაცებას გამოთქვამდნენ შოთა რუსთაველის სამშობლოში ჩამოსვლის გამო. ბირდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი გახუჭი „კომუნისტის“ ფურცლებიდან (№ 221, 28 სექ.) საკუთარი ლამაზი ქართული ხელნაწერი მოგვმართავდა:

„ძვირფასო ქართველებო, ძალიან ბედნიერი ვარ, და ჩემი მეუღლეც. პირველად ვხვდები თბილისს, პირველად ვნახავ ქართველ მეცნიერებს, რომელთა შრომები წვიკითხე. პირველად ვხვდები ქართველ ერს საქართველოში.“

გაუმარჯოს საქართველოს

რ. ლაფონი 24 IX 66“.

აქვე გამოქვეყნდა ლაფონის მოკლე ინტერვიუ, რომელშიც ნათქვამია: „მე და ჩემი მეუღლე აღტაცებული ვართ იმ მასინძობით, რაც მშვენიერ საქართველოში გავცივით. ქართული ვიცე, მაგრამ ისე ვარ ამ გულთბილი შეხვედრით აღუვებელი, რომ ვერჯერობით ვერ ვახსენებ ლაპარაკს. უკვე ორმოცი წელია ქართულს ვსწავლობ და ამ ზღაპრულ ქვეყანაში პირველად ვარ, ისე კი საფრანგეთში გამუშავებ და ვეცემ ქართველ ენათმეცნიერთა შრომებს. რამდენჯერმე წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“ ქართულად. ეს ნაწარმოები შესანიშნავი ქმნილებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაიცნოს ის დასავლეთის მიერლმა მოსოფლიომ.“

ფრანგმა ხალხმა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, რომელიც ბრწყინვალედ შესარულა სერჟი წულაძემ. იგი შესანიშნავად ფლობს როგორც თანამედროვე, ისე ძველ ფრანგულს. ს. წულაძე, ჩემი აზრით, გააკავა შეუძლებელი — რუსთაველი ლექსად ამაღლდა ფრანგულად და მას შეუნარჩუნა ორიგინალის ელერადობა. ეს კი უნებლესი საქმეა.“

თბილისი, 26 სექტემბერი. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმის სხდომა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში



კაკაბაძის, თამარ აბაკელიას, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, კორნელი სანაძის და სხვათა ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, ხოლო თეატრალურ-დკორატიულ განყოფილებაში — ირაკლი გამრეკელის, პეტრე ოცხელის, სოლომონ ვინსალაძის, სერგო ჭობულაძის, ფანანაოზ ლაპიაშვილის, ოსებ სუმბათაშვილის და სხვათა ესკიზები და მკვეტები. ქართული გრაფიკის, მოქანდაკეების კერამიკოსების, ქედურების ოსტატთა, არქიტექტორთა შესანიშნავ ხელოვნებაზე მეტყველებს პავლიონებში გამოფენილი მრავალრიცხოვანი ექსპონატები. მხატველი ეცნობა ქართული კინოხელოვნების მიღწევებს, მეცნიერებისა და განათლების მონაპოვრებს.

რესპუბლიკის საბჭოთა და უცხოელ სტუმრებზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ამ გამოფენამ.

„სასიკარი შთაბეჭდილებაა, ბედნიერი ვარ, რომ ვიხილე ეს უსაზღვრო მშენებრება“ — განაცხადა ფრანგმა ქართველოლოგმა რენე ლაფონმა.

„ამაზე უკეთესი გამოფენა არასოდეს მინახავს, თავისი მრავალფეროვნებით იგი მომაგონებს ენციკლოპედიას, რომელიც გინდა სამუდამოდ დაიხსოვოს“. (ქერარ გარდი ბეგია).

„პუშკინმა და ლერმონტოვმა შემაყვარეს საქართველო და გადავწყვიტე მეთარგმნა რუსთაველის პოემა. მე ვიცი საქართველოს ისტორია და მიხარია, რომ დღეს ამ გამოფენაზე ვერძნობ საქართველოს დიდებულ წარსულს, მის მდიდარ კულტურას“. (იპო ფუკურო იაპონია).

„ეს გამოფენა შოთა რუსთაველის იუბილეს დამამშვენებელი სამკაულია. მართლაც რომ განადიოხულია“. (გადი მსოგო კიევი).

„ასე მგონია დღეს ისე შემოვიარე-მეთქი საქართველოს ყველა კუთხე, შესანიშნავი გამოფენაა, ჩინებულად, ნიჭიერად, მშობლიური კულტურის და მეცნიერების დიდი სიყვარულით არის მოწყობილი. ეს განადიოხული სანახაობა რუსთაველის დიდების ღირსია“ — განაცხადა ნიკოლოზ ტიხონოვიმ.

ამავე დღეს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა გამოფენა „ყვლაფერი რუსთაველის შესახებ“. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, პირველი და ყველა შემდგომი გამოცემები... აქ თავმოყრილია ყველაფერი, რაც კი დაწერილია რუსთაველზე... ექსპოზიციაშია რუსთაველის მკვლევარი ქართველი მეცნიერების პორტრეტები, სსრ კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ენებზე „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მთარგმნელის ფოტოსურათები.

დამთავლიერებლებისათვის კვლავ დიდ ინტერესს წარმოადგენს სახელოვანი ქართველი მხატვრების მიერ 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერილ 750 წლისთავის საიუბილეოდ შექმნილი დასურათებანი — ორიგინალები, რომლებსაც ფართო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს უაზრავი დამოკვირდნ. ეს არის თამარ აბაკელიას, სერგო ჭობულაძის, ლადო გუდიაშვილის, ირაკლი თოიძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. აქვეა მხატვართა მიერ შოთას 800 წლისთავის საიუბილეოდ შექმნილი ახალი ნაწარმოებები.

საუბიო დღეებში პროფექტგანათლების კულტურის სახელში გაიხსნა ქართველ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნა 55 ავტორის 240-ზე მეტი, საიუბილეოდ შექმნილი ახალი ნაწარმოებები — „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, რუსთაველისადმი მიძღვნილი სუ-



შოთა რუსთაველის ძეგლის (ავტორი გიორგი თოძე) გახსნა ახალციხეში.

ათები, ჯანდაცობები და ჭედურობანი. მათ შორის საქართველოს სახალხო მხატვრების — ლ. გუდიაშვილის, ნ. კანდელაკის, ი. ვეფხვიძის, გ. მესხის ნამუშევრები. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ილუსტრაციები წარმოადგინეს მხატვრებმა — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. მანიაშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ნ. იანჭოშვილმა, ლ. ცუცქერიძემ, თ. გოცაძემ.

ექსპოზიციამა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ა. ვეფხვიძის დიდი ტილო — მრავალფიგურიანი კომპოზიცია „უკუდავების დასაწყისი“, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა თეატრალური კოსტუმების ესკიზების სერია, რომლის ავტორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თაყაძე. საინტიერსო ნამუშევრები გამოფინეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვრებმა ა. გიგოლაშვილმა, გ. გორდელაძემ, პ. დათეაშვილმა, მხატვრებმა — ბ. მანაგაძემ, ს. ლამბაშიძემ, ჯ. მირზაშვილმა, ე. მაყაშვილმა, მ. მიქელაძე-ბაგრატიონმა, თ. ფიცხელაურმა, ე. ბურჯანაძემ, გ. ვაშაკიძემ, ი. ყანაშვილმა და სხვებმა.

გამოფენაზე მონაწილეობა მიიღეს ხალხურმა ოსტატებმაც.

სამხატვრო სალონში დამთვალიერებლებმა იხილეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის რუსუდან ჯავრიშვილის პეიზაჟების გამოფენა, რომელიც მან ამ დიდ იუბილეს მიუძღვნა. ამ ნაწარმოებებში აღბეჭდილია შესანიშნავი ისტორიული ძეგლები, დაკავშირებული შოთას ეპოქასთან, ქართველი ხალხის წარსულთან. მხატვრის მაღალი ოსტატობა კვლავ გამოჩნდა ამ მომხილვად პოეტურ პეიზაჟებში.



სტუმრები ვარძიში

26 სექტემბერს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დარბაზში თავი მოიყარეს საბჭოთა და უცხოელმა სტუმრებმა, რესპუბლიკის შემოქმედებითმა ინტელეგენციამ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. გაიმართა სსრ კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა ერთობიანებული პლენუმი, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ვ. პ. მჭავანაცხე, პ. ა. როდონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ჭანუყვანაძე, გ. დ. ჯაფარიძე, ი. გ. ჩოგოვანიძე, მ. ი. კუჭავაძე, ა. ნ. ინაური, თ. ი. ლოლაშვილი, თვალსაჩინო საბჭოთა მწერლები, რესპუბლიკის ინტელეგენციის წარმომადგენლები. პლენუმი შესავალი სიტყვით გასსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მ. არკოვმა.


...„მშობის, მეგობრობის, მშვიდობის პათოსით გამსჭვალული რუსთაველის პოემა მხატვრული შემოქმედების უბადლო ნიმუშია. — აღნიშნა მან თავის სიტყვაში — რუსთაველი უდიდეს კეთილხაყოფიერ გავლენას ახდენდა და კვლავაც მოახდენს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე.

პოეტის დაბადების 800 წლისთავის ამ დაუვიწყარ დღეებში მის უკუდავ გენიას მართო ჩვენი ქართველი მეგობრები როდი ახსამენ ზოტბას. მის სახელს ალტაცებით წარმოსთქვამს ყველა საბჭოთა მწერალი. რუსთაველი თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა სამოცდაცამეტ ენაზე.

მომე ქართველი ხალხის დღესასწაული ყველა რესპუბლიკის, ყველა საბჭოთა ადამიანის დღესასწაულად გადაიქცა, რადგან რუსთაველი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის უძვირფასესი სამუშაოა“.

სიტყვით გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჭავანაცხე.

— ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მივესალმო ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს, — თქვა ამხ. ვ. მჭავანაცხე, — რომლებიც საქართველოში, რუსთაველის სამშობლოში გვეწვიებენ დიდი პოეტისა და მოაზროვნისადმი მიძღვნილ ზეიმთან დაკავშირებით, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სახელით




თეატრალურბულ

მხურვალე მადლობა გადავუხადო ჩამოსვლისა და ესოდენ დიდი ყურადღებისათვის“.

თავის ვრცელ სიტყვაში ამხ. ვ. მჭავანაცხემ ილაპარაკა რუსთაველის დიდ პოპულარობაზე მსოფლიოს ხალხთა შორის, აღნიშნა, რომ „რუსთაველი მახლობელი და ძვირფასია ყველასათვის, ვისთვისაც მახლობელი და ძვირფასია მეგობრობისა და მშობის იდეები, პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი თვადღებულე სამახურის გრძობა, რომელთა მგზნებარე მგოსანიც რუსთაველი იყო“. მომხსენებელი შეჩერდა საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებზე, მის მაღალ დანიშნულებებზე, ილაპარაკა ხალხის ცხოვრებასთან საბჭოთა ლიტერატურის კავშირის სისტემატურ განმტკიცებაზე.

„საბჭოთა ხალხს უყვარს, პატივს სცემს და ამაყობს თავისი მწერლებით, ისინი მიაჩნია თავისი საუკეთესო გრძნობების, ფიქრებისა და მისწრაფებების გამოხატეველებად, საუკეთესო ზნეობრივი თვისებების აღმზრდელებად, ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული იდეების მქადაგებლებად.





წარმოდგენა „ოდა რუსთაველზე“ სპორტის სასახლეში

სწორედ ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ დღეს, როცა აღვნიშნავთ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს, და კვლავ მივმართავთ „ვეფხისტყაოსანს“ — პოეზიის ამ მარგალიტს, — ჩვენ ვაცოცხლებთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას არა მარტო იმისათვის, რომ ჯეროვნად ვცეთ პატივი მას, არამედ იმისათვის, და ეს ყველაზე მთავარია, — რომ ყველაფერი დიადი და უკვდავი, რაც ხალხს შეუქმნია საუკუნეების მანძილზე, თვით ხალხს უნათებდეს გზას კიდევ უფრო მშვენიერი და ნათელი მომავლისაკენ!

სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. ს. ტი ხ თ ვ ი გამოდის მოხსენებით „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“.

„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით შოთა რუსთაველის იუბილე აღინიშნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, — თქვა მან — მოწინავე კაცობრიობა დიდად აფასებს ყოველ მშვიდობას, როცა ელოდება ხალხთა მეგობრობა, მშვიდობიანი ურთიერთობა კაცობრიობის გენიალური წარმომადგენლების დღესასწაულზე, წარმომადგენლებისა, რომლებიც გამოხატავენ ყველა თავისუფლად მოახროვნი ადამიანის საუკეთესო მისწრაფებებსა და იტყებებს, ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებებს“.

ღრმა ანალიზის შემდეგ ვრცელ და საინტერესო მოხსენებაში ნ. ტიხონოვა ილაპარაკა „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურ შემოქმედზე, პოემის უდიდეს ისტორიულ როლზე და ადამიანისათვის იმ მარად ახლებელ სანუკვარ იდეებზე, რომლითაც გამსჭვალულია ეს ბრწყინვალე პიეტური ქმნილება.

მოხსენება „შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ პლენუმზე გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ქლენტმა. ორატორმა უპირველეს ყოვლისა აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ დიდი გავლენის შესახებ ქართული ლიტერატურისა და ქართული ხალხის ცხოვრების მთელ შემდგომ განვითარებაზე. „რუსთაველი ჩვენ დროს ემხიანება არა ცალკეული მოტივებით, არამედ მთელი თავისი არსით, მთელი თავისი იდეურ სიმდიდრით, მთელი თავისი ესთეტიკურ მხატვრული მთლიანობით. დღეს „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროა...“

თანამედროვე ქართული ლიტერატურა დიდი რუსთაველის ტრადიციების უშუალო განმგრძობია. უწინარეს ყოვლისა ეს გამოიხატება ტრადიციისადმი ერთგულებით. საქართველოში არ არის პოეტი, თავისი საუკეთესო ლექსი რომ არ მიქმნდნას დიდი რუსთაველისათვის“ — თქვა ბ. ქლენტმა.

მღელვარედ, საინტერესოდ გამოვიდნენ პლენუმზე რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი მ. ალექსეევი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ბელორუსიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პ. ბროვკა, უზბეკის ყაზახი მწერალი-აკადემიკოსი ს. მუკანოვი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო მწერალი მ. იბრაგიმოვი, ლიტვის მწერალთა კავშირის მდივანი ვ. მქელაიტისი, უზბეკეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. შახიდოვი, სსრ კავშირის მწე-



„პარტიული კულტურის“  
გამოფენაზე. დამკვიდრე-  
ლობის სსრ საქართვე-  
ლოს სსრ სახალხო  
მხატვრის ლალო გუდ-  
აშვილის ტილოსთან  
„მოთა რუსთაველი“

თავმჯდომარე ბ. შინკუბა, ლენინური პრემიის მფლობელმა, დაღესტნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. ვაძუა-  
ტოვი, გაზეთ „პრავდის“ ხელოფენისა და ლიტერატურის  
განყოფილების რედაქტორი ნ. აბაღკინი, მაშინური პოეტი  
კ. მულოვიცი, კარელიელი მწერალი ა. ტიმოენი.

მაღალი შეფასება მისცეს რუსთაველის მემკვიდრეობას  
პლენუმზე გამოსულმა უცხოელმა მწერლებმა და პოეტებმა:  
ბულგარელმა პოეტმა ე. ბაგრიანამ, ინგლისელმა რო-  
მანისტმა ჯ. ოლდრიჯმა, ინდიელმა პოეტმა ა. პრი-  
ტანამა, ალჟირელმა მწერალმა ი. კატავემამ, ჩილიელმა  
მწერალმა ფ. კოლოანემ, ავსტრალიელმა პოეტმა დ. დან-  
ტონმა, „ფეხისტყაოსნის“ პოლონურად მთარგმნელმა  
ე. ზაგურსკიმ, პოემის ზეგრულ ენაზე მთარგმნელმა  
შ. ვერეშმა.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავ-  
შირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

27 სექტემბერს საბჭოთა და უცხოელი მწერლები, ჟურნა-  
ლისტები ახალციხელებს ეწვივნენ. აქ საუბრობითა ვითარებაში გა-  
იხსნა მოთა რუსთაველის ძეგლი (ქანდაკების ავტორი მოქან-  
დავე გიორგი თოძე, კონსტრუქტორები — სოლომონ რევი-  
შვილი და მიჩაინ ბახტაძე). მრავალათსიანი მიტინგი გახ-  
სნა პარტიის ახალციხის რაიკომის მდივანმა შ. გრძელი-  
შვილმა. სტუმრებს მიესალმნენ საშუალო სკოლის მოსწა-  
ლეები. სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავ-  
შირის მდივანი ბორის პოლევოი, ცნობილი იტალიელი  
მწერალი და მხატვარი კარლო ლევი, საფრანგეთის პენ-  
კლუბის თავმჯდომარე ივ. გარდონი, ინგლისელი ქრ-  
თველოლოგი დევიდ ლანგი, ვიეტნამელი მწერალი ჩი-  
ლანვიენი, ბულგარელი მწერალი დორი ვაბე, ეს-  
პანელი პოეტი რაფაელ ალბერტი, ინდიელი პრო-  
ფესორი სუნიტი კუმარ ჩატჯი, გერმანიის დე-  
მოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებათა აკადემიის ვიცი-  
პრეზიდენტი ალფრედ კურელა, უნგრელი მწერალი  
ტიმოტი დივიტი, ლიბანელი მწერალი და მეცნიერი მი-  
შელ ნუსახიძე.

ახალციხიდან სტუმრები ვარიშიაში გაემგზავრნენ, წვივი-  
ნენ ასპინძას, ხოლო შემდეგ ბორჯომს.

28 სექტემბერს რუსთაველის სახელობის აკადემიურ დრა-  
მატულ თეატრში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
საერთო თეატრები სესიაზე კვლავ მოიყარეს თავი საქართველოს  
და მომხმ რესპუბლიკების, აგრეთვე  
საზღვარგარეთის თეატრების მეც-  
ნიერებმა, ლიტერატორებმა და ქარ-  
თველოლოგებმა.

სესიის პრეზიდენტში არიან მთავ-  
რობის რესპუბლიკური საიურიდიკო  
კომიტეტის თავმჯდომარე, საქართვე-  
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-  
მჯდომარე გ. ვაძუაშვილი,  
საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტის მდივანი დ. გ-  
სტურუა, ჩვენი ქვეყნის თეატრისა  
ნო მეცნიერები, ლიტერატორები, სა-  
ღვარგარეთელი სტუმრები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა  
საქართველოს მეცნიერებათა აკადე-  
მიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხე-  
ლიშვილმა.

...საკუწრების განმავლობაში  
„ფეხისტყაოსნის“ სიბრძნე უნათე-  
და გახსნა ქართველ ხალხს. მისი ერთ-  
გულ მებობარი და მრჩეველი იყო  
ჭირსა და ლხინში, აძლევდა სულიერ

რალთა კავშირის გამგეობის წევრი, სომხეთის მწერალთა კავ-  
შირის პრეზიდენტის წევრი ბ. კაპუტიკიანი, სსრ კავში-  
რის მწერალთა კავშირის მდივანი, მოლდავეთის სახალხო პოე-  
ტი ა. ლუბანი, ლატვიის სსრ კულტურის დამსახურებული  
მოღვაწე პროფესორი ა. კარაულინი, ტაჯიკეთის სახალხო  
პოეტი მ. მირშაქარი, ყირგიზეთის სსრ ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწე მწერალი ქ. მალიკოვი, თურ-  
ქმენი მწერალი ბ. სეიტკოვი, ჩუვაშეთის სახალხო პოეტა  
ა. ხუზანგაი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეო-  
ბის წევრი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის

„პარტიული კულტურის“ გამოფენა საქართველოს სახალხო  
მეურნეობის მიღწევითა გამოფენის პავილიონში.





გამოფენა „ყველაფერი რუსთაველის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო სერათების გალერეაში.

საზრდოს, უნერგავდა ხვალინდელი დღის რწმენას. ამიტომ არის, რომ ქართველ ხალხს ასე უყვარს ეს უცვლადი პოემა.

რუსთაველი ჭეშმარიტად ეროვნული პოეტია, მაგრამ მისასალმებელი იდეალების მომდგრალიც არის, დიდი პუბლიცისტი და მოაზროვნეა. ამის გამო პოემა მსოფლიო კულტურის საუკეთესო ძეგლებს მიეკუთვნება. — თქვა მან.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მთავრობის რესპუბლიკური საბუნებისმეტყველო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილი მ. ა. მან ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა შეიტანეს პოემის მეცნიერული კვლევის, მისი მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეში.

მოსწენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ა. ბარამიძე — „მთა რუსთაველის შემოქმედება“, გ. წერეთელი — „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემის გამო“, გ. ჩუბინაშვილი — „რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნების ძეგლები“.

სიტყვა წარმოთქვა მწერალმა — აკადემიკოსმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა კ. ვახტანგურდიამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კონრადმა. ლენინგრადის მეცნიერებათა სახელთა სესიის მონაწილეებს შეესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ქვიციანიძე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მისასალმებელი ადრესი წაიკითხა ამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ლ. შტერნმა.

ბუტაპეტის უნივერსიტეტის პროფესორმა ც. ცეგელედმა თქვა: „რუსთაველის პოემა მოკლე ხანში ორჯერ ითარგმნა უნერულ ენაზე. ვამაყობ, რომ მისი ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორი იყო ჩვენი თანამემამულე მიხაი ზინი“.

ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული სესიის მონაწილეებს მიულოცეს კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ხ. ხ. სეანტონიო პორტუგალისმა, ქალაქ ოსლოს უნივერსიტეტის ლექტორმა კანს ფოქტმა, პოლონელმა ქართველოლოგმა იან ბარაუნმა.

30 სექტემბერს დილიდანვე თბილისში რუსთაველის მოედანზე ამართული დიდი პოეტის ძეგლი ყვავილებში ჩაიფლდა. აქ შეიკრიბნენ მშრომელთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, სტუდენტები. რეპროდუქტორებიდან გაისმა სიმღერები.

აქ მივიდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელ-

მძღვენლები: ვ. პ. მჭავანძაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუძიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწინძიძე, შ. ი. ტანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. თ. შაურო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცვევა, თვალსაჩინო საბჭოთა პოეტები და მწერლები, მოსკოვის, ლენინგრადის, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების დელეგატთა წევრები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, ქართველი მწერლების, მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომლების, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგატთა სახელით.

მთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დიდებულ დაგვირგვინებამ იქცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახეიშო სხდომა, რომელიც 30 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა.



მთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა ს. ვახტანგის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში



შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა პროფიტექგანათლების კულტურის სასლოში

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მჭავანაცძე, პ. ა. არღიონიძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგვაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაურო, შ. დ. კიკნაძე, თ. ი. ლოლაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. ფ. შაურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის კომიტეტის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს მომწყობი სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, რესპუბლიკების და ქალაქების დელეგაციათა ხელმძღვანელები, ცნობილი საბჭოთა მწერლები, მეცნიერები, რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზღვარგარეის ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწენი.

შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მომწყობი მთავრობის

რუსულანდ ჯავრიშვილის ნაწარმოებთა გამოფენაზე



კომიტეტის თავმჯდომარე, საკრთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მ. ა. მოსენებით გამოვიდა საკრთველის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე, პოეტი ავადემიკოსი ირ. აბაშიძე.

საუბრო სხდომის მონაწილეებს გულმოდგინედ მიესალმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

„ფეხსიტყვასანში“ რუსთაველმა უმღერა სიკეთეს, ცაცობრიობის თავისუფლებასა და ბედნიერებას, ადამიანთა და ხალხთა ძმობას, უმღერა სამშობლოსადმი ამაღლებულ სიყვარულს — აღნიშნა ე. ა. ფურცევამ თავის გამოსვლაში. — ყველა ეს იდეალმად თანამედროვეა, გასაგებია საბჭოთა ადამიანებისა და დედამიწის ყველა ხალხისათვის, რომლებიც მშვიდობისა და დემოკრატიისთვის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის იბრძვიან. რუსთაველმა ჩინებულად გამოხატა ეროვნული, რომელიც საკრთველომ შექმნა XII საუკუნისათვის. პოეტმა უდიდესი გავლენა მოახდინა ეროვნული ხასიათის შემდგომ ჩამოყალიბებასა და თავისი ქვეყნის განვითარებაზე, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის კულტურაზე“.

საუბრო სხდომაზე სიტყვებითა და მისალმებებით გამოვიდნენ რუსეთის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. ნ. სტოლოვი, ესპანელი პოეტი რაფაელ ალბერტი, რომელმაც წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მისალმება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გამო; უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. ტროცკო, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი პ. შაპოშნიკოვა, ნ. ს. ტიხონოვი, აღმინჯარდის მშრომელთა დელეგატების საქალაქო საბჭოს დამსაკომის მდივანი დ. ხრიტოფოროვი, გერმანელი მწერალი ანა ზეგერსი, ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ფ. კლიმოვი, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ს. სადიკოვი, ყაზახეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ა. შ. შარიპოვი, ცნობილი ინდოელი პოეტი და მეცნიერი სუნტიტკუმარ ჩატერჯი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. კ. ყურბანოვი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ი. დეჟინსკატი, მოლდავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. კოროჩანა, ულატივის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ი. სტრატუშანი, ინგლისის პარლამენტის წევრი, ცნობილი ინგლისელი მწერალი ემერსონი, ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი კ. კარაქაევი, ტაჯიკეთის სსრ კულტურის მინისტრი მ. ნაზაროვი, იუგოსლავიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მ. ბორი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ხაჩატრიანი, თურქმენეთის სსრ კულტურის მინისტრი კ. სეიტლიევი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. კლაუსონი, ჩარნო-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელი, მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე რ. ა. ახმეტოვი, დაღესტნის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ა. ჯეგე-

ნილი თავისებურებანი, იმ კულტურის შესანიშნავი სიმდიდრე, რომელიც საკრთველომ შექმნა XII საუკუნისათვის. პოეტმა უდიდესი გავლენა მოახდინა ეროვნული ხასიათის შემდგომ ჩამოყალიბებასა და თავისი ქვეყნის განვითარებაზე, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის კულტურაზე“.

რადიოვი, პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. გ. კუჩიევი, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჩ. ბ. უიანაევი, ჩეხი მწერალი ივანე სკალა, იტალიელი მწერალი და მხატვარი კარლო ლევი.

ზეიმის მონაწილეებს ქართულ ენაზე მიესალმნენ ბელგიელი მეცნიერი, ლუვეზის უნივერსიტეტის პროფესორი ქ. გ. ანტი, ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლანგი, ფრანგი მეცნიერი რ. ლაფონი.

დაბაზში მსხდომნი მუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობილ ვეტანამულ პოეტს, ვეტანამის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრს ჩ. ლანვიანს.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მზრომელთა დელეგაციების ხელმძღვანელებმა ქართველ ხალხს სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს.

ამვე საღამოს წ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენისან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საიუბილეო კონცერტი ქართველ ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა 1 ოქტომბრის თბილისის სპორტის სასახლეში გამართული თეატრალიზებული წარმოდგენა „ოდა რუსთაველზე“, რომლის დადგმა ეკუთვნოდა რესპუბლიკის სახალხო არტისტს არჩილ ჩხარტიშვილს, მხატვარი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ლითაინიშვილი, რეჟისორები — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნოდარ ჩხეიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გაიოხ ქართველიშვილი, მუსიკა-

ლური ხელმძღვანელი—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვახტანგ ფალიაშვილი, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანზორ კავსაძე.

შოთა რუსთაველის უზარმაზარი სკულპტურული პორტრეტი გამოიყვებოდა კონცერტის მრავალათასიან მონაწილეთა და მამყურებელთა ფონზე. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სიმფონიურმა ორკესტრებმა და გაერთიანებულმა გუნდმა პირველ ნომრად ო. თაქაი-შვილის „ოდა რუსთაველზე“ შეასრულა. საზეიმოდ ჟღერდა პოეტის სადიდებელი, ძმობისა და მეგობრობის ჰიმნი.

რუსთაველისა და თანამედროვე ეპოქების შემაინებს წარმოადგენდა კონცერტის დამდგმელების მიერ ღრმად მიფიქრებული და რეჟისორულად ძალზე შთამბეჭდავად, ფაქიზი გემოვნებით გადაწყვეტილი თვითეული საკონცერტო ნომერი. ყველაფერი რუსთაველზე, ყველაფერი, რაც კი კარგი შექმნილა ადრე თუ ახლა მის სახელობა, მის გენიალურ ნაწარმოებთან დაკავშირებით. ქართული ხელოვნების საუკეთესო ძალების, ინდივიდუალური შემსრულებლების თუ კოლექტივების გამოსვლა ჟენმარტი შთაგონებით და მაღალი მხატვრული ძალით გამოირჩეოდა.

საიუბილეო ზეიმის აპოთეოზად იქცა დიდი სპორტული დღესასწაული თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე, რომელსაც 2 ოქტომბრის გაიმართა.

საქართველოში ზეიმი დამთავრდა. დიდმა იუბილარმა თავისი მიწაწყლის სასღერებს გადაბიჯა. ახლა მას უკვე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, სხვა სახელმწიფოებში ეგებებიან.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის-თავის ზეიმი „ლოკომოტივის“ სტადიონზე



## ბათუ კრავიეშილი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი



ქველა მომღერალს, მიუხედავად მისი ხმის და სცენური ოსტატობის ხარისხისა, თანდაყოლილი ინდივიდუალური თვისებები გააჩნია. რა ბრწყინვალეც არ უნდა იყოს მისი ვოკალური მონაცემები, რა იმეო-ათი აქტიური ნიჭითაც არ უნდა იყოს იგი შემოქმედით, როგორ კარგადაც არ უნდა გახსნას მან ესა თუ ის ვოკალურ-სცენური სახე, თავისდაუნებურად ათასგვარ დეტალში მაინც გამოამჟღავნებს თავის შიშობას. დრამატული თეატრის მსახი-ობს შეუძლია მიაღწიოს სრულ გარდასახვას, რადგან მას სა-შუალება აქვს, გარეგნობასთან ერთად, შეიცვალოს ქცევა, ინტონაცია და შინაგანი არსი, ე. ი. მოლიანად იქცეს სხვად. ოპერის მომღერალი კი, რადგან მტკიცედ ზის მუსიკალურ ჩარჩოში, ამ მხრივ შეზღუდულია მუსიკის სპეციფიკის გარ-დევალი კანონებით; ამიტომ მომღერლისათვის უფრო რთუ-ლია სრული გარდასახვის მიღწევა. მსოფლიო საოპერო ხე-ლოვნების ისტორიაში თითქმის ჩამოთავილებულია მომღერ-ლები, რომელთაც შესძლეს ვოკალური ხელოვნების დრამა-ტულ ხელოვნებასთან შეერება.

საოპერო სპექტაკლი მაყურებელს შეუძლია მოისმინოს მრავალჯერ, დრამატულ სპექტაკლს კი, შედარებით, ხშირად არ ნახულობენ. ამის აბსოლუტურად საოპერო ფანის თავისე-ბურებაში უნდა ვეძიოთ; იგი მრავალმხრივი, მრავალფეროვან-ი სინთეტური ხელოვნებაა. ოპერაში მაყურებელი, შესაძ-ლოა, საორგესტრო ფაქტურამ გაიტაცოს, ან მომღერლის შე-სანიშნავმა ხმამ, ან მისმა სცენურმა მოქმედებამ, ან კიდევ მხატვრობამ. ამ მრავალს შემაერთებელ ხელოვნებას ხან-გრძლივი სცენური სიცოცხლე უწევია, მისი შემოქმედების ძალა მარადიულია.

ხალასი ნიჭის მქონე მომღერალი მსმენელს ჭეშმარიტი ოსტატობით გადაუხსნის გმირის შინაგან სამყაროს და ამით მას ღრმა ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. მაგრამ, როგორც არ უნდა გაამდიდროს მან ეს სახე, ერთი და იმავე როლის შესრულება ბოლოს მაინც მოსაწყენი, უინტერესო ხდება და მაყურებელიც მას უკვე აუღივლებდა იცებს. მსმენლის რე-აქცია უფრო მოქმედებს მომღერალზე; იგი გრძობს მსმენ-ლის ზისდამი გულგრილობას, რის გამო მასში შემოქმედებითი ცეცხლი ნელდება. ასეთ შემთხვევაში მომღერალმა უნდა გა-მოიცივლოს აპარატი, დროებით მოშორდეს შეჩვეულ გარემოს და ახალ გარემოცვაში გაანაცხვლოს.

ყოველი გამოჩენილი მომღერალი ხშირად მოგზაურობს ერთი ქალაქიდან მეორეში, რადგან ახალი გარემო ძალით ახლებურ დაძაბვას, ფანტაზიის გაღვივებას და შემოქმედები-თი ენერჯის გაცხოველებას იწვევს.

როცა კარუზოს სთხოვს მილანში დაბრუნება, მან უბასუ-ხა: „არა, გეთაყვა, მე ახლახან წამოვედი მანდედან და ერთი-ორი წელი კიდევ არის საჭირო, რომ ხალხს მოვინატრო“.

კარუზოს ეს სიტყვები მისი საშემსრულებლო გამოცდი-ლებით იყო ნაკარნახევი. მსახიობს მაშინ ედება შემოქმედე-ბითი ცეცხლი, როცა მაყურებლით სახეც დარბაზი მისი მა-გიური ძალის ქვეშა მოქცეული. რა თქმა უნდა, მხოლოდ დიდ აქტიურ ძალას შეუძლია იქონიოს მაყურებელზე ასეთი გავლენა, მაგრამ რაკინდა დიდი ნიჭით იყოს დაჯილდოებუ-ლი მსახიობი, მაყურებელი, თუ ძალიან ხშირად ხვდება მომ-ღერალს ერთსა და იმავე როლში, ეჩვევა მას და კარგავს მის-დამი ინტერესს.

მხოლოდ დიდ და მრავალფეროვან რეპერტუარს შეუძლია მაყურებლის დაინტერესება ერთი და იმავე მომღერლით. მიღწევა იმისა, რომ ერთსა და იმავე მაყურებელს უფარულ-მდმივად, ყოველთვის აღტაცებით გზავდებოდეს და აღელ-ვებდეს შენი შემოქმედება, მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებ-ბელიცაა.

მსახიობის მამოძრავებელი ძალა, მისი ოსტატობის ზრდის წყარო ხალხია: ამიტომ გრძნობათა განახლებისათვის — მა-ყურებელთა გარემოს განახლებაც არის საჭირო. უამისოდ კი ოპერის აქტიორი ჩლუნდება, ჰკარგავს საიხიბოს გრძნობას და სიმღერის გაიაფებული მანერით (გადამეტებული ექსტი-კულაცია და მიმიკა) ეგეროწოდებულ „შტამპში“ ვარდება. ამ საჭირობოროტო საკითხში მსახიობს ძლიერ ეხმარება რეპერტუარის მრავალფეროვნება, საწინააღმდეგო განცდათა სხვაობაზე აგებული ხასიათის სცენური განსახიერება. გარდა-სახვის ხერხებით მას შეუძლია ხაზი გაუსვას თავის გმირთა განმსახივებელ თვისებებს, რელიეფურად გამოიკვეთოს მათი სახეები.

ახალ გამოშახველ საშუალებათა შემწეობით ახალი ხა-სიათების ძირწვა მომღერალ-შემოქმედს ზრდის და მის შე-მოქმედებას ახალგაზრდავებს.

სიმღერის შემოქმედების ძალას მსმენელი ისევე ინდივი-დუალურად აღიქვამს, როგორც ინდივიდუალურია მომღერ-ლის ხმა. ზოგჯერ პირველხარისხოვანი ხმით მომღერალი ვერ ახდენს შთაბეჭდილებას მსმენელზე, ხოლო საშუალო ხარის-ხის ხმით კი ნამდვილ სიხარულს ანიჭებს მას. ამ „საიდუმ-ლოების“ ამოსხლა საშემსრულებლო ოსტატობაში და თანდა-ყოლოდ არტისტული ნიჭის სიმდიდრეში უნდა ვეძიოთ.

მომღერალს ნიადაგ უნდა ახსოვდეს, რომ თავისი ხმის სილამაზე, მოჭიბობა და ბეჭოვანი გამოშახველობა გამო-იყენოს გმირთა რთული ფსიქოლოგიური სამყაროს დამაყე-

რებელი განსახიერებისათვის. ოპერა „კოსტუმირებული კონცერტი“ ან არიების უბრალო შეკოწიწება და თანმიმდევრობა კი არ არის, არამედ ღრმა იდეებითა და ემოციებით მდიდარი დარტყა ხელოვნებისა, რომელშიაც კომპოზიტორი მთელ თავის შემოქმედებით ძალას აქსოვს.

საოპერო მომღერლის წინაშე უფროსად რთული ამოცანები დას. სცენაზე გამოსვლისთანავე, ფინალურ აკორდამდე იგი საოპერო ვანრის ურთულეს გარემოცვაში ექცევა. საორკესტრო პარტია „დაუნდობელი“ სისუსტით, (რომელიც დროის, რიტმისა და ტემპის უმცირეს ერთეულებს უსუსტ დაცვას მოითხოვს) მას მკვეთრად განსაზღვრულ ჩარჩოში აყენებს. საკმარისია მომღერალმა მათედი წამით დაიგვიანოს ან საკმარის ტემპს ოდნავ გადაუხვიოს, რომ გამორიყვის არე-დარევა მუსიკის მწყობრ მდინარეებში და საქმე ხიფათად მიიყვანოს, შესაძრეველ დასწოლს სექტეტკის მხატვრული დონე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საოპერო მომღერალი, მაშინაც კი, როცა ის სკამად კარგ „ფორამოშია“, ზედმეწივებით შესწავლილი, გააზრებული და ყოველმხრივ ათვისებული აქვს თავისი პარტია, სცენაზე მაინც ხმის ხმოვანების ხარისხს აქცევს უმეტეს ყურადღებას, მის სწორ, ძალდატანებელ მართვაზე ფიქრობს. ყოველთვის ეს მომღერალში არაჩვეულებრივ ნერვულ დაძაბულობას ქმნის, რისი ატანა ყოველ ადამიანს როდი შეუძლია. ამიტომაცაა, რომ ზოგ შემთხვევებში მომღერლები ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებითა და მოხდენილი სცენური გარემოებით იძულებულნი ხდებიან დატოვონ საოპერო სცენა, რადგან ვერ უძლებენ მასთან დაკავშირებულ სისტემატურ ნერვულ დაძაბულობას, მომეტებულ მძლეფარებას.

იმისათვის, რომ ხმა შინაარსით აავსო, მისცე მას ცხოველყოფილი ძალა, საჭიროა სიმღერაში მინაწილებიდან სხვა ფაქტორებიც, როგორცაა ინტელექტი და ემოციები. რაციონალური საწყისი სწორ და უტყუარ მიმართება აძლევს ემოციებს; იგი განსაზღვრავს მხატვრულ ზომიერებასაც, ხელს უწყობს ნაწარმოების იდეური შინაარსის გასანას, აფართოებს აზროვნების მასშტაბებს. რაც შეეხება ემოციას, იგი სხვით მოსავს აზროვნებას, ადამიანურს ხდის მხატვრულ სახეზე და სისაფრეს ანიჭებს განცდას. ხელოვნის გარეშე უსულგლო, უმოცინო და უფერულია ხელოვნება. ასეთი მომღერალი მანკევენს ემსავსება, მისი მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებები უდიდამო და შეზღუდულია, მოკლებულია ყოველგვარ ამაღლებულობას.

იტალიური სკოლის (ბელკანტო) კლასიკური რაობა მარტო ხმისდმი აუერსით როდი შემოიფარგლება; ბელკანტოში შეზაგებულია სიტყვისა და სიმღერის თანაფარდობა.

იტალიელი მომღერლის სიმღერაში სიტყვა და მუსიკალური ფაქტურა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და ორივენი ნაწარმოების არსიდან გამომდინარეობენ. სწორედ აქედან იწყება იტალიური ვოკალის განმსოვადებელი თვისება, როგორც ოტალიური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მართებულ სახეობისა.

იტალიაში ვოკალური ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო ენის თვისებებმაც. იტალიური ენა მუსიკალური და

მღერალია. მასში თანხმება ბევრებს სჭარბობს ხმოვნები, რაც ენას ძალიან გამომსახველს, სიმღერისათვის მოხებზე-ბულს, მოქნილს და ქლერადს ხდის.

იტალიური ენის სიმწვენიერემ და მელოდიურობამ წარმოშვა თავისივე შესატყვისი ვოკალური მელოდია, შესანიშნავი იტალიური ხმები კი ულამაზესმა მხარემ, რბილმა აკავამ და გულუგზმა მზემ.

თეატრალური ხელოვნების განვითარების მანძილზე აქტიურულმა ტექნიკმა მრავალგვარი ცვლილება განიცადა. დღეს იტალიური მსახიობისაგან მოითხოვს ამა მარტო სიმღერას, არამედ სიმღერის საშუალებით გმირთა შინაგანი არსის გამოსახვაც. თუ ძველი იტალიური ბელკანტოს ბრწყინვალე ოსტატები მარტო სიმღერით და ამით გამოწვეული ემოციურობით კმაყოფილებდნენ, დღეს ეს უკვე საკმარისი აღარაა. XX საუკუნის მატურებელი მოიხიბვს როგორც მაღალხარისხიან ვოკალურ მონაცემებს, ისე როლის შთაგონებულ, გააზრებულ გადმომცემს, აქტიურის სრულ გადასახებას.

საოპერო სცენაზე პირველად ეს დიდი ისტორიული მისია შესარულა დიდმა რუსმა მომღერალ-მსახიობმა ფეოროდ შალიაპინმა, რომელმაც მანამდე „მდრადი“ საოპერო გამომსახველობა აამოძრავა, დრამატული სული შთაბერა და ქმედითი გახადა.

შალიაპინის უკვადება, მისი დიდი ნიჭის ძალა სწორედ იმაშია, რომ მან დაამხსერია საოპერო „შტამპი“, სიმღერას მისცა მტეტი აზრი, მხატვრული სახეები გაამდიდრა პლასტიკით, მიმოიტი, ხოლო თვითმყოფელი ეპიკური სიღინჯე გააზრებულ, მოქმედ სცენურ სიტუაცებში გააცოცხლა.

გენიალური რუსული საოპერო ქმნილებანი, — „ბორის გოდუნოვი“, „ფსუკველი ქალი“, „ალი“ და სხვა — შალიაპინამდე არსებობდნენ, მაგრამ მათი არნახულ მხატვრულ სიმაღლემდე აზიდვა მხოლოდ შალიაპინის გენიამ შეძლო.

შალიაპინისათვის, როგორც დიდი ხელოვანისათვის, ყველა საოპერო ნაწარმოები ადვილად დასაძლევია იყო. მის მიერ შექმნილი მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), დონ ბაუჩინო (როსინის „სევილიელი დალაქი“) და მეფისტოფელი (ა. ბოიტოს „მეფისტოფელი“), მსოფლიო საოპერო ხელოვნებაში შედევრებადაა აღიარებული. რუსულ ეროვნულ თარგებში კი იგი განუმეორებელია. შალიაპინი მუსიკისგან კონგენიალური ძალით აღრმავებს ბორისის ტრაგიკულ სახეს. ამით იგი დიდი მუსიკოს-მთაზრუნის ტემპარტიკი თანავეტორია. სწორედ ამაშია უდიდ და განუმეორებელი დამსახურება გენიალური მომღერლისა თავისი ერის მუსიკალური კულტურის წინაშე. და განა მარტო თავისი ერის? შალიაპინის შემდეგ ათეული თუ ასეული მომღერალი ცდილობდა მიახლოებოდა მის მიერ შექმნილ ტრადიციებს. და ვინც თავისი ნიჭით ახლოს შალიაპინის ღრმად გააზრებულ სახეებთან, ის ბედნიერია, გამარჯვებას ზეიმობს. შალიაპინი დარჩა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩება მსოფლიო საოპერო სცენის დღოსიტატად, რომელმაც თავისი გიგანტური ნიჭით მთელი რევოლუცია მოახდინა მსოფლიო საოპერო ხელოვნების რთულ და მრავალსაკუროვან ისტორიაში.

ხელოვანის სრულფასოვნება ყველაზე უფრო ეროვნულ ოპერებში მდევანდება. შალვახანის მაღალი ნიჭი, რა თქმა უნდა, სისხლსაცვდელ რუს კლასიკოსთა ქმნილებებში გამოიყვანდა. მის ბოროსი, მეწისქვილე თუ დღისთეთსი მშობლიური აზრისა და ეროვნული თვისებების მატარებელია. ეს გამირივე ახლოს იდგნენ მის ბუნებასთან, მშობელ მიწასთან, მისი ხალხის სულიერ სიმდიდრესთან.

როგორც მწერალი და პოეტი — არტისტიკ მესაიდუმლეა მშობელი ხალხის, არტისტიკ პოეტია; თუ მასში არ არის ხელოვნების მწვერვალებისაკენ მიწურაფება, თუ ის ჯეროვანად ვერ განძობს და ვერ გამოყოფს ძირითადს და მთავარს ნაწარმოების შესრულებისას, მაშინ ვერასდროს ვერ ავა სრულყოფილად. ნამდვილად აზრიანი მომღერალი ყოველ ფრაზას ისე უნდა აჩქურთიმებდეს, თითქმის ეს ფრაზები ახლა იბადება პოეტური მუსიკა დასესვენის მის გინებაში. კარგ მომღერალს მუსიკალურ მოვლენათა მხატვრულ-იდეური განზოგადების უნარიც უნდა გააჩნდეს. განა შეიძლება სვედიანი აზრებით გამსჭვალული ონების მონათესავე „И здесь мне скучно“ წაკითხვა ისე, რომ აქ არ იგრძნო გმირის სულიერ განწყობილებათა თავისებურება; ან იაკოს არიის შესრულებისას არ განიცადო მისი სასიცილო კრედი, რომელსაც იგი ასე სახიერად გადავიკვლიოს?

აქტიორი ყოფით საკითხებშიც უნდა ერევეოდეს, სახასიათო და ჟანრობრივი როლების განსახიერების დროს მას უნდა ესმოდეს ნუგარო, ზოგჯერ ობიექტურული ქვეყის დამახასიათებელი უნაწახები და აქტიორული ხერხებით ანსხვავებულს გმირთა ხასიათებს.

საიპოს არტისტი ვერების შესანიშნავი შემგარნობიც უნდა იყოს. ფერების სხვადასხვა დროს გეოგნებით გამოყენება ახალია და აცოცხლებს გმირის სახეს. მომღერლის ხმა არ შეიძლება ყოველთვის ერთი ფერით იყოს შეფერადებული. მოსაწყენი რომ არ შეიქმნეს, ტექსტის შესაბამისად, ხმას სხვადასხვა ფერებში უღვარავნა სჭირდება. მაგალითად, როდესაც შ. მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენაში“. გიორგი მეფის ვოკალურ პარტიას ვამზადებდი, დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, თუ III მოქმედების ფინალში როგორ მეძღვრა ერთ-ერთი მუსიკალური ფრაზა. როცა გაუბეურებელი და თითქმის დატყვევებული შორენა გიორგი მეფის წინაშე დგავდა ამხელს მას, როგორც მამამისის მკვლელს, გიორგი მეფე მას საუბრობს: „შენ დღეს მოკალი კაცი იგი, კაცი გიორგი, მაგრამ ცალკე დარჩა მხრანაშენი გიორგი მეფე“. აქ კომპოზიტორს ჩაინიშნული აქვს forte, მე კი ამ ფრაზის პირველ ნახევარს წარმოვთქვამ თითქმის ჩრქულად. აქ გიორგი გამორჩალია, მას არ შეუძლია ბერის ხმამაღლა წარმოთქმა, მას სურს გამოერყინება. გონზე მოვსლის შემდეგ გიორგი ისევ იბრუნებს ჩვეულ სიმშვილეს და მომდევნო ფრაზაც მკაცრ კონტრასტულ ქვერადობაში გადააქვას.

ა. კერეულიძის ოპერაში „ბაში-აჩუკი“ აბდუშაპილის როლს ვასრულებდი. აბდუშაპილის არიის დასაწყისი და ფინალ კომპოზიტორს მძაფრ დრამატულ ტონებში აქვს მოცემული. არაიში გმირი დასტირის მტრის მახვილით განგმირულ მშვენიერ ასულს, რომელიც აბდუშაპილს თავისი სატ-

რფო ჰგონია, სინამდვილეში კი მისი სატრფოს ტყუპისცალია. არიის ტექსტი ასეთია: — „შენ გაემგზავრე და სულ უცხო გზას დაადექი“. ამ სიტყვებს ვმღეროდი ნახევარ რეიტატივში, ჩამქრალი ხმით. არიის ბოლო ნაწილში, როცა არიისმის აბდუშაპილის მოთქმა, დრამატუზში კულმინაცია აღწევს და გოდებაში გადადის. ამ ნაწილში მე ვცდილობ ხმას თავი მოვეყარო და თავშეკავებულად გადმოვეცე გმირის მტანჯველი განცდები. ამ დროს ხმა უნდა მივაფიქვს მიიდან მოვარდნილ ნიაღვარს, რომელსაც წინ გზა გადაუღობს.

ვერდის ოპერაში „ტრავიატა“ (II მოქმედება) ვერმონის პარტიის შესრულებელთა უმრავლესობა პირველსავე მუსიკალურ ფრაზას მკაცრი ტონით იწყებს, რითაც თავიდანვე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ვიოლეტასადმი. ისეთი ფრანგი ბურჟუა-ინტელიგენცია, შევიდნენ მისიყვარულე მამა, როგორც ურჯ ვერმონია, არ შეიძლება სხვისი შევიოსადმი უხუში ყოფილიყო. ვიოლეტას მე მივმართავდი თავაზიანად, რბილი, თავშეკავებული ბეგრებით („ВЫ ЛИ ВНОЛТА В.А.ЛЕРН?!) მხოლოდ ნაწარმოებისადმი ასეთი დამოკითხვი შეიძლება გმირის ხასიათის მართებულად გახსნა. კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკა სხვადასხვა მომღერალს სხვადასხვაგვარად შეუძლია გაიგოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მუსიკალური ქარვა გმირის შინაგან არსს უნდა ემთხვეოდეს.

დიდი გატაცებით ვმუშაობდი გრიბოედოვის როლზე. მსურდა გრიბოედოვის სახით მაყურებელსათვის მეჩვენებინა პოლიტიკური მოღვაწე, პოეტი და ღრმად შეყვარებული ადამიანი. როლზე მუშაობის პერიოდში ხელმეორედ გადავიკითხე სათანადო ლიტერატურა, გავეცანი მის მიწერ-მოწერას და მნიშვნელოვანი ფაქტების აღმნიშვნელ წერილებს დეკაბრისტებთან. სულ მასსოვად ჰუშკინის სიტყვები: „გრიბოედოვი რუსეთში ყველაზე ჰუკიანი კაცი იყო“.

გრიბოედოვის, როგორც მოღვაწისა და პოეტის თვისებების გადმოცემის საშუალებას ტექსტი იძლევა I მოქმედებაში, ხლო მისი გრძნობების გამოვლენა, ნინოსადმი თავდავიწყებული სიყვარული ჩანს II მოქმედებაში და მეც ამას უფრო გავესვი ხაზი.

მოვიგონე გრიბოედოვის მიერ პეტერბურგში თავისიანები-სადმი მიწერილი ბარათი, რომელშიაც წერდა: „თუ გინდათ გაგიგოთ როგორია ნინო, ერიბიტაქმი ნახეთ მურილიოს მადონა“. ამ გრიბოედოვის წერილი ნინოსადმი: „ცოტა კიდევ და მე ჩამოვარდა საქართველოში, სამუდამოდ დავსახლებილი წინანდალში — ამ უღამასა წალკოტში“.

გრიბოედოვი — პოეტი ვაჩვენე სცენაში, როდესაც იგი წინანდლის წალკოტში ხვდება ნინოს და ლექსებს უკითხავს საქართველოზე.

ოპერაში „დაიხი“ კიაზოს ურემზე ლოცვისას მომღერლები ჩვეულებრივ სიძლიერით წარმართავენ ხმას. მე ამ შემთხვევაში ეჭვირობ, რომ უფრო გამოართვებულთა ლოცვა, ნამდვილი ლოცვა, ლოცვისა კი ადამიანი რელიგიური ზეგავლენის ქვეშ არის და ხმაც მიმქრალი უნდა იყოს.

აქ მე ხმას ვუხსნი ტემბრალურ თვისებებს, ვტოვებ მას სწორზაზვანს და „ჩამქრალ“ ხმოვანებაში გადამაყვას. ხმის ასეთი წარმართვა მას საკვლესიო გალობისმავარ იერს აძ-

ლეს, რაც მთლიანად ემთხვევა ზ. ფალიაშვილის ჩანაფიქრს. თანამედროვე დიდი გერმანელი რეჟისორი ფელზენშტიინი ამბობს: „მომღერალმა იმიტომ კი არ უნდა იმღეროს, რომ მას ლამაზი ხმა აქვს და სწავლობს სიმღერას, არამედ იმიტომ, რომ მან იგრძნო თავისი განცდათა დრამატული სიტუაციები. მან ემოციებით უნდა დაგვარწმუნოს იმაში, რომ მის განკარგულებაში გამოსახვის არავითარი საშუალება არ არსებობს, გარდა სიმღერისა“.

სტანისლავსკი წერდა: „ოპერაში საჭიროა არა მარტო კარგი ხმის მომღერალი, არამედ კარგი მსახიობიც. საჭიროა დრამატული დე ვოკალურ-მუსიკალური ხელოვნების თანაფარდობა“.

მომღერლის ხმის ელფერი, ემზი, ყოველი სუნთქვა, ყოველთვის უნდა ამტვანებდეს მის ეროვნულ თვითმყოფადობას. ამიტომაც, რომ მსახიობს, ისე როგორც პოეტს, კომპოზიტორს, ყველაზე უფრო მძლავრად თავის მშობლიურ ხელოვნებაში შეუძლია მთლიანად გამოამჟღავნოს თავისი შინაგან განცდათა სისუფვე.

მე მინახავს და მომისმენია ბევრი გამოჩენილი მომღერალი, მათ შორის რუსი, იტალიელი, ბულგარელი, ამერიკელი, რუმინელი, მიმღერია მათთან ერთად და აღმინიშნავს მათი სწორპოზირობა, თუმცა ყოველთვის მათი გამოხატვის მიზეზად ამიხსენია, რომ ყველა ისინი, მხოლოდ თავიანთი შიშობლივ რეპერტუარში არიან უბრწყინვალესნი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შალაიპინი უკვდავი და განუყოფრებელია იქ, სადაც ახლთა თავის ეროვნულ ხელოვნებასთან.

ასევე შეუდარებელი იყო ტიტა რუფო „რიგილენტოში“, კარუზო — „იდაში“, სოინიტი და ხოსლოვი — „ამენეი ონგინში“. შესანიშნავი იყო ხანავეი — აბუსალთაში, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ ავიდოდა ვანო სარაჯიშვილის სიმღელეში ამ როლში.

წარსულის უტყუარი მემბატანენი გადმოგვცემენ, რომ ბატისტინი რუსეთში გასტროლებზე ყოფნის დროს ონგინსაც მღეროდა. მაგრამ ვინაიდან ამ ოპერაში მას წარმატება არ ჰქონდა, მისი ანტრეპრენიორის მითითებით, ანტრეპტიმი იგი ასრულებდა ნაწყვეტებს იტალიური ოპერებთან.

ტიტა რუფოს ხმა სავსეა იმხანაობით, მაგრამ მას შეიძლება გასტირებოდა კიაზოს სულიერი სიმაჟინის სრულყოფილი გადმოცემა, ვერ მოენახა შესატყვისი შემართება კიაზოს ქართული ბუნების სრული გასწინსათვის და ვეჭვობ, რომ რომელიმე გამოჩენილ ქართველ მომღერალზე უკეთ ემშენა კიაზოს „სულთ ბოროტობა“.

ყოველ ხელოვანს დაულავე შრომა სჭირდება; შრომისა და ჯაფის გარეშე ნიჭი—ნიჭად რჩება და ვერასოდეს ფრთებს ვერ შეისხამს. ნიჭი გულისხმობს არა მარტო ვოკალურ და აქტივორულ მონაცემებს, არამედ დიდ მხატვრულ ზომიერებასა და მხატვრულ ტაქტს. ზომიერებას მოკლებული ვერასოდეს ვერ მიიღწევს შემოქმედებით მწვერვალებს. მას არ შეუძლია სტილის შეგრძნება და მისი თავისებურების გადმოცემა. ზომიერება ხელოვნებაში — მხატვრული გემოვნების ერთ-ერთი მარკენებელია. მხატვრული ზომიერება, ტაქტი და პარტიცი-

რის გრძნობა ისევე აუცილებელია ოპერის მომღერლისათვის, როგორც დრამატული მსახიობისათვის.

ოპერის ყოველი მომღერალი ვერ ფლობს კამერული მუსიკის საშემსრულებლო ოსტატობას. ხშირად ოპერებში გამოსადეგი ხმა ვერ ვეუბნა კამერულ სინატრფეს. ყოველი კომპოზიტორი თავისებურად, სუბიექტურად აღიქვამს გარემოს. მას დამოუკიდებელი აზროვნების და წარსის ორიგინალური მანერა აქვს. ეს ასეა ოპერაშიც. მაგრამ იქ, არტისტს, სცენის სხვა კომპონენტების (გრიმი, კოსტუმი, დეკორაცია) მოშველიებით, უადვილდება სიძნელეებისათვის თავის გართმევა. ესტრადაზე კი მომღერალი მარტოა სცენაზე თავისი ხმის ამარა და ყოველივეზე თვით არის პასუხისმგებელი.

ხშირად მიმღერალი მოცარტის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, ბორდინის, ბრაამის, გრიგის, არაჟიშვილის და სხვათა რომანსები, ყველა ამ კომპოზიტორთა ვოკალური პიესები თავისებურ მიდგომას მოითხოვს. ყოველი რომანსი თუ მხატვრული სიმღერა ავტორის დამახასიათებელ, მისი სტილის შესატყვის შესრულებას უნდა შეუფარდო. მაგალითად, შუბერტის „ორეული“ ან სხვა, ერთი შესხედვით უბრალოდ დაწერილი მცირე ფორმის ნაწარმოები მომღერლისაგან დიდად გასრულებ, მხატვრულად განზოგადებულ შესრულებას მოითხოვს. შუბერტის სიმღერათა უბრალოებაში უნდა ვიგულისხმობთ არა ყოფითი, არამედ მხატვრული უბრალოება, რომელიც დამაჯერებლად ხდის ნაწარმოების არსს. ასეთი გამერული ხასიათის ქმნილებანი მომღერალს სისადებითა და ნათელი აზრით გასხივოსნებულ გადმოცემაზე მიუთითებენ.

ჩაიკოვსკის რომანსების უბრალოებაში, დრმა ლირიზმითა და ამალტრული სიყვარული გამოხატვის გამოხარო, ასევე თავისებურ და „ჩაიკოვსკისებურ“ შესრულებას საჭიროებს. ჩაიკოვსკი უბრწყინვალესად გრძნობს ვოკალური მელისის ძალას და ამიტომაც, რომ მისი ყოველი, დიდი თუ პატარა ფორმის ვოკალური ნაწარმოები, პირველ ყოვლისა, მომღერლის ხმის მიქნილობას და უკიდურეს გამომსახველობას მოითხოვს, თუმცა ჩაიკოვსკი, განსხვავებით მუსორგსკისაგან, ასეთივე დიდ ყურადღებას არ ანიჭებს ცალკეულ სიტყვას, სასოგადოდ ტექსტს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მის რომანსებში სიტყვის, ფრაზის მკაფიოდ გამოთქმის უგულებელყოფას.

ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა რამ ახასიათებს სხვადასხვა დროის, ეპოქის და მხატვრულ მიმართულებათა წარმომადგენელ კომპოზიტორთა შემოქმედებას. ამიტომაც კამერული მომღერალი მასონა ნამდვილი მუსიკისი-ხელოვანი, თუ იგი კომპოზიტორის სტილის განმსხვავებულ ნიშანდობლებს თვისებებს ანგარიშს უწყებს და გამომსახველად გადმოგვცემს მის იდეურ-ემოციურ ჩანაფიქრს. მომღერალს აგრეთვე უნდა ესმოდეს ხმის რაციონალურად გამოყენების საკითხებიც. ის არ უნდა „დაიხარჯოს“ იქ, სადაც ამას არ მითხოვს მუსიკალური მასალა; გარკვევით უნდა გამოიყენოს ხმის ძალის, მისი ტემბრალური ფერების გამომსახველი საშუალებანი, ყველა დინამიკური ნიშანი (პიანო, ფორტე, მეიო-ფორტე, კრეშენდო, დიმინუენდო, ანელანდო, რიტენუტო და სხვ.). ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიქმნება ნამდვილად სახიერი, ჭეშმარიტი ხელოვნება.



სოხუმის დრამატული თეატრის კოლექტივი ოდესის ნავსადგურში

## სოხუელეკი ოლასკი

სიკო ვადაჭკორია

ს

ოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის (მთავარი რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე) გასტროლები ოდესში თეატრის ბოლო წლების ნაყოფიერმა შემოქმედებითმა მუშაობამ განაპირობა. გასტროლები ა/წ 16 ივნისს დაიწყო. რეპერტუარში თეატრის 7 საუკეთესო დადგმა იყო: გ. ბერძენიშვილის „მთაში ნათქვამი“ (აღ. ყაზბეგის ა. ქუთათელაძის); მიხედვით დადგმა ა. ქუთათელაძისა, მხატვარი — ე. კოტიანიშვილი, კომპოზიტორი — მ. ბერიკაშვილი, ქორეოგრაფი — აფხაზ. ასსრ დამს. მოღვაწე ვ. ვაშაქიძე); დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ (ვაჟა ფშაველას მიხედვით დადგმა — ლ. მირცხულავასი, მხატვარი — აფხაზ. ასსრ ხელოვ. დამს. მოღვაწე კ. რაზმაძე, კომპოზიტორი — სპ. სსრ ხელოვ. დამს. მოღვაწე ა. ჩიმაკაძე); ო. ჩხეიძის „ველი რომანსები“ (დადგმა — ა. ქუთათელაძისა და ზ. კანდელაკის, მხატვარი — შ. ყავლაშვილი და რ. კვიციანი, კომპოზიტორი — სპ. სსრ ხელოვ. დამს. მოღვაწე დ. აკობაშვილი); ი. პაშვიის „გულდი ჯარისკაცი შევიკი“ (ინსცენირება და დადგმა — ა. მრევლიშვილისა, მხატვარი — ე. კოტიანიშვილი, მუსიკალური გაფორმება — ლ. ქიშინიძე); გ. ხარაძის „დაბურული ტყის ზღაპარი“ (ვაჟა ფშავე-

ლას მოთხრობის მიხედვით დადგმა — ა. მრევლიშვილისა, მხატვარი — ე. კოტიანიშვილი, კომპოზიტორი — სპ. სსრ ხელოვანების დამს. მოღვაწე მ. დავითაშვილი, ქორეოგრაფი — სპ. სსრ ხელოვანების დამს. მოღვაწე ა. ბიბილიაშვილი); სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (დადგმა — ა. ქუთათელაძისა, მხატვარი — ე. კოტიანიშვილი, კომპოზიტორი — სპ. სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. თაქთაქიშვილი, ქორეოგრაფი — სპ. სსრ ხელოვ. დამს. მოღვაწე — დ. მაჭავარიანი); დ. ედუარდო დე ფილიპოს „მოჩვენებანი“ (დადგმა — ა. ქუთათელაძისა, მხატვარი — ე. კოტიანიშვილი, კომპოზიტორი მ. ბერიკაშვილი).

საგასტროლოდ გამზავრებამდე სპექტაკლები კიდევ უფრო დაიხვეწა. მიმზადდა სპეციალური საგასტროლო რეკლამა, ფოტოსტენდები, გამოცდა ბუკლეტები. 13 ივნისს დასი გეზით „ადმირალი ნახშითვი“ ოდესში გაემგზავრა. სტუმრებს (საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: თ. ჭავჭავაძე, ნ. ლაფარი, რ. ჩხეიძე, ვ. ნინიძე, სპ. სსრ დამსახურებული არტისტები: თ. ბოლჭვაძე, ქ. დილოძე, ნ. ყიფიანი, ვ. ნეფარიძე, მ. ჭიჭიანი, ა. ბუკურავა, ვ. თოფურიძე, ტ. ხორავა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებუ-

ლი არტისტები: თ. მელაძე, შ. გვალია, გ. მასხალია, ი. ოქროპირიძე, ლ. ფილფანი, მსახიობები: შ. გაბელია, თ. ბაბლიძე, ნ. ბეჭური, ვ. ასათიანი, ზ. გზირიშვილი, ლ. კურავიშვილი, ნ. ქარსანიძე, ა. ნუცუბიძე, ც. ოსაძე, ს. პაჭკორია, გ. რატანი, ი. რობაქიძე, ო. ხაჩატუროვა, გ. ხერციკოვა და შ. ხუბაშვილი, რეჟისორები: ა. ქუთათელაძე, ს. მრევლიშვილი, მხატვარი ე. კოტიანიშვილი) გულბოლოდ შეხვდნენ ოდესელებს. ნავსადგურში მასპინძლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრმა გ. ქ. კვარჩელამ. 16 ივნისს კი ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო მუსიკალურ დრამატულ თეატრში მაყურებელთა დაზღაზი გადგო. მაყურებელთა სავარლები რადიოფიციერბული იყო და თარგმნილი ტექსტის გადაცემა წარმოებად ყველა სპექტაკლის დროს.

პირველი სპექტაკლი იყო სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. წარმოდგენის დაწყებამდე თეატრალური საზოგადოების სახელით თეატრის კოლექტივს სიტყვით მიმართა ა. დაკიონიძე. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ანზორ ქუთათელაძე, ხოლო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენაზე გ. ლეონიძის ლექსი წაიკითხა.

22 ივნისს გაზეთმა „ზნანია კომუნისმამ“ ამ სპექტაკლის ირგვლივ დაბეჭდა ფილოლოგიურ შენიშვნებათა დოქტორის, ა. ნელსედესის ვრცელი წერილი.

პირველ სპექტაკლს — პირველ წარმატებას მეორე და მესამე მოჰყვა... მთელი გასტროლების პერიოდში სოხუმელთა წარმოდგენებს მაყურებელი არ მოჰკლებდა. თეატრის საგასტროლო რეპერტუარის განრიგის შეცვლა კი მოუხდა, ზოგიერთი სპექტაკლი სამეგრეო და ოთხჯერ იქნა განმეორებული. ოციათასამდე მაყურებელმა ნახა სოხუმელთა სპექტაკლები, ხოლო ოდესის ტელევიზიამ მთლიანად გადასცა ორი სპექტაკლი: დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ და გ. ბერიკაშვილის „მთაში ნათქვამი“.

თეატრის დიდ წარმატებაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ოდესის თეატრალური საზოგადოებრიობა გასტროლების გაგრძელებას მოითხოვდა. სპექტაკლების დასასრულს მაყურებლები ხანგრძლივი ტაშითა და თაივლებით აჯილდოებდნენ მსახიობებს.

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა ამ გასტროლებით დიდი შემოქმედებითი გამოცდა ჩააპარა და მომდევნო წლები-სათვის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის დამსახურებული განაცხადი გააკეთა.

# იზხანის ჯვრის

## ღაგუადაგის

## ტექნოლოგიის


## გამოკვლევა

ფერდინანდ თავაძე

აკადემიკოსი

იოსებ ანდრიაშვილი

პეღ. მეცნ. კანდიდატი



იზხანის ჯვარი

იზხანის ჯვარი ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ იგი თანამედროვე ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ტელური ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი და, მეორეს მხრივ, იმიტომაც, რომ ჩვენს მეცნიერებს შორის დღესათვის სადავო საკითხად ითვლება მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესი.

ამდენად, საჭიროა ყურადღება შევამართო ძეგლის ტექნოლოგიურ პროცესზე, რადგან, როგორც გ. ჩუბინაშვილი შენიშნავს, „გარდა თავისი ინდივიდუალური თვისებებისა და მხატვრული ღირსებისა ამ ძეგლს აქვს მნიშვნელობა, როგორც მიმდინარე ისტორიული პროცესის მარკინტელს, იგი გადადის შემდეგ საფეხურზე — სახელდობრ საჭიროა განისაზღვროს ის ისტორიული ადგილი, რომელიც მას უჭირავს ქართული ტორეტიკის განვითარებაში მთლიანად“<sup>7</sup>.

იზხანის ჯვარს ჯარების წინ გასაძლიად იყენებდნენ, ამიტომ იგი საწინამძღვრო ჯვარად არის ცნობილი. ჯვარზე მოთავსებული წარწერების მიხედვით იგი თარიღდება 973 წლით<sup>8</sup>. ჯვარი დაუმზადებიათ იზხანის ეპისკოპოსის ილარიონის შტაბებით. იგი კათედრალის მშენებმა იყო XVI საუკუ-

<sup>7</sup> გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იზხანიდან, საქართველოს მეცნიერების მოამბე, ტ. VI, ტფ. 1931 წ. გვ. 305.

<sup>8</sup> გ. ჩუბინაშვილი, Грузинское чеканное искусство, 1959, გვ. 57.



შხანის ჯვარი (973 წ.) ქართული ოქრომჭედლობის მშვენიერებაა. ამ ძეგლის წარწერები და ზოგიერთი სხვა ცნობები მოცემული აქვთ ცნობილ მკვლევარებს: მ. ბროსეს<sup>1</sup>, პ. ს. უვაროვას<sup>2</sup>, ნ. კონდაკოვს და დ. ბაქრაძეს<sup>3</sup>, თ. ჟორდანიას და ა. ხახანაშვილს<sup>4</sup> და სხვ. მაგრამ მისი მეცნიერულად შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით აკადემიკოსებს გ. ჩუბინაშვილს<sup>5</sup> და შ. ამირანაშვილს<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Brosset, Rapports sur un Vayare arche ologique, SPB, 1851, IX, 35—36.

<sup>2</sup> МАК, Т. X, Москва (1904, გვ. 182, № 308).

<sup>3</sup> Известия Кавказского отделения московского Археологического общества вып. II, т., 1907 г., стр. 93—94.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვა მასალები, ტ. I, ტფ. 1892, გვ. 91.

<sup>5</sup> 973 წლის ჯვარი იზხანიდან (საქ. მეც. მოამბე, ტ. VI, ტფ. 1931 წ. Грузинское чеканное искусство, Т. 1959 г.

<sup>6</sup> ბეჭა ოპზხარი, 1937 და 56 წლის გამოცემები; ქართული ხელოვნების ისტორია.




იშხანის ჯვრის  
დამჭერი

ნმდგ. შემდეგში გადმოუტანიათ ცაგერში, სადაც ჯვრის ქვე-  
და გადატვილი მკლავი XVII საუკუნეში შეუკეთებიათ. ამის  
ცნობას იძლევა მკლავის ახალ ნაწილზე მოთავსებული წარ-  
წერა. 1925 წელს ჯვარი გადმოუტანიათ თბილისში აღრინ-  
დელ ქართული ხელოვნების მუზეუმში.

ჯვრის პირვანდელი ზომა ყოფილა: სიმაღლე 510 მმ,  
ხოლ სიგანე — 360 მმ.

ჯვრის პირვანდელი სახე უნახავს გ. ჩუბინაშვილს; მისი  
აღწერილობის და იმ ფოტოსურათის მიხედვით, რომელიც  
დღეისათვის არის შემორჩენილი, ირკვევა შემდეგი: ჯვრის

წინა მხარეზე მიმაგრებული  
ყოფილა ჯვარცმა მოქლონით  
და რჩილვით; თავისუფალი  
ადგილები კი შემკულია ფე-  
რადი ძვირფასი ქვებით, მის  
ნაპირზე ირგვლივ ზოლია,  
რომელიც შემკულია სევადით;  
შუა ადგილებში ამოყვანილია  
ვერცხლის ჩუქურთმა, ნახევარ-  
ფოთლებიანი ხვეული ღერო. ჯვრის  
სახელოები შევსე-  
ბულია აქაქური ჩუქურთმით და წარწერით. ფონზე ნა-  
თვგი წარწერები აქვს. სახელოების კუთხვებში და-  
მაგრებული ჰქონია რელიეფური პალმებები. ჯვარი დამაგრე-  
ბული ყოფილა ვერცხლის ჯვრის დამჭერზე.



ჯვრის ქვედა ნაწილის კრილი

ჯვრის უკანა მხარეც მალალი მხატვრული გემოვნებით  
ყოფილა გაფორმებული სევადურით და თევრით. უკანა  
ფირფიტის ცენტრალურ ხაზზე თევრებით ამოყვანილია ბო-  
ლოებში გაორებული ღეროები. მთელი ჯვარი დამაგრებული  
ყოფილა საბეცილურ ღრუიან დამჭერზე, რომელშიაც ჯდ-  
ბოდა ტარი.

ასეთია იშხანის ჯვრის ზოგადი აღწერილობა.  
იშხანის ჯვარი გაბარცულია. დღეისათვის მხოლოდ გა-  
დარჩენილია ჯვარცმა, დამჭერი მოწყობილობის დეტალები  
და რამდენიმე როზეტი. ჩვენ არ ვერღვდებით ჯვრის დაკარგუ-  
ლი ნაწილების დამზადების პროცესებზე, რადგან, ერთის  
მხრივ, სურათის მიხედვით მათ შესახებ მსჯელობა ძნელია  
და, მეორეს მხრივ, მათი დამზადების პროცესები არაფრით  
არ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს.

გადარჩენილი დეტალებიდან, დამზადების მხრივ, საყუ-  
რადღებოა ჯვარცმა და ჯვრის დამჭერის დეტალები. ამათგან  
განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ჯვარცმის დამზადე-  
ბის ტექნოლოგიური პროცესი, რომლის შესახებაც უპირვე-  
ლეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ჩვე-  
ნი მცენიერების აზრი.


გ. ჩუბინაშვილი 1931 წელს გამოქვეყნებულ საბეცილურ  
სტატიაში „973 წლის ჯვარი იშხანიდან“ აღნიშნავდა: „მაც-  
ხოვრის მთელი გამონასახი ჯვრით ჩამოსხმულია და შემდეგ  
ნაპირზე გავლილია საკვეითი (იგულისხმება საჭრეთლით.  
შენ. ავტ.), ნახატი დამატებულია გრაფიკული ტექნიკით და  
ოქროს მოვარაყებითაა დამშვენებული... მთელი ნაკეთის სის-  
ქე საშუალოდ უდრის 2-3 მმ.“

ამავე აზრს იზიარებს შ. ამირანაშვილი, რომელიც ეყრდ-  
ნობა ერთის მხრივ იმას, რომ ჯვარცმა სტილისა და შესრუ-  
ლების მიხედვით ენათსავება შემოქმედის მონასტრის ჯვარ-  
ცმის ხატს და მეორეს მხრივ იმას, რომ ჯვარცმის წარწერები  
ენათსავება შემდგომი პერიოდის წარწერებს. შ. ამირანაშვი-  
ლი აღნიშნავს, რომ... ჯვრის ქვემოთ (იგულისხმება შემოქ-  
მედის მონასტრის ჯვარცმის ხატი. შენ. ავტ.) მოთავსებული  
წარწერა, რომელიც სრულად ამოიკითხა ე. თაყაიშვილმა,  
ათარიღებს მას 1540 წლით. მაშასადამე, იშხანის ჯვარცმის  
მხატვრულ-ისტორიული ანალიზი სასებით არკვევს, რომ

9 საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, ტფ. 1931, გვ. 301.

მაცხოვრის გამოსახულება მთლიანად, აგრეთვე მის თავზე მო-  
თავსებული ფიცარი წარწერით და ნაწილი ჯვრის ქვედა  
მკლავისა ეკუთვნის ჯვრის განახლების პერიოდს (1605 —  
1639), ხოლო თვით წინგასაძლოი ჯვარი, რომელზედაც  
დაკრული ყოფილა შემდეგი ჯვარცმა, წარწერის თანახმად  
973 წ. ეკუთვნის<sup>10</sup>, და დასკვნის, რომ ... ამრიგად მაც-  
ხოვრის გამოსახულება იშხანის ჯვარზე არ გამოგვაგდება X ს.  
ქართული ჭედვითი ხელოვნების სტილის დასადგენად<sup>11</sup>.

შ. ამირანაშვილი მოგვანებით (1956 წ.) ჯვარცმას ისევ  
ჩამოსხმულად იხსენიებს<sup>12</sup>, მხოლოდ სცვლის თავის მიხედუ-  
ლებას დათარიღების შესახებ. იგი აღნიშნავს: „ჯვარცმის  
მხატვრულ-ისტორიული ანალიზი საგნებით არცვეს, რომ მა-  
ცხოვრის გამოსახულება მთლიანად 973 წ. ეკუთვნის“<sup>13</sup>.



იშხანის ჯვრის დამკვერის  
კონსტრუქციული მიღო

მა განზომარება, რომ ჯვარცმა, როგორც ჩვეულებრივ, არის  
ნაიფი<sup>14</sup>.

ამავე ფონზე გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ „ნამდვი-  
ლად მაცხოვარი თავის ჯვრის სწორეუბითიან სახეობებით  
გამოთვლილია ცალკე და შემდეგ აწყობილი“<sup>15</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც შ. ამირანაშვილი

აღწერს, ჯვარცმის დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს  
აგრეთვე მაცხოვრის თვალების მდგომარეობას, სახელობრ, ჯვარცმა  
გახელილი თვალებით დამახასიათებელია მე-10 სა-  
უკუნემდლო, ხოლო დახუჭული თვალები შემდგომი პერიო-  
დის ჯვარცმებისათვის. მაშინ როდესაც შ. ამირანაშვილი  
წარწერების მიხედვით ჯვარცმას აუყოფნებდა იშხანის ჯვარის  
განახლების პერიოდს, დახუჭული თვალები ამის დამადას-  
ტურებელ არგუმენტად გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ, რო-  
დესაც ჯვარცმას აუყოფნებს 973 წელს, აღნიშნავს, რომ  
მაცხოვრის გამოსახულება იშხანის ჯვარზე ჩამოსხმულია,  
ხოლო პირისაზე არ არის დამუშავებული კალმით შედაპირი-  
დან. ამის გამო ჩვენ ვღებულობთ მცდარ შთაბეჭდილებას,  
რომ მაცხოვარის თვალები დახუჭული აქვს<sup>16</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ჩუბინაშვილს ეს მდგომარე-  
ობა არ გამოჩენია და თავის შრომაში შენიშნავს: შ. ამირა-  
ნაშვილი „ძველებურად თვლის, რომ მაცხოვარი ჩამოსხმუ-  
ლია“<sup>17</sup>. ეს გ. ჩუბინაშვილს არ მიაჩნია მართებულად.

ამრიგად ჩანს, რომ მაცხოვრის დამზადების ტექნოლო-  
გიური პროცესი პრინციპული და ამავე დროს სადაო საკი-  
თხიც არის. ვფიქრობთ, ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა და-  
ეხმარება ჩვენს მეცნიერებს ერთობლივი ძალით სწორად გა-  
დაჭრან იშხანის ჯვრის მაცხოვრის როგორც დათარიღების  
საკითხი, ისე მისი ადგილი ქართულ საოქრომჭედლო ხელო-  
ვნებაში.

იშხანის ჯვრის ჯვარცმის საერთო ზომები უდრის  
213×150 მმ, ხოლო თვით მაცხოვრის სიმაღლე 174 მმ.  
მაცხოვრის უკანა მხარე (ხელების გასწვრივ) დრუანია. სის-  
ქე სიღრუს გვერდით ნაპირებთან, რითაც ის მიმარტებული  
ყოფილა ჯვარზე (მირილივით და მოქოხნივით) კედლის  
სისქე 3, 5-6 მმ ზღვრებში იცვლება. მაცხოვრის მუცელზე შე-  
იმჩნევა ბზარები. ბზართან მუცლის სისქე არის 6,8 მმ. თავს  
სიღრუე არა აქვს — მთლიანია; ასევე მთლიანია ფეხები და  
მკლავები. მარჯვენა ხელის სისქე მოქოხთან 4,5 მმ უდ-  
რის.

მაშასადამე, როგორც მოყვანილი ზომებიდან ჩანს, ჯვარ-  
ცმის სისქე ჯვარზე მიმარტების სიბრტყის მართობულად  
4,5 მმ ზღვრებში იცვლება.

საერთოდ რელიეფური გამოსახულება შეიძლება მიღე-  
ბულ იქნას თევგიტო, ტიფერვით, აქაქურით და ჩამოსხმით.

შეიძლება თუ არა ისეთი სისქის, როგორც იშხანის ჯვა-  
რია, გამოსახულების თევგიტო მიღება, როგორც ამას ფ. ი. მი-  
შუკოვი ამტკიცებს? პასუხი მხოლოდ ერთია: არავითარ შემ-  
თხვევაში. ამიტომ, ჯვარცმა დამზადებულია თევგიტო სის-  
ქითი, საიდან უნდა ემუშავა მთევავს, უკანა თუ წინა მხრი-  
დან? უკნიდან რომ ემუშავა, მაშინ ნაკეთი უნდა ყოფილიყო  
რაიმე პლასტიკურ მასაზე და უკანა მხრიდან სიღრუე უნდა  
შეესაბამებოდნენ წინა მხარის რელიეფს, რაც იშხანის ჯვარ-  
ცმას არ გააჩნია. არც ის არის დასაშვები, რომ მთევავმა თე-  
ვგიტო წინა მხრიდან, ე. ი. რელიეფის მხრიდან იმუშავა, რად-  
გან ასეთი ღრმა რელიეფის მიღება პლასტიკურ ქვესაღებ

<sup>10</sup> შ. ამირანაშვილი, ბეჭეა ოპიზარი, 1937 წ. გვ. 28.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>12</sup> შ. ამირანაშვილი, ბეჭეა ოპიზარი, თბ. 1956 წ., გვ. 28.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>14</sup> Чубиняшвили, Грузинское чеканное искусство, 1959 г.


стр. 55.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>16</sup> შ. ამირანაშვილი, ბეჭეა ოპიზარი, 1956 წ., გვ. 28.

<sup>17</sup> Г. Чубиняшвили, Грузинское чеканное искусство, 1959 г. стр. 58.

მასზე მუშაობის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ მასზე მო-  
თავსებული ნაკეთის თევვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა  
მისაღები რელიეფი არ არის ღრმა, მასალის დიდი რაოდენ-  
ობა არ არის დასაწვევი, ე. ო. როდესაც თევვა ზედაპირულია.  
ამ შემთხვევაში თევვით გამოსახულების მიღება ხდება ძირი-  
თაოდ მასალის ყოველმხრივ განზიდვის ხარჯზე და ოდნავ  
ზემოთაც კი იწვევს ფხარების სახით, რაც შემდეგ უნდა მი-  
სუფთავდეს. ასეთი თევვა, როგორც ვნახავთ, ამ შემთხვევაშიც  
არის გამოყენებული, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც რელიე-  
ფის ძირითადი მოყვანილობა უკვე იქნა მიღებული.



შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ საკვლევი ძეგლი დამ-  
ზადებულია ტვიფრით? აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისათ-  
ვის ტვიფრვა ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, მაგრამ აღებული  
ჯვარცმისათვის მოცულობრივი ტვიფრის დამზადება დიდ სიძ-  
ველებთან იყო დაკავშირებული. ტვიფრვა უფრო ადვილი  
იყო თხელი ფურცლებისაგან, რადგან მოცულობრივისათვის  
ტვიფრების დამზადება გაკალებით ძნელია და ვერცხლის  
დიდი ნაკეთის ტვიფრვა მაშინდელი საწარმოო იარაღებით  
შეუძლებლადაც მიგვჩანია.

არც აქაქური დამუშავების წესით არის ჯვარცმა დამზა-  
დებული, რადგან ასეთი ღრმა რელიეფისათვის, ერთის მხრივ,  
მეტად შრომატევადი სამუშაოა და, მეორეს მხრივ, ჯვარცმის  
გამოსახულებაზე საჭრეთლების ნაკაღლევი მარკოსკოპული  
კვლევიც არ შეიძინევა.

საბოლოოდ ერთი ვარაუდი დარჩა: ჯვარცმის გამოსახუ-  
ლება დამზადებულია ჩამოსხმით, რასაც შემდეგი დაკვირვებ-  
ის ამტკიცებს:

1. ჯვარცმის უკანა ზედაპირზე აღმოჩნდა საყალიბო ნა-  
რევის ნარჩენები. სათანადო ანალიზებით დამტკიცდა, რომ  
ამ საყალიბო ნარევეს გაუვლია მაღალი ტემპერატურის მოქ-  
მედება.
2. მაცხოვრის ფეხებთან აღმოჩნდა სასხმთა სისტემის  
მეგავიპის მონატები.
3. ჯვარცმის უკანა სიღრმე დაფის ზევით მთავრდება  
წვრილი არხით, რაც შემთხვევითი არ არის. იგი სახსმსმო  
საქმის კარგი ისტატის მიერ წინასწარ გააზრებული აირების  
გასასვლელი არხია.
4. მაცხოვრის მუცელზე შეიმჩნევა სხმულებისათვის და-  
მასასიათებელი ცხელი ბზარები.

5. ჩატარებული მეტალოგრაფიული ანალიზის შედეგად  
მიღებული მიკროსტრუქტურა დენდრიტული აღნაგობისაა,  
რაც დამასასიათებელია მხოლოდ სხმული და არა წვევით  
დამუშავებული ვერცხლისათვის.

ამგვარად, იზნანის ჯვრის ჯვარცმა დამზადებულია ჩა-  
მოსხმით.

ჯვარცმის სხმული წინა მხრიდან კარგად არის გასუფთა-  
ვებული, შემდეგ კი წარმოებულია თევვის და აქაქურის საშუ-  
შაოები. სახელდობრ, თევვებით დამუშავებულია ფონი (წრი-  
ული და ნემსა თევვებით), წარწერები, კაბის ნაოჭები,  
ფეხებზეა ჩაღრმავება, მაცხოვრის რელიეფის კონტური  
და სხვ. საჭრეთლებით დამუშავებულია თმები, ჩარჩოები და  
სხვ.

იზნანის ჯვრის მაცხოვარი ჩვენთვის იმითაც არის საინ-  
ტერესო, რომ აქ ერთდროულად არის გამოყენებული ჩამოს-  
ხმის, თევვის და აქაქურის ტექნოლოგიური პროცესები.

ჯვრის დამჭერი მოწყობილობის დანიშნულებასა, ერთის  
მხრივ, დამაგრის ჯვარი და, მეორეს მხრივ, თვით ჩამოე-  
ვას კვეროხს. იგი შედგება შემდეგი მთავარი ნაწილებისაგან:  
1. კონუსური მილი, 2. სფერო, 3. ჯვრის დამჭერი სამარჯვი.

კონუსური მილი, როგორც აღვნიშნეთ, ჯდება ხის ტარი.  
მილის დიდი დიამეტრის მხრიდან ჩამოცმული აქვს ვერცხლის  
მილისა  $l = 15$  მმ,  $r = 2,5$  მმ. მილისას აქვს წრიული რგო-  
ლები, შესრულებული თევვით. კონუსური მილის დამზად-  
ებულია წინასწარ გამოკვერილი ფურცლისაგან (სისქე 1,5 მმ)  
დახვევით, რჩოლებით, თევვით და შემკულია სევადით. მილი-  
სის ნაწილი, რომელიც სფეროში ჯდება, გლუვია.

სფერო შედგენილია 7 დეტალისაგან: ნახევარსფერო 2  
ცალი, ნახევარსფეროზე მირჩილილი სფერული რგოლი 2  
ცალი, ამ რგოლებზე მირჩილილი ვაგარის რგოლი — 2 ცა-  
ლი და ვერცხლის თხელი ფურცლის ზოლი, რომელიც მირ-  
ჩილილია ნახევარსფეროების შეერთების ადგილს შიგნითან.

ნახევარსფეროები დამზადებულია კვერით, შემდეგ ცალ-  
ცალკეა მოთეგვილი და მერე არის მირჩილილი ერთიმეორეს-  
თან შიგნითან ვერცხლის თხელი ზოლის გამოყენებით. ნახე-  
ვარსფეროების ცალ-ცალკე თევვა აიხსნება იმით, რომ შიგა  
თხელ ზოლს შეერთების ადგილს არა აქვს თევვის ნაკვალე-  
ვები. შემდეგ სფეროზე მირჩილილია სფერული და ვაგარის  
რგოლები. საერთო აწყობის შემდეგ ზედაპირი შემკულია სე-  
ვადით. ცალკეულ ადგილებში სევდა ამოვარდნილია. მი-  
მოწყობა აკად. გ. ზენინაშვილი გადმოგვიცემს, ჯვრის დამჭერი  
მოწყობილობის ზედაპირი შემკული ყოფილა აგრეთვე ოქ-  
როჩაქრულით, რაც დღეისათვის არ შეიმჩნევა.

დავკენა: იზნანის ჯვრის ჯვარცმა ჩამოსხმულია, შემდეგ  
კარგად მოსუფთავებული (გაპარალელებული) და საბოლოოდ  
დამუშავებულია მიწური წრიული და ნემსა თევვებით,  
მაცხოვრის რელიეფის კონტური, კაბის ნაოჭები და ფეხებზეა  
ჩაღრმავება საკონტურე თევვებით. აქაქური დამუშავებით  
(საჭრეთლებით) შესრულებულია თმები, ჩარჩოს კონტურები  
და წარწერა.

ჯვრის დამჭერი მოწყობილობის ზედაპირზე გამოსახუ-  
ლება მიღებულია თევვით, რის შემდეგ გამოყენებით სევა-  
რისა და ოქროჩაქრულის შემკვლა.



კაველაშვილი კადარი  
35 88



ფართოფერკანიანი  
კადარი. 35 88  
k-2

კადრები ფილმიდან  
„ალმაფრენა“  
70 მმ-იანი ფირი



## ვართოფორკატიანი

## კინემატოგრაფი

გია ჭუბარბაი



ვიდი მნიშვნელოვანი თარიღია პანორამული კინოსისტემების განვითარება-დამკვიდრებაში: პარიზი. 1900 წელი. გრიმენე სანსონის „სინეორამა“ ეიფელის კოშკის ქვეშ. იგი მაყურებელს გიგანტურ გონდოლაში ათავსებს და ქმნის საპაერო მოგზაურობის ილუზიას. 1955 წელს კი — თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით აგებული უოლტ დისნეის თეატრმატაკამერიანი „ცირკარამა“ კალიფორნიამო.

1926 წ. აბელ განსის ცნობილი ფილმი-ტრიპტიხი „ნაპოლიონი“, ხოლო შემდეგ — 1952 წელს „სინერამა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1928 წ. ანრი კრეტინი ქმნის ანომორფოტულ ობიექტებს „ეკიერგონას“. 1953 წელს კი კინოკომპანია „ფოქსი XX საუკუნე“ კრეტინის გამოგონების საფუძველზე იძლევა ფართოფერკანიან სისტემას — „სინემასკოპი — 35“.

და ბოლოს, 1955 წ. მაიკლ ტოდლი ამერიკულ ოპტიკურ კომპანიასთან ერთად ქმნის ფართოფერკანიან სისტემას „ატოდ ა. ო.“.

რეჟე კლერი წერდა: „მართლაც, რა არის პეიზაჟის სილამაზე? თითქმის ყოველთვის ხის კენწეროები და ქულაღრუბლები. რა არის რომის სასახლის მშენიერება? თაღები და მალაი სვეტები. აი რა უნდა უჩვენო. და თუ ფართო ფერკანიზე მსახიობს მოაქცევ — ეს ყოველივე დაიკარგება.“

როცა მსახიობს ათამაშებ — პორტრეტებს ხატავ, მაგრამ პორტრეტები არასოდეს არ სარგებლობდნენ იმ ფორმატებით, რომლებსაც სხვა მხატვრები მარინისტული სურათებისათვის იყენებდნენ. „სინემასკოპი“ სწორედ ასეთ მარინისტული ფორმატის ეკრანს იძლევა.“

შემდეგ ვილკამ იხუმრა — ფართო ეკრანი განკუთვნილია ტაქსის ჯიშის ძაღლების გადასაღებად.

მაგრამ ადამიანის დაუდგრომელი აზრი ჩვეულებრივი ეკრანის ჩარჩოებით აღარ კმაყოფილდებოდა. გარეკვეყნის სიხარებით აღჭმა-შემეცნებისთვის მას უკვე ვეწრობოდა ეს ჩვეულებრივი „სარკმელი სამაჟროში“. თითქმის კინოც ამას მოითხოვდა. ჯერ „მუნჯი“ იყო და „ამიტყველდა“, მერე „ისწავლა ფრთა რჩევა“, ახლა კი აღაწყო ვიწრო ჩარჩოების რღვევა.

ფართო ეკრანი, სინერამა, ცირკარამა, ფართო ფორმატი — თანამედროვე ტექნიკური პროგრესის ნიადაგზე აღმოცენებული.

პანორამული ეკრანი მეტ-ნაკლებად ავსებს მაყურებლის მხედველობის არეს. თვით პანორამული გამოსახულების შექმნის საშუალება კი თვითეულ სისტემას თავისებური გააჩნია.

სინერამას გადაღება და პროექცია სამი აპარატით (შესაბამისად სამი 35 მილიმეტრის სიგანის ფირზე) წარმოებს. პანორამული ეკრანი სამი ნაწილისაგან შედგება, რაც მაყურებლისათვის ადვილად შესამჩნევია.

ფართო ეკრანიც 35 მ-მეტრის ფირით სარგებლობს, მხოლოდ გადამღებ და საპროექციო აპარატს ეგრეთწოდებულ ანომორფოტულ ბლოკი ერთვის, რომელიც გამოსახულებას მხოლოდ პორიზონტალურად, ჩვეულებრივ 2-ჯერ კუმშავს (გადაღებისას) და 2-ჯერ აფართოებს პროექციის დრის.

„ცირკარამას“ გადაღება წარმოებს 35 მ-მეტრთან ფირზე (16 მ-მეტრის ფირით სარგებლობს უ. დისნეი) 11 კამერის საშუალებით. კინოკამერები განლაგებულია წრიულად, 360° ხედვის კუთხით. აპარატურა იდგება მანქანაზე. მაყურებელი „ცირკარამის“ დარბაზში გარემორტყმულია გამოსახულებით. პროექცია წარმოებს გადაღების შესაბამისად 11 საპროექციო აპარატით. მხა სტერეოფონურია.

პანორამული კინოსისტემების ფუძის კარი ყველაზე გვიან შეაღო ფართოფერკანიანმა კინემატოგრაფმა. მის ათვი-



სებას აფერხებდა წარმოების ტექნიკისა და ფირის ტექნოლოგიური სინქრეტიზი.

ფილიში ფართოფორმატიანი ეწოდება, თუ ფირის სიგანე 35 მმ აღემატება (55 მმ, 65 მმ და 70 მმ). 70 მმ ფირის დაშლადაც, გადამღები აპარატურა, ლაზეროტორული მექანიზაცია, სამონტაჟო აპარატურა, დემონსტრაცია — კინო-წარმოებაში ყოველივე ეს ძირფუძვლიან მოდერნიზაციას მოითხოვდა, თუ არის ვიტყვი ფილმების თეიორიკოსების კარბ ზრდაზე. საპროექტო კადრის ფართობია 1069 მმ<sup>2</sup>. ამასთან აუცილებელია სინათლის მეტად ძლიერი წყარო საპროექტო აპარატში. ერთი შესვდებით, იოლი დაბრუნება პროექტორი ამოიწონა და მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე იქნა დაძლეული.

საქმე იმაშია, რომ ფართოფორმატიანი კინოთეატრებში უსარმაზარ (ADG) პანორამულ ეკრანზე დემონსტრაცია ერთი ხ პროექტორით წარმოებს. ახალგაიურ შემთხვევაში, სინერგული პროექციის დროს (ADG) ეკრანს, სამი (a, b, c) პროექტორი აშუქებს და კ ა მ შ ი (ABC + CDE + EFG = ADG) ეკრანს სასურველ სიკაშკაშეს ანიჭებს. მსგავსი კანონზომიერებები „ციკლოპანის“ წრიულ ეკრანს 11 აპარატი უსრულებდნენ და ა. შ.

მიუხედავად ტექნიკური სირთულისა და დიდი ხარჯტვილობისა, ფართო ფორმატი დაბეჯითებით იკავებს გზას და სულ უფრო მეტადდება კინემატოგრაფიაში, რასაც განაპირობებს ეკრანის მაღალხარისხიანი გამოსახულება, ხედვის ბუნებრიობა და სხვა თვალსაჩინო უპირატესობანი.

შეიძლება ითქვას, რომ პანორამულ სისტემათა შორის ფართო ფორმატი უფრო სრულყოფილი და პერსპექტიულია. 1964 წელს მსოფლიოს დიდ ქალაქებში დაიწვეს კინოთეატრის ეკრანის ფართოფორმატიანი ფილმების დემონსტრაციისათვის გადაკეთება. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ოსო ტექნიკისათან მძაფრი კონკრეტულია.

სისტემის ავტომატა მ. ტოდმა ვითარებისწინა ოპტიკურ ბეჭდვის საშუალებით ფართო ფორმატიდან „კლასიკური“ ანუ ჩვეულებრივი, ფართო და სინერგული ეკრანებისათვის ფილმების დაწვადების შესაძლებლობა.

1955 წ. 13 ოქტომბრის კინოთეატრ „რიოლიში“ (ნიუ-იორკი) შედგა პირველი ფართოფორმატიანი ფილმის „ოკლაჰომა“. პრემიერა (სტუდია „მეტრო-გოლდვინ-მაიერის ნაწარმი).

ჩვენს ქვეყანაში 1964 წლისათვის უკვე 25 კინოთეატრი შემაშობდა ფართო ფორმატის ფილმების საჩვენებლად.

1964 წლის 13 სექტემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოში პირველი ფართოფორმატიანი კინოთეატრი „ოქტომბერი“. აქ სხვა საბჭოთა ფილმებთან ერთად მაყურებელს უჩვენეს პირველი ქართული ფართოფორმატიანი ფილმი „აღმადგინა“.

ფართოფორმატიანი ფილმების წარმოება ძლიერ ძვირია. კინოსტუდიის „ბენ-პური“ (სტუდია „მეტრო-გოლდვინ-მაიერი“) 13 მილიონი დოლარი დაჯდა. ხოლო ფართოფორმატიანი მულტიპლიკაციური ფილმის „მძინარე მუთუზნავის“ (რეჟ. უ. დისნეი) გადაღება 5,5 წელიწადს მიმდინარეობდა და 8 მილიონი დოლარი დაჯდა. ამიტომაც თვით კოლეგების ისეთი პროდუქტული სტუდიებიც კი, როგორცაა „მეტრო-გოლდვინ-მაიერი“ ან „ფოქსი XX საუკ.“ წელიწადში 1-2 ფართოფორმატიანი ფილმს იღებდნენ, ხოლო საფრანგეთში ყოველწლიურ 100-120 ფილმთან მხოლოდ რამდენიმეა ფართოფორმატიანი.

საბჭოთა კავშირში 1960 წლიდან გადაღებულია „მოთხრობა მგზნებარე წლებზე“, „ოპტიმისტური ტრაგედია“, „მძინარე მუთუზნავი“, „ომი და მშვიდობა“ და სხვ. ფართო ფორმატი საშუალებას აძლევს დამდგმელ ჯგუფს

პანორამულ ეკრანზე მაქსიმალური სრულყოფითი გამოსახვის შემოქმედებით ჩანაფიქრი. ფართო ფორმატიან მდგრადობაში ფართო ფორმატს პირველი პლანის შეთანხმებით განუსაზღვრელი პერსპექტივის გადმოცემის უნარი გააჩნია. კადრის წყაროში ფართო ეკრანისათვის დამახასიათებელი ბრტყელი, ფრესკული კომპოზიციის ადგილს — მრავალპლანური გამოსახულება იკავებს. „ეკრანის უკან“ მდებარე სივრცე ემიზონის „ღრმა მიზანსწევი“ გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ფართო ფორმატის პანორამულსურათისთვის არის, რომ მიუხედავად დიდი შორის ეკრანისა, კომპოზიციური რეგულაციებით მისი დატვირთვა ხელსაყრელი არ არის. კადრის დიდი ფართობი უნდა იყოსთოდეს სიფთობილით, ლაკონურად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მაყურებელს დღის. ე. წ. „თანამონაწილობის ფუფქტი“ პანორამული სისტემების, ერთად, ფართო ფორმატის უპირატესობა. მაგრამ თუ სწორად და ზომიერად არ გამოიყენებ, იგი უსამომერო „ფიზიოლოგიური თანამონაწილობის ფუფქტი“ გადაღებს თუ განსაკუთრებით ქვება მოძრაობა ობიექტებიდან გადაღებას: თვითმფრინავიდან, მანქანიდან და ა. შ. ამიტომ ფართოფორმატიანი „თავსუფილი კამერა“ მოძრაობის გამართლებას მოითხოვს. „მოდერნი კამერის“ ვულგარულად გამოყენებას არაფერი აქვს საერთო იმ ესთეტიკურ აღქმასთან, რომელსაც წყველობრივ „თანამონაწილობის ფუფქტი“ ანიჭებს მაყურებელს.

კიდევ ერთი უპირატესობა ფართო ფორმატისა: ფაქტურას იგი გადმოცემს მიკროსკოპიული სიხალდით. კინოთეატრისინათვის მეტად მნიშვნელოვანია ფართო ფორმატის ეს სანდერესო თვისება. იგი აუღიღრბებს ოპერატორის სახე-ტად პარტიკას. ხოლო მისმა უღლებელსყოფამ შესაძლოა მეტად აღარასანამოფნო შედეგი მოგვეცეს.

ამიტომაც დეკორაციული ზემოწვევით უნდა დამუშავდეს. ფართო ფორმები კარგად ეუბება ნატურისა და დეკორაციის ერთ კადრში შეთავსებას. არ ირდებებს დადგენის სისამარულირადან ფართოფორმატიანი ფილმის დემონსტრაცია, ჩვეულებრივ, დიდი ზომის ეკრანებზე ხდება, თავისთავად ახლტებურად დგება პლანების სიმსხვილის საკითხში. პირველი, ახუ ე. წ. მსხელი პლანი აქ იეთხება როგორც დეტალი, ხოლო ე. წ. საშუალო — როგორც მსხვილი და ა. შ. ამასთან მსხვილი პლანი ფართო ფორმატიანი ეკრანებზე საშუალო პლანის დანიშნულებასაც ასრულებს. ამიტომაც მაყურებელს შეუძლია ნათლად გაიაროს მსახიობის მიმერი თამაში და მისი ექსტეკუალციაც. და ბოლოს, ფართო ფორმატის შეუძლია ვსრულე ურთოდულად მოგვეცეს ორი მსხვილი პლანი, მაშინ ნოდესაც კლასიკურ ეკრანზე ეს მთელი რიგი სამონტაჟო ნარეული მიიღწევა.

პანორამული ფილმების გადაღება ხორციელდება პანორამული ობიექტივებით, რომელთა ხედვის არე პირიწონტალურ სიბრტყეში 70°-150° აღწევა. ფართოფორმატიანი ფილმი, როგორც წესი, სტერეოფონურია. გადამღები აპარატთან ერთად კადრში მოძრაობს სურათთვანი სიბრტყის დიდი არე. ეკრანის სივრცე, რომლის აღქმაში ადამიანის პერიფერიული მხედვლობაც ექტურად მონაწილეობს, სტერეოფონური გერგასთან ერთად მაყურებელში ირვევს მის უშუალო მონაწილეობის ძლიერ გრძობას. ბევრად დაყვება მასხიობს, მანქანას თუ თვითმფრინავს, იგი მეტად აკუსტიკურია.

ეკრანის დიდი სიბრტყის გამო ფართოფორმატიანი გამოსახულება, კლასიკურთან შედარებით, აღქმისთვის მეტდროს მოითხოვს. დაეკგების და მონტაჟის პროცესში ისიც გასათვალისწინებელია, რომ გადაღებისას და პროექტირებისას ფართო ფორმატიანი ფილმის ფირი, ჩვეულებრივთან შე-

დარებით, უფრო სწრაფად მოძრაობს. ამიტომაც ფართოფორმატიანი კინოსურათის ფიზიკური სიგრძე ღირს თანაბარ მიხაკვეთში ყოველთვის მეტია ჩვეულებრივზე.

დღისათვის ცნობილი ფართოფორმატის 5 ნიარსებოა: „ტოლდ ა. ო.“, „საბჭოთა ფართოფორმატიანი სისტემა“, „მემ-კამერა — 65“, „სინემასკოპი — 55“, „სუპერ-ტექნიკა — 70“.

„ტოლდ ა. ო.“ 1953 წლიდან მ. ტოლდმა ამერიკულ კომპანიათა ერთად დივიუ მუშაობა ფართოფორმატიანი სისტემის შექმნაში მისი ნეგატიური ფირის სიგანე 65 მმ უდრის. ამ ზომის არჩევანი უფრო შეშინვევითაა, ვიდრე კანონზომიერი. აშშ ადრევე არსებობდა 65 მმ საბროვეციო და გადაღები აპარატურა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ამ ზომის ფირის წარმოებაში დამკვეთებას. 65 მმ ფირიდან იბეჭდება პოზიტივი როგორც 65 მმ, ისე 70 მმ ფირზე. პირველ შემთხვევაში ბეჭდა იჭრება ცალკე, ფილმის გადაღების პროცესშივე, ხოლო 70 მმ პოზ-ტურ ფირზე ბეჭდა გამოწველია მასზე 8 ხმისჩამწერი არხის განლაგებით (5 არხი ქმნის სტერეოფონის გერანის გასწვრივ და სიბრძნის, ხოლო მე-6 არხი ელსაბურება სპეციალური ეფექტების შექმნას მაყურებელთა განაზრწი). გარდა 70 მმ პოზიტიური ფირისა 65 მმ ფირიდან (ნეგატივიდან) ოპტიკური ბეჭდვით შეიძლება მიიღოს 35 მმ ასლები ფართოფორმატიანი კინოთეატრებისათვის (თანხარბის სტერეოფონური, ან უბრალო ოპტიკური ფირგერანის ჩაწერით). ტოლდ ა. ო. გადაღებას აწარმოებს ანობოროფოტული ბლოკის გარეშე; გერანის მხარეთა 1:2, 2 შეფარდებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შეფარდება უფრო მიზნერბებული და სრულყოფილია კადრის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ვიდრე სინემასკოპური.

საბჭოთა ფართოფორმატიანი სისტემა. ესეც გადაღებას აწარმოებს ანობოროფოტული ბლოკის გარეშე.

საბჭოთა საკინოტექნიკური-კვლევითმა ორგანიზაციებმა გაითავისწინეს „ტოლდ ა. ო.“ სისტემის ნაკლოვანებები და საწარმო-სადემონსტრაციო ტექნიკის უნივერსალური გამოყენებისათვის შემოღებულია 70 მმ ფირი როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური პროცესისათვის. გადაღები ობიექტივების დიაზოზონი შედარებით გადიდებულია. კოპირების პროცესი უფრო მრავალმხრივია. ფართოფორმატიდან მზადდება 35 მმ და 16 მმ ფილმები ჩვეულებრივი გერანისათვის, ფართოფორმატიანი და სინემატული კინოთეატრებისათვის (სამ ფირზე) და შებრუნებით, შესაძლებელია სამი ფირიდან დაიბეჭდოს ფართოფორმატიანი ფილმი. მაგრამ ძირითადი საწარმოო პროცესი არის 70 მმ ნეგატივიდან კონტაქტური ბეჭდვის გზით 70 მმ პოზიტივის მიღება.

სტერეოფონიტი ჩვენი ფართოფორმატიანი სისტემა უფრო მივიღარა გარდა ნ-არხიანი ხმის ჩაწერისა, შესაძლებელია ცალკე 35 მმ ფირზე 9-არხიანი სტერეოფონური ბეჭდვის გამოყენებაც, ეს შესაძლებელია განართლებულია დიდი ზომის კინოთეატრების, სტერეოფონის მრავალხმაინათვის. კადრის მხარეთა შეფარდება იგივეა, რაც „ტოლდ ა. ო.“ სისტემაში — 1:2.

პირველი საბჭოთა ფართოფორმატიანი ფილმი დამთავრებული იყო 1950 წელს. ამჟამად საბჭოთა დიდი კინოსტუდიები, კერძოდ: „მოსფილმი“, „ლენფილმი“, კიევის სტუდია — მიიღო დატვირთვით მუშაობენ ფართოფორმატიანი ტილოების შესაქმნელად.

„მ 8 — კამერა-65“ ფართოფორმატიანი, ანობოროფოტული სისტემა. იგი თითქმის ფართოფორმატიანი და ფართოფორმატიანის შერწყმაა, ამას იმით აღწევნი, რომ იგი გადაღებას აწარმოებს ფართოფორმატიან ფირზე (65 მმ) და ამავე დროს ობიექტივს ერთვის ანობოროფოტული ბლოკი.

„მეტრო-პოლდინ-მაიკის“ სტუდიამ უარი განაცხადა

„ტოლდ ა. ო.“ აპარატურის იჯარით სარგებლობაზე და დამოუკიდებლად დივიუ საკუთარი გადაღებით ფართოფორმატიანი აპარატურის დამუშავება. „ტოლდ ა. ო.“ სისტემის განხეთქილების შემდეგ გამოიყენა ის საწარმოო აპარატურა, რომელსაც პირველი ფართოფორმატიანი ფილმის „ოლკა-პომან“ შექმნისას იყენებდა. და თუცა ფირის სიგანე იგივე — 65 მმ დასტევივს, ფირმა „პანავიჯი“-თან ერთად შეიქმნა სისტემა „მემ-კამერა-65“ (ფირმა „პანავიჯი“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპტიკური ფირმაა აშშ-ში, ამ სისტემისათვის შექმნა კინოგადაღებით ოპტიკა ანობოროფოტული ბლოკით).

პირველი ფილმი „რენტრი კასტრი“ გადაღებული მემ-65 სისტემაში მზად იყო 1957 წელს. ამ დროისთვის ფირმას არ ჰქონდა გამართული ფართოფორმატიანი კოპირებისა და დემონსტრაციის პროცესები. ამიტომ „რენტრი კასტრი“ 65 მმ ნეგატიური ფირიდან დაბეჭდვით იქნა 35 მმ ფირზე მხოლოდ ფართოფორმატიანი კინოთეატრებისათვის. ფირმის ძირითადი მიზანი რდი იყო ფართო ფორმატიდან სინემასკოპური ასლების მიღება.

1959 წელს კინოსტუდიამ ორი წლის მოსამზადებელი პერიოდისა და 20 თვის გადაღების შემდეგ გერანზე გამოუშვა რეჟისორ უ. უაილზის სურათი „მენ-პური“, დამზადებული 70 მმ ფირზე, ნ-არხიანი სტერეოფონური ბეჭდით. ხმის ჩაწერის არხები სამ-სამად ლეგადების პოზიტიური გერანისებულების როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეზე. კონტაქტური გზით დაბეჭდილ 65 მმ ფილმისალებში მიღებულია კადრის არანახული პროპორციები — 1:3. აქ ხმის ჩაწერა წარბეჭდვ ცალკე, 35 მმ ფირზე ექვსი არხით.

სინემატული ფილმების წარმოებში მემ-65 განსაკუთრებული წარმატებები აქვთ. ფართოფორმატიანი ფირიდან იბეჭდება 3 ცალ-ცალკე ფირზე არანობოროფოტული გამოსახულება. სისტემის ავტორია ფირმა „პანავიჯი“, „მეტრო-გოლდინ-მაიკითან“ ერთად და მას ეწოდება „ულტრაპანავიჯი — 70“.

მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყენებს ანობოროფოტულ ბლოკს მეტად მცირე ანობოროფოტული ფაქტორით — 1.25. იგი იმდენად უნიშვნელო გამოსახულების ტრანსფორმატის იწვევს, რომ თვალისთვის შეუმჩნეველია. ამ სისტემაში, კონტრტაიბის და იმერსიული (სველი) ბეჭდვის საშუალებით მიიღება მაღალხარისხიანი ფილმები სინემატული გერანისათვის. „ულტრა-პანავიჯი-70“ ქმნის მთელ რიგ უპირატესობას სამფირიან (სინემატული) სისტემებთან შედარებით. სახელდობრ, ფილმის გადაღების და წარმოების პროცესში გაიცლებით ადვილდება ერთფორმა მუშაობა, ვიდრე სამთან. გადაღება ერთი ობიექტივით მიმდინარეობს და არა სამით. ექსპონომეტრია, მონტაჟი, სტეპაულო და-მუშავება ნეგატივისა უფრო ზუსტია. და ბოლოს, სამი ფირის გაწვევას, რაც უნდა ზუსტად მოძრაობდნენ კინოგადაღლები კამერის კანებზე, დარღვევები (სინქრონიზმი, თანაფარობა და ა. შ.) შესაძლებელია, ერთი ფირის დროს კი ეს გამოიჩინეს.

კინოსტუდია „ფოქსი XX საუკუნეში“ ფართო გერანის გაუმჯობესების მიზნით შექმნა ფართოფორმატიანის სისტემა „სინემასკოპი-55“. სისტემა იყენებს 55 მმ ფირს, შუთავებულის ანობოროფოტულ ბლოკთან. იგი თავისი პრინციპით ენათესავება მემ-65. ერთი მხედვით, განსხვავება მხოლოდ ანობოროფოტულ კოეფიციენტსა და ფირის სიგანეშია. სინემადვილში „სინემასკოპი 55“ გაცილებით უპერსპექტივო აღმოჩნდა ყველა ფართოფორმატიანი სისტემებს შორის და პირველ ყოვლისა, ამის მიუხედავად ფირის სიგანე — 55 მმ. ამ სისტემის დადებითი მხარე ის არის, რომ მიცხან (ნეგატივის-გან) იბეჭდება მაღალხარისხიანი ასლები „სინემასკოპი“.

პი-35“ კინოფატრებისათვის. მაღალი ხარისხი კადრის დი-  
დი ფართობით აისწავა, რომელსაც ობიექტური სივრცის  
კარგი დეტალიზაციის გადმოცემის უნარი აქვს. მაგრამ ამ  
მცირე უპირატესობამ ვერ განაპირობა სისტემის წარმატება.  
მაღელ ფირმა, „სინემასკოპი-55“ გამოიყენა როგორც ნეგა-  
ტიური პროექსი და მისგან ობტაკური ბეჭდვის (დუბლირ-  
მით ფოტოტექნიკის) საშუალებით დაიწყო 70 მმ-იანი  
პოზიტინური ასლების წარმოება.

„საქმრ-მსწმირმა-70“ ჩამოგავს ფართოფორმატიან სის-  
ტემას. იგი წარმოიშვა ფართოფორმატიანი სისტემის „ტექნი-  
რამას“ დემონსტრაციის საფუძველზე. ცნობილია, რომ  
„ტექნირამას“ გადაღებას აწარმოებს ფართო ფორმატიაციის  
(და ჩვ. ეკრანისათვის) არადამასსიათაებელი მეთოდით. კერ-  
ძოდ, იგი იყენებს 35 მმ-იან ფირს პორიზონტალური მოძ-  
რობით, ამავე დროს ობიექტივის ერთის ანომოროფოტული  
ბლოკი, მართალია, ფირის პორიზონტალური მოძრაობა იმ-  
ლევა კადრის განის გადაღების საშუალებას, მაგრამ სამაგი-  
როდ საჭირო ხდება ფირის უფრო ჩქარი გაწევა, რაც ორ-  
ჯერ აღემატება ჩვეულებრივი ფირის სიჩქარეს და ხელს უწყ-  
ობს მის ინტენსიურად გადაცემას.

ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის უ. დისნეის წინა-  
დადებით დაიწეს ანომოროფოტული 35 მმ-იანი პორიზონტა-  
ლური კადრინი ობტაკური ბეჭდვის გზით 70 მმ-იანი, ნორ-  
მალური პოზიტინის მიღება. ფილმს ერთობ ექვანსიანი  
სტერეოფონიური ბეჭედი და დემონსტრაცია მიმდინარეობს  
უნივერსალურ აპარატურაზე. სისტემას „სუპერტექნირამა-70“  
წოდებდა. ამ სისტემით უ. დისნეიმ გადაიღო მულტიპლიკაციუ-  
რი ფილმი „მძინარე მზეთიანსავე“.

სტატიის ფარგლებში შეუძლებელია ფართოფორმატიან  
გადაღებისა და დემონსტრაციის წინადა ტექნიკური პირო-  
ბების ღრმად გაუმეტება. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის დარ-  
ღვლები, რომლებიც გამოიყენებოდა მოკლუფოკუსიანი ოპტი-  
კის მხარეებში.

40 მმ-ზე ნაკლები ფოკუსიანი ობიექტივის ხმაურება ერთ-  
გვარ სიფრთხილეს მოითხოვს. ამას იმისათვის არ ვამბობთ,  
რომ კინოშერატორმა შემოქმედებითი აზრი ტექნიკური  
ჩარჩოვებით შეზღუდოს. პირიქით, აქ იგულისხმება მოკლე-  
ფოკუსიანი ობიექტივების, „ნაკლოვანებათა“ აქტიური, გაა-  
რებული გამოყენება, კინოტექნიკისადმი ანალოგიური დამოკი-  
დებულება ვხვდებით კინოს გამომსახველობისადმი და ხშირ-  
ად სასურველ მიზანსაც ვაღწევს.

ფართოფორმატიანი სურათების დემონსტრაცია ხდება  
ჩვეულებრივ უნივერსალურ პროექტორებზე, უნივერსალურ  
დარბაზებში. გვემარება თვალისწინებს ეკრანის და მასუ-  
რების მაქსიმალურ კონტაქტს. ასეთი დარბაზების ანოდე-  
მი მრავალნაირია, ძირითადად კი ტექნიკური ხარისხი  
სურია. თვალის ერთი გადავლებით, რომ ვთქვათ, ფართო-  
ფორმატიანი დარბაზს ეკრანის ქორდა დარბაზის სიგრძის  
ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ეკრანის სიმაღლე—  
ქორდაზე ორჯერ ნაკლები.

უნივერსალურ დარბაზებში შესაძლებელია დემონსტრაცია  
როგორც ფართოფორმატიანი, ისე ფართოეკრანისანი, სინერა-  
მული და ჩვეულებრივი კინოსურათების.

სინერამული ფილმების დემონსტრაციის დროს ეკრანს  
ორივე მხრიდან დამატებითი სექციები უერთდება. ფართო  
ფორმატიანი და ფართო ეკრანის პროექციის დროს სექციებს  
ეკრანს აცოვლებენ.

ეკრანის ფორმის საკითხი დღემდე უსაკმაოა. მკვლ-  
ვათა აზრი ორად იყოფა. ამერიკელი სპეციალისტები ახლო-  
ბინებენ ბრტყელ ეკრანს, რომელიც ნაკლებად იწვევს გამო-

სახელების დამახინჯებას. ევროპაში მრუდ ეკრანს აჯობებენ.  
ამ შემთხვევაში მასურებელი თითქმისა, გამოსახულების  
ცენტრში მოქცეული, ეკრანის პორიზონტალურ ჩარჩოს  
ნაკლებად ამჩნევს და პერიფერიული ხედვის არეები აბტიუ-  
რად მონაწილეობენ გამოსახულების აღქმაში. ამავე დროს  
რეალისტური ეკრანი, ბრტყელისა შედარებით, ფიზიკურა-  
დაც ნაკლებ ავადილს იკავებს.

მიუხედავად ამ უპირატესობისა, მრუდ ეკრანზე მეტად  
რთულია ბრტყელი (ჩვეულებრივი) კადრის კონსტრუქცია. რაც  
უფრო დიდია ეკრანის მრუდი, მით უფრო ინტენსიურია გა-  
მოსახულების დამახინჯება. ანალოგიურ ეკრანზე, სინერამუ-  
ლი პროექციის დროს ხვდებით სიმაღლე, მათი სიმცირის  
გამო, შეიძლება მსდევლობაში არ მივიღოთ. ხოლო თუ შე-  
ვადარებთ ფართოფორმატიან პროექციას სინერამულს, შე-  
ვაჩვენებ, რომ ეკრანის სუგმენტის სიმაღლის გამო, ფართო-  
ფორმატიანი ფილმის პროექცია მეტად რთული საქმეა.

დემონსტრაციის გაუმჯობესება მიმდინარეობს ეკრანის  
მრუდის შემცირებით (ეკრანის გაბრტყელებით). „თანამონა-  
წილობის ბრტყელის“ შენარჩუნებით საფარვეტში შექმნი-  
ლია ბრტყელი ეკრანი მრუდ ჩარჩოვით, რომელიც მასურე-  
ბელში რეალისტური ეკრანის ილუზიას იწვევს. სისტემა  
„ი. ო.“ თვადამოწველად აწარმოვდა წინასწარი და-  
მახინჯებებით პოზიტინური ასლების ბეჭდვას, მისი პროექციის  
პროექცია კომპლექსიანი კავთალისწინებით, ე. ი. ყოველი  
საპროექციო დარბაზისათვის უნდა შექმნილიყო შესაბამისი  
პოზიტინები, რაც პრაქტიკულად მიუღებელია. ამიტომაც  
მან მალე აიღო ხელი ამგვარ წარბოვებაზე.

კინოპროექციის გაუმჯობესება მიმდინარეობს კიდევ ერთ  
მიმართულებით — სპეციალური საპროექციო ოპტიკის  
შექმნის გზით, მაგრამ ამ მხრივაც დიდი ხნის განმავლობაში  
ფირმების ცდა ამაო იყო. 1963 წელს პარიზსა და ბრუსელს-  
ში გაიხსნა კინოფატრების „გერაკლორამას“ სახელწოდებით.  
ამ კინოფატრებში გამოიყენეს სპეციალური საპროექციო  
ობიექტივი, რომელიც მეტად მრუდ ეკრანზე ბრტყელი კად-  
რის დემონსტრაციის საშუალებას იძლეოდა. „გერაკლორამა-  
მის“ ავტორია ფრანგი კონსტრუქტორი ჟულ ურთი. სის-  
ტემა იმითაა საინტერესო, რომ მასურებულ „თანამონაწილე-  
ობის ეფექტს“ ან უკარგავს, თანაც, ხელსაყრელია კინოგამ-  
ქირაველობისათვისაც, რადგან უზრუნველყოფს 180 გორც  
35 მმ, ისე 70 მმ-იანი ფილმების მრუდ ეკრანზე 180 გორც-  
დასუიანი კუთხით დემონსტრაციას.

კინემატოგრაფიაში შემოქმედებითი აზრის რეალიზაცია  
მჭიდროდა დაკავშირებით კინოტექნიკის განვითარებას-  
თან. ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩება, თუ მისი განხორციე-  
ლება ტექნიკურად შეუძლებელია. კინოს ისტორიაში მრავალ-  
ი მაგალითია, როდესაც ამა თუ იმ სისტემაში თავისი არსე-  
ლობა ატრაქციონის ატესტაცია დაიწყო. თვით ჩვეულებრივი  
ეკრანიც ხომ საბაზრო ატრაქციონის სახელს ატარებდა!  
„ცირკარამა“, „სინერამი“, „ბრტყელური“, „არო-  
მარამა“, „სინერამა — სპეციალური — 360“ და მრავალი  
სხვა სისტემა დღესაც კინოატრაქციონის როლში გვევლინება.  
და თუ ფართოფორმატიან სუვე მტკიცებდ მისთვის  
მოქალაქეობრივი უფლება, ჩამოვლილი სისტემები ჯერ-  
ჯერობით სასწავლო მიზნებისათვის არის გამოყენებული და  
მსოფლიო კამოყენების საინტერესო ექსპონატებს წარმოად-  
გენენ. ძნელი სათქმელია, თუ რომელ სისტემას მისცემს მო-  
მავალი უპირატესობას. მაგრამ ერთი რამ ცხადია, მასურებელი  
ყოველგვარი პირობითობის უკველება მოითხოვს და  
აღბათ, შორს არ არის ის დღე, როდესაც ვისაუბრებთ უფრო  
სრულყოფილ და თანამედროვე კინოსისტემის შესახებ.

ამ უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის სპეციფიკური გამოვლინებაა აბსტრაქტული ხელოვნება, რომელიც ცდილობს სოციალისტურ კულტურასა და ხალხის შეგნებაში შეაღწიოს რეაქციული იდეალისტური ესთეტიკის მიერ შემუშავებული წარმოდგენებით ადამიანის ცხოვრების აზრსა და მიზანზე, სილამაზესა და სიკეთეზე და ა. შ. ამიტომ აბსტრაქციონიზმის ანტირეალისტური, ანტიუმანიზმისა და ანტიესთეტიკური მხილება მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია განსაკუთრებით სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყველა ქვეყანაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომავალი ჟურნალი „ბილდენდე კუნსტი“, რომელიც პოპულარული ჩვენი ქვეყანაშიც, ფართოდ ასახავს სოციალისტური ხელოვნების განვითარებაში გერმანული ხალხის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამშრომლობის სხვა ქვეყნების ხალხთა წარმატებებს, გადაჭრით ებრძვის ფორმალისტურ მის ყველა გამოვლინებაში. ამ წერილში ძირითადად „ბილდენდე კუნსტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით განვიხილავთ აბსტრაქტული ხელოვნების ფილოსოფიური და ესთეტიკური კონცეფციის ზოგიერთ მხარეს, რაც მკითხველისათვის გარკვეულ ინტერესს უნდა შეადგენდეს.

აბსტრაქტულ ხელოვნებაში ორი მთავარი მიმართულება არსებობს. ერთი მთავარი უშუალო გრძობების პირობაში, მიმართავს ფილოსოფიურ სპეკულაციას და თავის თავს მიიჩნევს ექსპერიმენტული რომანტიკის გამომატველად. მეორე ნაკადი გამოდის რაციონალური საწყისებიდან და იჩენს მიდრეკილებას თანამედროვე ტექნიკისადმი. პირველი მიმართულების დამაარსებელია ფერწერი კანდინსკი და მოქანდაკე ბრანკუზი, მეორე მიმართულების კი — ფერმწერი მონდრიანი და მოქანდაკე დიუსმაში.

კ. კანდინსკი აბსტრაქტული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფუძემდებელია. როგორც მისი ესთეტიკური შეხედულებანი, როგორც მისი მას ხელოვნების რაობა, მიზანი და დანიშნულება?

კ. კანდინსკის მიხედვით, XX საუკუნის დამდეგს განხორციელდა სულიერი რევოლუცია, რომლის აზრი ის არის, რომ ადამიანმა მეცნიერებაში, მორალსა და ხელოვნებაში ყურადღება აარიდა გარესამყაროს და საკუთარ თავში ჩაიხედა. ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია მისწრაფება არაბუნებრივისაკენ, აბსტრაქტულისად და შინაგანი ბუნებისაკენ სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. მეცნიერებას, მორალს, ხელოვნებას გამოხატავს შინაგან შინაარსს, ანუ, სხვაგანაირად რომ ვთქვათ, შინაგანი აუცილებლობის პრინციპს. ეს პრინციპი კანდინსკის ესთეტიკის ცენტრალური პრინციპია, რომელიც განისაზღვრება სამი მისტიკური აუცილებლობით, სახელდობს: პიროვნების ელემენტით — თვითელმა მხატვარმა, როგორც შემოქმედმა, უნდა გამოხატოს ის, რაც ნიშანდობლივია მისთვის; სტილის ელემენტით თავის შინაგან ღირებულებაში — თვითელმა მხატვარმა, როგორც თავისი ეპოქის შვილმა, უნდა ასახოს ის, რაც დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის; წმინდა და მარადიული ხელოვნების ელემენტით — თვითელმა მხატვარმა, როგორც ხელოვნების მხარემა, უნდა გამოხატოს ის, რაც საერთოდ ხელოვნების ატრიბუტია. აქ ჩამოთვლილ თვითელ მოთხოვნას, რომლებიც განსაზღვრავენ შინაგანი აუცილებლობის პრინციპს, როგორც დავიანთეს, კანდინსკი მისტიკურ აუცილებლობას აცხადებს. და მართლაც, შინაგანი აუცილებლობის პრინციპის განსაზღვრულ სამ ძირითად ელემენტს მან მისტიკური ხასიათი მიანიჭა, აქ წამოყენებულ ზოგიერთ სწორ შეხედულებას ყოველგვარი რეალური აზრი დაუკარგავ სწორედ იმით, რომ ზღვარი არ დაუღო თავის მისწრაფებას ფერის საკუთარი ღირებულებისად და ფორმის აბსოლუტური გაბატონებისაკენ,

## აბსტრაქტული

## ხელოვნების

## ანტიუმანიზმი და

## ანტიესთეტიკურობა

(გერმანული ჟურნალის „ბილდენდე კუნსტი“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილების მიხედვით)

ნოდარ კუპრავა

ავთანდილ ჯაკობია



ომუნისტური პარტია ყოველთვის მხარს უჭერს ისეთ ხელოვნებას, რომელიც ამკვიდრებს კომუნისტურ იდეალურებად რწმენას, ასახავს სოციალისტური სინამდვილის, ახალი საზოგადოების ადამიანის მიზნებისა და იდეალების სილამაზესა და სიდიადეს. სკკპ XXIII ყრილობამ ერთხელ კიდევ მაგვიძღოდა გაუსვა ხაზი ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის ლენინურ პრინციპს და საქვეყნოდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც ყოველთვის, კვლავაც იზრუნებს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, შეურყეველად იბრძობებს ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ.

მხატვრის მოუწოდა — იყოს სრულიად თავისუფალი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, იყოს ყრუ თავისი დროის მიძღვრებისა და სურვილების მიმართ. მართალია, კანდინსკი მოუწოდებს სულიერი რევოლუციისაგან, ადიატებს, რომ მხატვარმა უნდა ასახოს ის, რაც ხელოვნების აბრძოლვით და ეპოქის დამახასიათებელია, მაგრამ უნდა ცხადი ხდება ამ დღეულდებათა მისტიკური ხასიათი, როდესაც მხატვარი თვითონ განმარტავს, თუ როგორ უნდა გაევიტო ისინი. ვ. კანდინსკი ამბობს: „როდესაც რელიგია, მეცნიერება და მორალური აზროვნება, ადამიანი არსადიდ მივლის მხარდაჭერას — შერყევით სწყდება გარეშეაყაროს და მიმართავს საკუთარ თავს“ და შემდეგ — „იგი თანამედროვე უსუღუგო ცხოვრებიდან მიდის იმ სუბსტანციებთან და იდეებთან, რომლებიც თავისუფალ აპარატს აძლევს სულის არამატერიალურ მისწრაფებებს. მაშინადაც, ადამიანი უწყდება რეალურ ცხოვრებას, იკეტება საკუთარ „მეში“ და შევება ცილგა სულიერი მისწრაფებით. ყურს მიუვლებს რა საკუთარ შინაგან ხმას, ადამიანი მისწრაფვის უცხოთ არსსაკენ. ვ. კანდინსკის აზრით, ამ „უცხოთ არსის მაგნიტური მიმზღველობის გარეშე შეუძლებელია არის შექმნა ამ სიტყვის ქვიშხირით გაგებით. უცხოთ არსის გამოსატყვის ორიგინალურად და ახლის დირეგულუბას“<sup>2</sup> აი, სადამდე მიყვება კანდინსკი შინაგანი აცტელოლობის პრინციპსა. ეპოქის სულსიტყვების ასახვის საკუთრება ამპორებს სიტყვიერ განცხადებულად დარჩა, ფაქტობრივად კი ხელოვნებას დაუხაა უცხოთ არსში ჩაწვდობა, სამყაროს მიღწეობის ძაღვის გამოვლენა. ხელოვნებას შინა-არსისაგან აბსოლუტური განთავისუფლებით შეუძლია მიღწევის თავის წმინდა სულიერ საწყაროს.

ვ. კანდინსკი საუბრით ლოგოვრად მივიდა ასეთ დასკვნებამდე. აღსანიშნავია, რომ მან ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის მოხსენი და იდეებისა. მის არ ესმოდა საერთოდ საზოგადოების განვითარების ტენდენცია, არ ესმოდა მეცნიერებებში მომხდარი რევოლუციის ხასიათი. იგი გრძნობდა მხოლოდ იმას, რომ „ვევლადფერი იმსხვრევა“ გაუზარა ძალით, და კანდინსკი — მოწოდებულა უნდობლობით, მიზნებისა და იდეალების უქონლობით.

კანდინსკისათვის ხელოვნება თავისუფალია ყოველგვარი იდეალებისაგან; იგი არც არის დაინტერესებული და არც ასახავს საზოგადოებრივ სინამდვილეს. ამიტომ ხელოვნებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სოციალური მნიშვნელობა, იგი არც იცნობს მოვალეობის ცნებას. ხელოვნება მარად თავისუფალია, ისე გაუარბის პრინციპს, როგორც დღე ღამეს. სამაგიეროდ ვ. კანდინსკი ვრცლად ლაპარაკობს აბსტრაქტული ფერწერის კავშირზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან. ისე როგორც ყველა ცნობილი აბსტრაქციონისტმა, ვ. კანდინსკიმაც თავისებურად აღიქვა XIX საუკუნის დამთავრებისა და XX საუკუნის დადგენის ფიზიკის მეცნიერების კლასიკური წარმატებები. როგორც თვითონ ამბობს, მისთვის ატომის გახლეჩა წააგავდა სამყაროს სრულ და უქცარ გახლეჩას... ყველაფერი გაურკვეველი, უფორმო და ცვალებადი გახდა. ყველაფერს გეომეტრიულ ფორმებსაც, ისტორიას და მტრნობილობას მიაწერს. მისთვის „სამკუთხედი არსებობს... არსებობს ამ კატეგორიას, რომლებიც მთელ თავიანთ აბსტრაქტულობასთან ერთად ცხოვრობენ, დღეავენ და შეუძლიათ მოახდინონ ზეგავლენა, მიეკუთვნება კვადრატს, წრეს, სამკუთხედს, რომში, ტრაპეციას და სულ უფრო რთული ურთიხე ფორმები, რომელთათვისაც სახელები მათემატიკას ჯერ კიდევ არ გამოუხატავს. ყველა ეს ფორმა აბსტრაქციის სამეფოს თანასწორუფლებიანი მოქალაქეა“<sup>1</sup>. და ამ ატომის

საკუთნის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ასე ღრმად ვიჭრებით საყაროს საიდუმლოებებში, ვ. კანდინსკის აზრით, ერთადერთი აბსტრაქტული ხელოვნება შეგვეყვება.

მას შემდეგ, რაც მოხსენდა ატომის გახლეჩა, მას საგნები ეჩვენება როგორც „გამჭვირავალი“ რამ, როგორც ენერგიაში განხილვადელო სანგები. ბატერია „გაქაჩრა“, და, მაშასადამე, აშიერდენ მხატვარმა უნდა ხატოს არა რეალური სინამდვილის მოვლენები, ადამიანი მთელ თავის მრავალფეროვან მოქმედებებში, არამედ არს, რაც ემა მივება არის მინალური ანუ „აბსოლუტური“, შინაგანი არსი. ამ უცხოთ არსის „აბსოლუტური“, შინაგანი არსის გამოსახვა კი შესაძლებელია მხოლოდ ფერითა წმინდა ფორმებით. როგორც წინათ სხვადასხვა ჯურის ფორმისაგან გამოსახვა, კერძოდ 1909 წელს ფუტურისტებმა თავიანთი მანიფესტით ხელოვნება „გაანთავისუფლეს“ რეალური საგნობრიობისაგან და მის ქვაკუთხედად უნივერსალური დინამიზმი და სინათლე გამოაცხადეს, ამგვარად ვ. კანდინსკიმაც უარყო საგნობრივი სინამდვილე (საგნობრიობა ენებს ჩემს სურათებს) და ფერი აღიარა იმის გამოსახვის ერთადერთ საშუალებად, რაც ხელოვნების საგანდ მიიჩნევა. ფერი ფერწერაში გამოსატყვის უნივერსალური საშუალებაა. ნაშრომში „სულიერის შესახებ ხელოვნებაში“, რომელიც 1911 წლის დამდეგს გამოიცა გერმანულ ენაზე და ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი მამამთავრის — მთლიანად აბსტრაქციონიზმის იდეური კრეულად გასარკვევად, იგი არჩევს ფერითა ფიქტიური შემოქმედების თვისებებს. მაგალითად, მისი აზრით, თეთრი ფერი ქვებს როგორც დღეს, შავი — როგორც ფერი სასიკვდილო დემილისა, წითელი — გმირობის, ტრიუმფის ფერია და ა. შ.

აბსტრაქციონიზმის ბურჟუაზიული გერმანული ისტორიკოს გრომში ვ. კანდინსკის „ჩვენი დროის ჯიკოს“ უწყობდეს. ვინც ჩვენი ურნად-გაზეთების ფურცლებზე მოთავსებულ კანდინსკის სურათების რეპროდუქციებს იცნობს, შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ ამგვარი შეფასება უმართებულოა და დაუსაბუთებელი. აბსტრაქციონიზმის მამამთავრის შემოქმედებაში ვერ დაინახავთ რაიმე იდეურ ჩანაფიქრს, ცხოვრებისეული თემის მხატვრულ გახსნას და განვითარებას; ტილოებზე უფროსი უბრალო მოსმით აღბეჭდილი კვლავარეული ფორმის, გაურკვეველი გამოსახულებანი არღვევენ თით „წმინდა ფორმის“ ყოველგვარ მოთხოვნებს; ვ. კანდინსკის სურათების ხილვისას უნდა იგრძნობა მათი ატომის მსოფლმეგობრების მისტიკურება, ის სულიერი მდგომარეობა, რომლის დროსაც იქმნებოდა ისინი, და რომელსაც თვითონ კანდინსკი ასე აფიქროს: „პირისახეზე გადაიღავრ წითელი ფერი ცხოვრობს... თეთრი ნახტომს იქით თეთრი ნახტომია. და ამ თეთრი ნახტომის იქითაც თეთრი ნახტომია. და ამ თეთრი ნახტომზეც თეთრი ნახტომია. ყოველ თეთრი ნახტომში თეთრი ნახტომია.“ და ა. შ. როგორც აღმომავლები, სურათებზე მუშაობისას კანდინსკი თურმე თვალბინს უჭებდა, პალტრასთან მიჰქონდა ფურცელ და ივიც „რომელიც უჭრდა“ იმ საღებავს ირჩედა. შემდეგ კი ფერწერის საღებავს უქსრივოდ აცხებდა ტილოზე... დაე, სურათი განსახლებოს არა მხატვარმა, არამედ მისმა ინსტრუმენტმა და მისმა მასალამ.

ამგვარი მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნა ნათელია. ეს არის სალი აზრის, ცნობიერი მომენტის შეგნებელი უარყოფა, ფორმის ატომობრიობის მიყვანა სრულ უაზრობამდე და შინაარსის, იდეის უსიტყვო იგნორირება, ეს არის ცნობიერის ხელოვნებით უარყოფა და არანცობიერის უუყო აღიარება.

ორკაციონალური მომენტი ყოველი აბსტრაქციონისტის შემოქმედების ამოსავალი პუნქტია. მაგალითად, ბაუზონისტი „განცეფრებულია იმ ნაწარმოებებით, რომლებიც მისი სა-

<sup>1</sup> Bildende Kunst, 1957, № 3, გვ. 149.  
<sup>2</sup> Bildende Kunst, 1957, № 3, გვ. 148.

კუთარი ხელების ნამოქმედარია“. ზოდმერი ამბობს: „როცა მუშაობას ვიწყებ, არ ვიცი რა გამოვა. მათგანია ინტუიცია“. ამავე აზრისაა ჯაკომეტა: ჩემს მიერ შექმნილი ფიგურები რაც მთლად გარდაიქმნებიან ხოლმე იმისგან განსხვავებით, სულ ადრე მქონდა წარმოდგენილი“.

ფაინინგერი პატონანად აღიარებს: „რას ვაკეთებ, როცა სურათს ვხატავ? მე ვფიქრობ შევქმნა ხელოვნების სიციხეები, ვანაწივრებ რა ბუნების სიციხეს. მე ხელში ვიღებ სამარ-თებელს და ჩემი გვაგმს, რათა ვიპოვო სული, და ვერ ვიპოვებ მას... თუ ჩემი სურათები ჩემი ანაბეჭდია, მაშინ ისინი კვლავ ე ყველთვის მიჩვენებენ, რომ მე კვლავაც სამართებით ვიყოფილი ვარ. ასეთია ის გერთოწოდებულ ხელოვნება, რომელიც კეთილმეგობრობაა“<sup>3</sup>.

„ჩემი ფერწერის წყარო არანებობიერი. მე ფერწერას ისე ვუვლდები, როგორც ნახატს — ვუდგები უშუალოდ, წინასწარი შესწავლის გარეშე.“

როცა ვხატავ, არ ვიცი, რა ხდება. მხოლოდ შემდეგ ვხე-ვა, რა გადავქმე.“

მე ვერშობ გუბაქივ ტილოზე, რომელიც ენობებით მი-მაგრებულია კედელზე ან იატაკზე. მე მინდა შევიგრძნო მკაცრი ხელდასრის წინააღმდეგობა. იატაკზე მე ძალით ვი-შეშაო თოხივ ძირიდან... საღებავს ხშირად ვუმატებ აგრეთ-ვე ისეთ მასალებს, როგორცაა ხრეში, ქვიშა, ლურსმნები, შუ-შის ნატეხები“.

ასე გვიხსიანათებს თავისი შემოქმედების პროცესს და შთაგონების საგანს თანამედროვე თვალსაზრის აბსტრაქციონ-ლის ჯ. პოლოკი, რომლის შემოქმედებაც ცნობილია „აბსტრაქციონის ექსპერიმენტის“ სახელწოდებით.

ამგარი საერთო შემოქმედებითი პოზიციიდან შეიქმნა კანდიდის, მალევიჩის, მონდრიანის, დელონეს, ლარიონო-ვის, კლემეს, პარტუვის, დალის, მატეის, მასტროიანის ძველი და ახალი თაობის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა აბს-ტრაქტული და ნაწვერადსტრაქტული ნაწარმოებები. ამ ნა-წარმოებებით ვერ გაიგებ, თუ რისი თქმა სურთ მათ აბსტ-რუბს, რატომ იყენებენ უცნაურ სიმბოლურსა სინამდვილესთან ერთობითაში თავიანი აზრებისა და შეგრძნებების, თავი-ანთი მისწრაფებებისა და მსოფლგაგების გამოსახატვად. და ამგარ ჟონელიორობას, ფანტაზიის უსაფრთო თვითუ-ბობას „იქყვის დასაბამი“ (ბრანკუი). „სამყაროს სისტე-მის“ აღმოჩენა (კალდერი) უწოდებს. ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორცაა სიმეტრიის დარღვევა, სხეულის ბუ-ნებრივი პროპორციების უხეში დაზიანება, ობიექტის დანა-წივება მრავალრიცხოვან სექციებად, რომელთაგან თვითუ-ლი გამოსახულია სხვადასხვა დროის მიმგრებები და ა. შ., ამართლებენ ატომური ეპოქის ახალი მოთხოვნებით, ხოლო აბსტრაქციონისტებს აცხადებენ მხატვრებად, რომლებიც ას-რულდებენ გეითომბოლოურ ამოცანას — „იყენებ თვიათი დროის საცა“ (კოტლინი); აბსტრაქტულ ფერწერულ და სკულპტურულ ნაწარმოებებზე ლაპარაკობენ როგორც ახალ საფეხურზე მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში, ლაპარაკ-ობენ როგორც ისეთ ხელოვნებაზე, რომელსაც დიდი მომავ-ლი აქვს.

პირველი აზრი, რომელიც ადამიანს ებადება აბსტრაქტუ-ლი ხელოვნების ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილები-საგან, ეს არის რეალური სინამდვილის დეფორმაცია, პანიორი დატყვევა ხალხის ცხოვრებისაგან. აბსტრაქციონის-ტა მისიანია რაც შეიძლება განუღღვს რეალურ სინამდვილეს და შექმნას ე. წ. აწმინდა სინამდვილე“. აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი თავანებებული დამკველი, ცნობილი ტიტალივი ხელოვნებათმცოდნე ლიონელი ვებტური მხატვარი ფილიპის

აქებ-ადიდებს იმისათვის, რომ მან „1953 წელს ბოლოს და ბოლოს თავი დააღწია სოციალური, ლიტერატურული და ფი-ლოსოფიური რიგის ცრურწმენებს და ხელი მოჰკიდა ფერწე-რას, სამადლი ვერწერას... რათა მთელი გულადღებით იშუ-შათს ფორმის ორგანიზაციაზე, ფორმისა, რომლის მნიშვნე-ლობაც მის თავისთავადობაშია“.

აბსტრაქტულ ხელოვნებას არაფერი აქვს ისეთი, რომელიც გვიანიშენდეს მხატვრის წინებობე მოვალეობას ადამიანისა და საზოგადოების წინაშე. იგი მოწყვეტილია ობიექტურ ცხოვრებისეულ შინაარსს, მისთვის უცხო ყოველი ადამიანუ-რი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მისთვის არც არსე-ბობს წინებობე პრობლემაცა, ცხოვრების სიმართლე და მისი ეთიკურ-ესთეტიკური შესყავა. აბსტრაქციონიზმი წმინდა წულის სუბიექტისტური რეაქციაა რეალურ სინამ-დვილზე. იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი პი-როვნების მისტაური ინტუიციის, არანებობიერი საწყაროს გამოხატვა უკიდურესი სუბიექტივიზმისა და იდეალისტური აბსოლუტიზმის შედეგად ასურდადვე მიყვანილი პირო-ბითი საშუალებებით.

აბსტრაქტულ ხელოვნებაში შეგვიძლია ვეითო მხოლოდ ანტაპუნაიზმი, მხოლოდ სრული გულგრილობა ადამიანის ბედისადმი. მისგან გამოსტყვის ბურჟუაზიული საზოგადო-ების მთელი სიკრულე. თანამედროვე ფრანგმა მხატვარმა-აბს-ტრაქციონისტმა მანესემ კიოხვს, რა და მოგვცა აბსტრაქ-ციონიზმმა ხელოვნებაში, უპასუხა: ჩვენ თანამედროვე ვიოქის ადამიანები ვართ, გათუილი, ხვედრამიმძებული ადამიანე-ბი. გვსურს თუ არა გვსურს, ჩვენი ტილოებიდან გამოსტყვის სიკრულე და იგი თვით ჩვენი საზოგადოების სიკრულეა.

აბსტრაქციონიზმის დევიზია „თავისუფლება და წარმო-სახვა“. მისთვის თავისუფლება — იგივეა, რაც მარტობა, თავისუფლება ხელოვნების სრულ ავტონომიას და წინაბე-სთან მისი დაპირისპირების აღიარებას მოსაწვევს. ხელოვ-მსხატვარს უვალდებულებს, მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძობას უვადებდეს. ამიტომ მხატვარმა მას თავი უნდა და-აწლიოს, რათა თავისუფლება მოიპოვოს მოქმედებაში. „ზნე-ობა, — წერს გ. მიულერი, — მოითხოვს ინდივიდუუმის და-კვემდებარებას და კოორდინაცია, ხელოვნება კი, პირითი, არათუ მოითხოვს მსხვერპლს და შეზღუდვებს, არამედ მიზ-ნად ისახავს, რომ თვითუფლად ინდივიდუუმს თავისუფლად და სრულად გამოხატოს საკუთარი თავი და იგრძნოს კმაყო-ფილება“. მისი აზრით, ზნება და ხელოვნება ერთმანეთს გათორიკვას. ესთეტიკურს და ეთიკურს შორის კოფლიქტი არასდროს წაიშლება.

საზოგადოებისაგან ასე თავისუფალი მხატვარი თავისი წარმოსახვით, თავისი ესთეტიკური ხედვის საფუძველზე ქმნის „წმინდა“ ხელოვნებას, რომლისთვისაც იდეის, შინა-არსისა და ფორმის მთლიანობის, თვით მშვენიერების იდეის უარყოფა ჩვეულებრივი ამბავია. დასავლეთგერმანული სოცო-ლოგიური არნოლდ გელერი თანამედროვე ხელოვნების არსებით ელემენტად იმას აღიარებს, რომ იგი „უკუვადებს მშვენიერე-ბის იდეას“, რომელიც დღესათვის უკვე მოქმედებული და გადამწებული ცნებაა ესთეტიკაში“<sup>5</sup>.

აბსტრაქციონისტთა პრეტენზიების საზღვარი არა აქვს, მათ უსიბრძნოდ თავი მოაქმე ეპოქის სულისკვეთების ერთადერთი გამომხატველებად. ამტკიცებენ, რომ ატომის, კი-ბერნეტისა და კოსმოსური სივრცის დაპყრობის საუკუნის მეცნიერებასთან გაკვირის მიუხედავად აბსტრაქციონიზმა გა-ამიღარა ხელოვნების შემეცნებითი ღირებულება. უფრო მეტე-ტიკ — გარკვეული აზრით ხელოვნებას უპირატესობაც კი მიანიჭაო მეცნიერებასთან შედარებით. სიკრულე. აბსტრაქ-ტული ხელოვნების პრაქტიკასა და თეორიაში ყალბადაა გა-

<sup>3</sup> Bildende Kunst, 1957, № 3, გვ. 140.  
<sup>4</sup> იგივე, 1962, № 10, გვ. 676.

<sup>5</sup> Bildende Kunst, 1963, № 11, გვ. 564.



გებულის მხატვრობის კავშირი, მისი დამოკიდებულება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების უახლეს მიღწევებთან. მან თვანათლოვ გვიჩვენა, რა თროგორ არ შეიძლება იყოს ამ კავშირის ხასიათი, რათა ხელოვნებამ შეინარჩუნოს თავისი საპეიფაჟია. საკმე იქამდეც მივიდა, რომ ალიაფრ დედეანდელ მხატვრის მათემატიკური აზროვნება (პეგუნეჩი), ხელოვნების კინეტიკური ენერჯია (გაბო) და ა. შ.

კონკრეტულად რაში გამოხატება აბსტრაქციონიზმის მიერ მეცნიერებასთან ხელოვნების კავშირითიფიციონობის გაყალბება და ხელოვნების საპეიფიკის უკუღმდეგელობა? პირველყოფისი იმშია, რომ მან ხელოვნების სიგანად აქცინა თავისთავად, იბიექტის ფორმით მიცემული სინამდვილე, განიზრახა მატერიის, ყოველი საგნისა და მივლენის „სტრუქტურის“ გადმოცემა, რაც მეცნიერული კვლევის სფეროა. აბსტრაქციონიზმში „მთელი ძალეით შეალია“ იმის გამოხატვას, რაც არასოდეს ყოფილა და არც გახდებდა მხატვრული ასახვის იბიექტი. ის, თუ როგორია შვის ის დედამიწის შინაგანი წყობა, როგორ მიმდინარეობს სიცოცხლის პროცესი საგნების და მოვლენების, ანდა როგორი სახით შეგვიძლია წარმოვიდინოთ ბუნების ესა თუ ის საიდუმლო და სხვა ამგვარი თემატიკის გამოვლენება უპრეცედენტო მივლენათა ხელოვნების ისტორიაში, მხატვრული აზროვნებისათვის ნიადაგის გამოკვლა და მეცნიერების ამო სამსახური.

შემდეგ, სიახლე ხელოვნებამი მხოლოდ იმას მოაქვს, ვინც ახალ სიტყვას ამბობს ცხოვრებაზე, ახალ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ვინც აფართობს ჩვენი ცოდნის ფარგლებს, აღრმავებს ჩვენს ესთეტიკურ განსჯას რეალურ სამყაროსთან ესთეტიკურ დამოკიდებულებაში, სადეც წინა პლანზე ყოველთვის უმაღლესი ესთეტიკური არსება—ადამიანი. აბსტრაქციონიზმი სწორედ ამისადგია გულგრილი. მან მხატვრული აზროვნების სფეროდან გამორჩევა ადამიანი, როგორც პირვნება, მისი მრავალფეროვანი ურთიერთობა სინამდვილესთან და უაზრო პირობითი ნიშნებით იბიექტური სინამდვილის შესახებ მეცნიერების უახლეს აღმოჩენათა წარმოსახვა თვითნიშნად გაიხატა. ამით დაამახინჯა მეცნიერებასთან ხელოვნების მიმართობის შინაარსი, საპეიფიკური საგნის მოვლენებლობითა და ესთეტიკური ბუნების გაყალბებით ხელოვნებას გარდღეობი დაღუპვა უქდაგა.

და ბოლოს, აბსტრაქტული და ნახევრადაბსტრაქტული ნაწარმოებები არაფერს გვეუბნებიან ადამიანსა და საზოგადოებას შორის, თვითონ ადამიანებს შორის ურთიერთობაზე და, მამასადამე, ხელს იღებენ სოციალურ-ეთიკური პრობლემების მუქზე ესთეტიკურად შეფასონ ცხოვრებისეული მოვლენები. ნამდვილი ხელოვნება ესა თავისი კავშირით მეცნიერებასთან, რომელიც სულ უფრო იზრდება, ფართოვდება და ღრმავდება XX საუკუნის ამ უღიდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, არ კვარავს და არც შეიძლება დაკარგოს რაობა, უარი თქვას სინამდვილის ასახვა და ხატოვად აზროვნებაზე, კვლავინდებურად არ შეინარჩუნოს და უარყოს თავისი საპეიფიკური საგანი. მიჰყვება რა ცხოვრების საერთო ნაკადს, ნამდვილი ხელოვნება ზრდის და აღრმავებს თავის კავშირს მეცნიერებასთან. მაგრამ მეცნიერული ცოდნის უზარლო პოპულარიზატორად როდი იქცევა. იგი იტყვავა მხატვრული სახეებით გახვედრას მეცნიერების წარმოსახვაში, გაბეულად იჭრება ცხოვრებაში და საზოგადოების სატირობოროტო საკითხებს მაღალი მოქალაქობრივი პაპოსით ეხმარება.

აბსტრაქციონიზმი ყოველივე ამისგან განსე დგას. იგი, როგორც ფორმა მხატვრული აზროვნებისა, ამსოლუტურად შეუსაბამოყა ამ დიდ შინაარსისათვის. ამიტომ არაა გა-

მართლებული ძიება ისეთი ფორმალური მხარეებისა—სისტემატიკულ მხატვრობაში, რომელიც თითქმის შეიძლება ესაზურეებოდეს კიდევ შინაარსის ახალ გადაწყვეტას. მხატვრული მეთოდი და ფორმა აბსტრაქციონიზმში მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ვიმჯავლოთ, თუ რაოდენ ჩამოშორდა მხატვარი ცხოვრებას, როგორ დაპყარვა მან ადამიანების სიყვარული და რწმენა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ აბსტრაქტულ ხელოვნებას არაჰყავს მასობრივი დამყვსებელი, იგი არ ესმის ხალხს, მისთვის ესთეტიკური და ზნეობრივი ღირებულების არმქონება. ეს რომ ასეა, ჩვენთვის სასურველი ვასახებია; ხელოვნება ეკუთვნის ხალხს და იგიც არ იწმება ისეთ ხელოვნებას, რომელიც მისი სულიერი ნიწრაფების გასაგებობრივებას არ წარმოადგენს. მაგრამ ეს რომ ასეა, არ მსწონთ და ანცივიფრები კიდევ აბსტრაქტური ხელოვნების თავგამოდებულ დამცველებს. მაგალითად, გრომანი აბსტრაქტული ხელოვნების მისამართით წერს: „გასაკება და აქტუალურიც. მაგრამ პირდაპირ გასალოტარია, რომ მხოლოდ ერთეულებს ესმით იგი“. ნებისთ თუ უნებლით, გრომანმა თავისი უკმაყოფილების გამოხატვისთან ერთად ფარდა ახადა სინართეს, ჭეშმარიტებაც აღიარა. ის, რომ ხალხისათვის უცხოა და გაუგებარი, და მხოლოდ „პრივილეგირებულ“ ერთეულთა კუთვნილებას შეადგენს, აბსტრაქტული ხელოვნების ყველაზე მწვავე და ამავე დროს მოუწუმებელი ჭროლობაა.

აბსტრაქციონისტთა ლოცავა თუ მივყვებით, პოლიტიკით, საზოგადოების სოციალური განვითარების აქტუალური საკითხებით დაინტერესებული მხატვარი არ შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე გაქანებისა და გემოვნების მხატვრად; ვინც საკუთარ „მეს“, როგორც სამყაროს ცენტრს, აბნურად იღებებს და ცხოვრების ფერწერისათვის ყური მიუღვია, ვინც საზოგადოებრივი განვითარების სინართეს თავს არ აიოდებს და ჩვენი საკუთნის ცხოვრების ნიშნების განმსაზღვრელ ახალ შინაარსს გადავვიძლის, მათი აზრით, პოლიტიკის ერთეულთა მსახურია და სხვა არაფერი. მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოების სოციალური წინსვლა, ზრუნვა კაცობრიობის ნათელ შიმაგაღზე, მშვიდობის დაცვა იქნება თუ ფარმისის წინააღმდეგ ბრძოლა, ანამდვილი მხატვრისათვის თორმე არ წარმოადგენს თანამედროვეობას. თანამედროვეობის ბურჟუაზიული გაგების ამგვარი სენსაციურობა კარად ამხილა გომიჩინილა გემინანელმა მოქანდაკემ ფრიც კრემერმა (სტატიაში „საკუთარ თავზე ქეჰარმიჩნეტ უაზრობა“). იგი წერს: „... ჩემთვის, როგორც XX საუკუნის შვილისათვის, არ ასეობრებს იმანე უფრო თანამედროვე, როგორც სოციალიზმია... ჩემი განვითარების პროცესში ყოველთვის ნათლად შევიცნობი, რომ გაცილებით უფრო ადვილია საკუთარი თავის პოვნა, ვიდრე დაუკავშირდ საერთო მოვლენებს. უეპოჭო ხელოვნება, ჩემი აზრით, არასოდეს არსებობს... ჩემი შემოქმედებით ვვდილობ დადგევარმა კაცობრიობას ახლად წარმომოხილ დამწმინდ ბრძოლაში. თუ ამ ბრძოლაში საზოგადოების შენარჩუნებისა და განვითარების სასარგებლოდ შევიტან გარკვეულ წვლილს, მაშინ ჩემს შემოქმედებამი ამის გარდა სიაშთებებით უარს ვიტყვობ ყველაფერზე“.

ასე ფიქრობს ყველა ნამდვილი მხატვარი, ვინც იცის თავისი ადვილი თანამედროვე საზოგადოება, იცის, რომ ხელოვნება ადამიანს ზნეობრივად ამაღლებს, მძლავრი სულიერი იარაღი ჰუმანიზმის იდეალებსა და კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში.

6 Bildende Kunst, 1957, № 3, გვ. 148.  
7 Bildende Kunst, 1962, № 11, გვ. 610.

# ემოჯარღთა

## სამესახურში

ტარიელ ხავთასი



რ. თავართქილაძე — პოლონსკი  
(„ნევის შევარდნი“).

ბევრი კარგი თვისება, ყურადღება მიიქცია იუმორის ფაქტიზ გრძნობით.

ჯგოფში არ არის მშვიდობის დამცველი, თუმცა ბევრს გააყვირის მშვიდობაზე. მის ცხოვრებას ღრმად ამჩნევია იმპერიალისტური ზრახვების კვალი, რასაც კარგად აშხელს მსახიობის მიერ შესანიშნავად შონახული საღებავები გმირის იერსახის დასახატად. რ. თავართქილაძემ სადიპლომით სპექტაკლშივე ცხადყო როლის გახსნის საიდუმლოებაში წვდომის უნარი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში გრძელდება რ. თავართქილაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. პეტია იაკოვლევას როლი (ვ. როზოვი „მისი მეგობრები“) მსახიობის დებიუტი იყო თეატრში. ამას მოჰყვა მთელი რიგი როლებისა, სადაც კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა მზარდი მსახიობის უნარი და შესაძლებლობანი.

ერთი სეზონის მანძილზე რ. თავართქილაძემ სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართულ დასში იმუშავა. აქ მან ითამაშა მთავარი როლი ა. ჩეხოვის პიესაში „ივანოვი“, რომელშიც გადმოცემულია გასული საუკუნის მიწურულის რუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ტრაგედია. ივანოვი, რომლის როლსაც რ. თავარ-

ვატარლური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტთა სადიპლომით ნამუშევარმა „მშვიდობის კუნძული“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მრავალი მაყურებელი მიიზიდა. პიესა დაწერილია თავისებური ხერხით, მისი სცენური გახსნა შეიძლება როგორც დრამატულ, ასევე კომიკურ პლანში. იგი მოითხოვს შემსრულებელთა გონებადახვეილობასა და შექმნილ ვითარებაში ერთი განწყობილებიდან მეორეზე სწრაფ და ბუნებრივ გადასვლას. სპექტაკლში დიდი წარმატება ხვდა მთავარი როლის შემსრულებელს რევაზ თავართქილაძეს (ჯგოფში). ახალგაზრდა მსახიობმა გამოავლინა



რ. თავართქილაძე ბოროს ძნელადის როლში („ბოროს ძნელადე“).

თქილაძე ასრულებდა, ამ ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენელია. იგი ვერ პოულობს თავის ადგილს ძირმომპალ საზოგადოებრივ წყობაში. მსახიობი ღრმად ჩაწვდა გმირის სულიერ სამყაროს და სიმაბრძოლე წარმისას ივანოვის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება. ეს როლი თავისთავად ძალზე რთულია და მსახიობისაგან ნიჭიერების გარდა დახვეწილ ოსტატობასაც მოითხოვს. და სწორედ ამ როლზე მუშაობისას გამოვლინდა მსახიობის კიდევ ერთი საინტერესო თვისებაც — ხელოვნებაში სინდრელეთა დაძლევის სურვილი,

რ. თავართქილაძე — ანატოლი („სიხარბლის ძიება“)



შრომისმოყვარეობა. რ. თავართქილაძემ მიაღწია სრულ სცენურ გარდასახვას.

რ. თავართქილაძე მრავალმხრივი მსახიობია, რომლის მიერ შექმნილ სახეთა გალერეაში არიან ტრაგიკული, ფსიქოლოგიური და სახასიათო პერსონაჟებიც. ამის დადასტურებაა ვარსკვლავებიტუნას ფსიქოლოგიურად რთული, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე როლი მოზარდმაყურებელთა თეატრის საქმეცაში (ო. უაილიდის „ვარსკვლავებიტუნა“). მისი გმირი თავდაპირველად უდარდელი ჭაბუკია, მაღალი წარმოსზობით გაგულისებული და თავისი სილაშაზით გაამაყებული. მსახიობი დამაჯერებელად შლის მაცურებლის წინაშე მის შინაგან სამყაროს. გმირის ფოხიკური დამახინჯების შემდეგ რ. თავართქილაძე ახერხებს მაცურებელს აგრძნობინოს მისი სულიერი ტრავმა და ადამიანის გარდაქმნის რთული ფსიქოლოგიური პროცესები.

სულ სხვაა იგი რინარდ დაჯენის, ანუ უმზაკის მოწაფის (ბ. შოუს „უმზაკის მოწაფე“) როლში. დრამა ასახავს ამერიკელი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ. რინარდი საშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირია. ბუნებით კეთილი, მაგრამ ოდნავ უხეში, დამცინავი — ასე წარმოვივადგენს რ. თავართქილაძე თავის სცენურ გმირს.

თუ რინარდის მეამბოხე სული შეუპოვრად ლამობს მიაღწიოს სანუკვარ ოცნებას, რ. თავართქილაძე — ფერარი („კრაზანა“) მლქენელი, უფროსების მიმართ მორჩილი, ქედმოხრილი, უმცროსების მიმართ კი მკაცრი, უხეში და დაუნდობელი ადამიანია. მსახიობიც კონტრასტული ფერებით სატავს თავის გმირს.

რ. თავართქილაძის შემოქმედებებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჭაბუკი ვალოდია ულიანოვის სცენურ იერსახეს. ი. პოპოვის პიესა „ოჯახი“ ამავლევლად მოგვითხრობს ვ. ი. ლენინის ახალგაზრდობის პერიოდზე. ნათელი და ღრმა აზროვნების, მტკიცე ხასიათის, პრინციპული და მგზნებარე, ბრძოლაში შეუდრეკელი — ასეთია რ. თავართქილაძის მიერ დახატული ახალგაზრდა ვალოდია ულიანოვი.

ეს როლი მსახიობის ჭეშმარიტი შემოქმედებითი გამარჯვება იყო. მაცურებელს სჯეროდა მისი ყოველი სიტყვისა და მოქმედების. განსაკუთრებული ემოციურობით და სითბოთი ატარებდა მსახიობი სცენას დედსათან. მან მაცურებელს აგრძნობინა ულიანოვის უადრესად ინდივიდუალური, სიცოცხლითა და ხალისით ულავსე ხასიათი.

საინტერესო სცენური სახეა ვიქტორ ტუმანსკი (ა. აფინოგენოვის „მაშენკა“). რ. თავართქილაძემ მკაფიოდ დახატა უხეშო ადამიანის სატირული პორტრეტი. მის მიერ გამოქმენილი ეს მხატვრული იერსახე ძალზე პლასტიკურია. მან შესძლო უმნიშვნელო დეტალებიც კი დიდი ოსტატობით დაემუშავებინა. მაცურებელი გრძობდა, რომ ვიქტორ ტუმანსკი უემედოდ დაღუპული ახალგაზრდა კი არ არის, არამედ დაღმებითი თვისებებიც გააჩნია. ღრმა ფსიქოლოგიური ზომიერებით რ. თავართქილაძემ მაცურებელად სწორად მიიტანა თავის გმირში მომხდარი გარდატეხა.

თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში დიდი წარმატებით მიდიოდა გ. შატნოვსკის პიესა „რევოლუ-

ციის სახელით, რომელიც მიემდნა ალკ 40 წლისთავს. პიესაში მოთხრობილია 1918 წლის იმ დაუეწყარ ბრძოლებზე, რომლებსაც ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებდა შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ, მოთხრობილია ლენინური კომკავშირის შექმნის სახელოვან დღეებზე.

სპექტაკლის დასაწყისშივე მაცურებელი ეგნობოდა მიხეტიალე ახალგაზრდა პოეტსა და მომღერალს იაშკას (რ. თავართქილაძე). გამოჩენისთანავე იქცევა იგი ყურადღებას მხიარულებითა და უშუალოდ, იუმორით, მგზნებარე სიმღერებით. ობოლი ჭაბუკი, მიუხედავად სულიერი ტრავმისა, აღსავსეა ნათელი ოპტიმიზმით. იაშკა ხომ მარტო არ არის, მის გვერდით დგას თანატოლთა მთელი არმია, რომელიც ნათელი მომავლისაკენ მიისწრაფვის. „თბილი ქვეყნებო, კარგო ქვეყნებო“ — მღერის ობოლი ბიჭი. ამ ლამაზ მელოდიაში შდელვარედ გაისმის რევოლუციის მიმდე დღეების სიმწვავე. მღერის ბიჭუნა და მაცურებელს სჯერა, რომ მართლაც არსებობს ასეთი ქვეყანა — მარად თბილი და მარად ნათელი.

ახალგაზრდობის თემას ეხება აგრეთვე გ. როზოვის „გზა მშვიდობისა“. მთავარი გმირის თამაზის როლს ასრულებდა რ. თავართქილაძე. მისი თამაზი ენერგიული და ხალისიანი ახალგაზრდაა. მსახიობმა ბუნებრივად და დამაჯერებლად წარმოასახა თამაზის საკმაოდ რთული იერსახე. მან თავის გმირში დაინახა არა მარტო ქარაფშუტა, განებებურული ჭაბუკი, არამედ ღრმად ჩაიხედა მის სულიერ სამყაროში, აღმოაჩინა კეთილშობილური ადამიანური თვისებები, რომელიც დროებით მიჩქმალა ცხოვრების პირობებმა.

კვლავ სრულიად განსხვავებული სცენური სახე პატარა ბიჭი გუინაზული („კაცი, რომელიც იცინის“). ბოროტი ადამიანების მიერ მუდმივი წამებისათვის განწირული გუინაზული — რ. თავართქილაძე სპექტაკი, მაღალი სულის კაცთმოყვარე და გონებანათელი ახალგაზრდაა.

ვისაც „ნების შევარდნი“ უნახავს, უეჭველად დამახსოვრდებოდა დარბაისელი, გონებამახვილი და რევოლუციისათვის გულადი მებრძოლის — პოლონისკის საინტერესო სცენური იერსახე, რომელიც ქუნჯი აქტიორული შტრინებით გამოტყნა რ. თავართქილაძემ.

რ. თავართქილაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბორის ძნელადის იერსახეს. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მებალაგრის — ბორის ძნელადის შეუდრეკელი, მტკიცე ნებისყოფა, მისი პრინციპული ხასიათი, მწარბრუნება მხატვრული ოსტატობით გადმოგვცა მსახიობმა.

როგორც რესპუბლიკურმა, ისე საკავშირო პრესამ მაღალი შეფასება მისცა რ. თავართქილაძის ამ ნამუშევარს. გაზეთი „სოცდემკრული ორგანიზაციის მებალაგრის — ბორის ძნელადის დოკაჲა სვოე პრავო ნა სენიჩნეგო ვოშლენიე ხარაქტეროვ, იხვრავიხსი ვ სეбя ლუჩშიე ჩელოვეჩესკიე ჩერტი, ისპოლნიენიე როლი კომსომოლცა ბორისა ძნელადე ვ პესე გ. ნახუძრისვილი. ვ ნემ ნეტ ნიჩეგო ვნიშე გეროიჩესკოგო. ნაპროტივ, ძნელადე ვ ისპოლნიენი აქტერა ოჩენი სკრომენი პროსტ. ნა პერვი ვზღად ეთოტ ჩელოვეჩ მოჲეტ პოკაჲატი სეაჲე



რ. თავართქილაძე — ანარქისტი („თეთრად ფრიალებს ფრა ეული“)

чрезмерно застенчивым, но проходит несколько минут, и он покораит зрителей чистотой своего внутреннего мира, беззаветной преданностью своему делу. Без позы, без декларации артист раскрывает огромную душевную силу Бориса Дзюнеладзе».

რ. თავართქილაძის შემოქმედებაში იგრძნობა მსახიობის სერიოზული, დაფიქრებული მუშაობა ყოველ როლზე. იშვიათად შეგვხვდებით „ჩავარდნებს“, სუსტ ადგილებს, გამოუკვეთავ ხასიათებს. უკანასკნელ პერიოდში მსახიობმა შექმნა ახალი საინტერესო იერსახეები: მაიორი სიხარულიძე („ცისკარაულების ბუდე“), მანილით („მეთორმეტე დამე“), გალილოუ („გალილოუ გალილოვი“), ჩახანა („კონცია“), ზალიკა („როცა მთავრდება ბავშვობა“), საბჭოთა ჩეცისტი იქი („ციხე-სიმაგრის საიდუმლოება“).

რ. თავართქილაძეს, როგორც საქართველოს რადიოს ერთ-ერთ წამყვან დიქტორს მრავალი როლი შეუსრულებია რადიოდადგომებშიც. მის მიერ წაკითხულ მხატვრულ ნაწარმოებებს, არავითმელ მოუხიბლავს მსმენელი. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კი მრავალი როლი გაუხმოვანებია უცხოური თურქული ფილმების დუბლირებისას.

ყველა მსახიობს აქვს თავისი დიდი ოცნება. „ყოცნებობ განვასახიერო თანამედროვე დადებითი გმირი ქართულ სცენაზე, მინდა ვიარაგო ხელსეტაკოვი და რომეო“, — ამბობს რეჟის. ეგეს გარეშეა, რომ ნიჭიერი მსახიობი, ამჟამად უკვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კვლავ ახალი სცენური სახეებით გაგვაზარებს.



მებძოლი — ა. ზარდიაშვილი („დავით გურამიშვილი“)



შემოქმედებითა სიახლოვემ დღემ რომლითაა აბოს ნიჭის განვითარებაში. მწველზე მეტა, რაც ა. ზარდიაშვილი თავის აუზრდელ შრომულ ხალხს ემსახურება. იგი სათავეში ჩაუდგა შობილოურ სოფლის კინოფაქტის საქმეს, შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კულტურის სახლს, ჩამოაყალიბა ცენტრსოფერულია დრამატული დასი. სხვათადაც ერთად ისიც დამადა საბჭოელის, წარმოდგენებმა — „გლობის წამახობი“, „ივანწამ რა ჰქნა“, „ივანსტერია გიჩა“, „ივან ბატონიშვილი“, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

# ქვლავ სელოვნები გელანთიკული

ქველ სორატსენს, კინომახიონს, დრამატურგს, რეჟისორსა და მორგმწიფელს აბო ზარდიაშვილს რაიონის შრომებელმა გურჩანის კულტურის სახლში დაბადების 60 და მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად გამოაქვეყნა. რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ჯ. ოქროშიძემ და გურჩანის საშუალო სკოლის

დირექტორმა ი. ბაკაშვილმა შეკრებილი მოუთხრეს იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

40 წლის წინათ, ქაბუჯი აბო ზარდიაშვილი მშობლიურ სოფელს თბილისიდან სპირტის მასწავლებლად ეწვია. თან ჩამოიტარა ტაყვის ბურთი და ფეხბურთელთა პირველი გუნდი ჩამოაყალიბა. მას მოჰყვა შეკრებილი სპირტის სხვადასხვა სახეობაში და სასახელო გამარჯვებები.

სპირტსენი ქაბუჯის ატლეთურმა აღწავლობა ურადღებდა მიიტყია. 1929 წელს იგი სახეიმწიფის სააქტიორო სკოლის უკრანტი გახდა. ჭკუფს მიხილ ქიაურელი და კოტე შიქაბერიე ხელმძღვანელობდნენ. მათივე რეკომენდაციით, სხვა წარჩინებულ უკრანთიერებულბთან ერთად, აბო მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გაიწვეა.

აბო ზარდიაშვილის მიერ კინოში შესრულებული როგორც შიქარია, ისე ეპიზოდური როლები ხასიათობს ღრმა შეგროვებით. აქტიორული შემოქმედების სინატყოფი გამოირჩევა. მოკამატიე — კინოსპორაში „ასანის“, ნია — „უკანასკნელ სელოში“, ახალგაზრდა კოლმურენე — „დავიანებულ სასიოში“ და სხვა, მუხუხედავად ხასიათია განსხვავებულობისა დასამხორციელბი ეროვნული იერსახეობა.

მატატორული გამორჩევა აგრეთვე აბო ზარდიაშვილის მიერ მუშა ახალგაზრდობის თეატრში განსახიერებელი როლები — ინიენერი („ინიენერ კოჩინის შედლობა“), ვანო („მხეგრელობა“) და სხვ.

მიხილ ქეურელის, კოტე შიქაბერიის, ნიკოლოზ შენდლიას, დავით რონდელის, ნიკოლოზ სანიშვილის, ალ. მიქლიაძის და ჯ. სულთაშვილის ხელმძღვანელობით მერწედა იგი იერსახეებს. ა. ზარდიაშვილი პარტნიორი იყო ჩუენი სახელოვანი მსახიობების — ვერიკე ანკვაჯიძის, ნატო ვაჩანაძის, მიხილ გელოვანისა და სხვ. მათთან

ნია — ა. ზარდიაშვილი („უკანასკნელი მასკარადი“)



სარიონი გაწვითების ფურცლებზე ა. ზარდიაშვილმა მრავალი ლექსი აქვს გამოქვეყნებული, რომელშიც ავტორი უმეტესის შრომის სიხარულს, პოპულარობით სარგებლობს მისი პიესები საქართველოს ისტორიული წარსულობად: „ივან ბატონიშვილი“, „პირიშვი“, თანამედროვეობაზე დაწერილი პიესა „სტუმრად“ ამთარახებს უაღბანადებს, ლირიკული კომედია „ჩიუტები“ საკომლეთურეო ცხოვრებას ასახავს. ეს პიესები საქართველოს სხვა სარიონო თეატრებშიც იდგმება.

აბო ზარდიაშვილმა რუსულად თარგმნა გამოჩინული გეოტრისტის აკაი ბელიაშვილის პოპულარული რომანი „თავდასავალი ბესიკ ვახუშტისა“, აგრეთვე ზ. ქიქოძის „აგიკელ მეორე“, ლ. ბალიარის „სტუმარი“ და „ბუჯკის პრწავლი“, გრ. ჩიქოვანის „დაბურუნება“ და კართული მხატვრული ლიტერატურის სხვა მრავალი ნაწარმიც. ამ თარგმნება მალევე შეფუხდა დაიმსახურა.

აბო ზარდიაშვილი შეიბრბოდა დავაქვირებელი მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან, მის კოლელდურ საქმიანობასთან. რაიონში არ ტარდება არც ერთი ღონისძიება, რომელშიც იგი თავის მუხუხეფსთან, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელ ნადა ზარდიაშვილთან ერთად აქტიურად არ მონაწილეობდეს. ამიკომატიეო, რომ მის საიუბილეო საღამოზე სარიონი კულტურის სახლი დამსრრებს ვერ ტივდა. იუბილარის გულთხიბება მიესალმნენ: რაიონის შრომობთა სახელობით — სპორტული სკოლის დირექტორი ე. ქარდიაშვილი, კულტურის სახლის დირექტორი ზ. ვიკოტიე, კარდანახის რაიონის მშრომელთა სახეობით — ლ. სულთაშვილი, მესიკელური სკოლის დირექტორი ვ. კობინაშვილი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პრეზიდენტი და და კინოსულია „ქართული ფილმის“ მუშავთა სახელობით — კინოღრამატურე ე. გოგოძე და სხვ.

— 60 წელი შემისრულდა, მაგრამ თავს კიდევ უფრო კარგად ვგრწნობ. მეწინაზე გაცხლა სრულბითაც არ მიშლის ხელს კვლავ ძველებური სიყვარულითა და მინდობით ემსახურეო ჩემს სავაერულ სოფელს, რაიონს, მის მშრომლებს. მათ გარეშე ჩემს ცხოვრებას ფიცი არ ექნებოდა. ჩემი დანარჩენი სიცოცხლე მთი სამსახურში მინდა ვადატარეო, — განაცხადა დასასრულს იუბილარმა.

საქართველოს სამეცნიერეო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორული ეს შემოქმედებითი საღამო ფირზე აღებულს.

სარლო გოგოძე

ტური, მდიდარი ლექსიკითა და დახვეწილი ენითაა შესრულებული თარგმანი, მით უფრო მოგვონის იგი, მით უფრო ახლოს მივყავართ მას დედანთან. ისიც ცნობილია, რომ ეს საკითხი დღესაც ლიტერატურულ-მეცნიერულ პოლოემიკას იწვევს. მაშინ, სხვა თუ არაფერი, თარგმანის თვალსაზრისით მაინც განვიხილოთ დუბლირებული ფილმები, რომელთა შექმნა მრავალსტადიურ მუშაობას მოითხოვს; ვთქვათ მისი დადებითი და მიუფთითოთ იმ ნაკლზეც, რისი გამოსწორებაც ადვილად შეიძლება; ვახსენოთ ის ადამიანებიც, რომლებიც შრომობენ, იღვწიან, გრძნობენ კარგა და ლამაზს, რომელთაც ესმით ნამდვილი ხელოვნება, თვითონაც ვწიარებთან და სხვასაც აზიარებენ კინოხელოვნების გასაოცარ მომხიბლობას.

„ფილმი დუბლირებულია კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ — ასეთ წარწერაინ კინოსურათს ვერ შეხედებით საკავშირო ეკრანებზე, თითქმის ვერც ჩვენი დედაქალაქის კინოთეატრებში, მაგრამ ისინი არსებობენ, მათ იცნობს ჩვენი რაიონებისა და სოფლების მაცურებელი.

მაყურებელი კმაყოფილი ტოვებს დარბაზს, თუ არ გრძნობს, რომ ფილმი გადმოქართულებულია, თუ მსახიობი „რუსული ქართულით“ არ მეტყველებს. უშუალო, ლაღი, მდიდარი ეროვნული ლექსიკა, დახვეწილი, წმინდა ენა, ქართული ხასიათი — ყველაფერი ეს შექმნის კარგ თარგმანს. თარგმანი კი პირველწყაროა კარგი დუბლაჟის მისაღებად.

როცა ფილმის სცენარის თარგმანზე ვლაპარაკობთ, იგი უნდა განვასვავოთ მხატვრული ლიტერატურის თარგმანისაგან, არა იმიტომ, თითქმის მათ შორის რაიმე ზღვარი იყოს, არამედ მხედველობაში უნდა ვიჭინოთ კინოს სპეციფიკა, უფრო სწორად, უნდა გავითვალისწინოთ ის საფეხურები, რომლებიც უნდა გაიაროს თარგმანმა, ვიდრე იგი საბოლოო სახეს მიიღებდეს. ცნობილია, რომ ქართული ენა გაცილებით უფრო ტევალია, ვიდრე რუსული, ერთდღაიგივე შინაარსის წინადადება სიტყვათა სხვადასხვა რაოდენობით გადმოიცემა. ეკრანზე მიდის რუსული ფილმი — მსახიობი მეტყველებს. აქ უნდა მოიებნოს ისეთი შესატყვისი ქართული წინადადება, რომლის წარმოთქმაც ზუსტად დაემთხვევა დროსა და საარტიკულაციო ორგანოს მოძრაობას რუსულში. ამიტომ შეიძლება თარგმანის პირვანდელი სახე მხატვრული და გამართლებულიც იყოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა აუცილებლობამ (დამთხვევამ დროსა და ბაგეთა მოძრაობაში) გამოიწვიოს ქართულ წინადადებათა შეცვლა, ხანდახან მათთვის უჩვეულო სახის მოვლაც. მაგრამ ეს არ არის გამამართლებელი და ნუგეშსაცემი — მთარგმნელი უნდა ეძებდეს, ადგენდეს მრავალვარიანტს და მათგან მხოლოდ ყველაზე უმჯობესს აწვდიდეს ფილმზე მომუშავე ჯგუფს. ასეთივე გულისყურით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს რედაქტორიც, შემდეგ კი მსახიობი... შეიძლება მსახიობმა სრულიად უადგილოდ, შეუკნებლად ჩაუმატოს ტექსტში რაიმე ბგერა, ან თავისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი რაიმე ნიჟანსი და ეს უკვე ნაკლია. ენას ქმნის ბგერა, ასო, გრამატიკული წყობა და ლექსიკა. სიტყვათა მხოლოდ სწორი შეკავშირება მოგვეცემს სრულფასოვან თარგმანს და აქედან — სასურველ შედეგს.

„ქართული ფილმის“ სადრუბლაჟო ჯგუფი (ხელმძღვანელი პეტრე გუნცაძე) თავისი დაარსების დღიდანვე (1940 წ.)

## ქართული

## დუბლირებული

## ფილმები

ლალი გუნთაიშვილი

სწორად იბეჭდება წერილი თუ სტატია ქართულ ფილმებზე, მათ ავკარგვ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი ათავსებს რეცენზიებს ერთსადაიმავე ფილმზე, ერთსადაიმავე მსახიობსა და რეჟისორზე. მსჯელობენ, კამათობენ, და რატომღაც სდუმან ქართულ დუბლირებულ ფილმებზე... იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სხვის მიერ შექმნილი ფილმის გადმოქართულება, თითქოსდა იგივეს განმეორება და ვითომც ახალი არ უნდა თიქვას თუ ასეა, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა მსოფლიო კლასიკოსებს მხოლოდ თარგმანის საშუალებით იცნობს და რაც უფრო მაღალისტა-



ხმის ოპერატორი გ. დოლოძე

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. მას მყურებელისათვის მიუწვდია მრავალი საზღვარგარეთული თუ საბჭოთა ფილმის დუბლაჟი. ცხადია, აქედან ყველა ერთნაირი სიძლიერით არ იქნებოდა შესრულებული. გავცნოთ რამდენიმე დუბლირებულ ფილმს (მთავარი ყურადღება მიექცევა თარგმანის ხარისხსა და მეტყველების სისწორეს).

ფილმის — „ვინა ხარ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ დუბლაჟის რეჟისორია გ. სხირტლაძე. ფილმში (ლაპარაკია ქართულ ვარიანტზე) მოქმედ გმირთა ხასიათები გააზრებული და შესაფერისად გადმოცემულია. რეჟისორის დუბლაჟისათვის სწორად შეურჩევია მსახიობები და როცა ქართველი მსახიობი რომელი ფილმის, იმეორებს თავის „გასამზავნებელ“ გმირს და უკვე შექმნილ ხასიათს ახალ, თავისებურ შემოქმედებით მტრინებელსაც უმატებს, ეს რეჟისორის დამსახურებაა. მსახიობთაგან აღსანიშნავია ლეილა აბაშიძე (ბარონესა საკურაი), ედ. მაღალაშვილი (პ-კი ფუძიშორი) და გურამ სალარაძე (რიპარდ ზორგე). თარგმანი მიხეილ ზანდუკელისა.

თარგმანი გვგვადება თემის ნიშნითა უმართებულო ხმაურებს, ან პირიქით, დაკლების მაგალითები, რაც თითქმის საერთოა ყველა დუბლირებული ფილმისათვის. არსებობს წესი, თუ ზნა I სერიაში თემის ნიშნაინა, მას თემის ნიშანი II სერიაშიც გადაყვება, II სერია საერთოდ უთემისნიშნა. ამ წესს არ ემიჯნობება ასეთი ფორმა:

„ჩაჯდომის დროს არ მინახია?... უნდა იყოს „მინახავს“, მეორე შემთხვევაში კი თემის ნიშანი ზედმეტია „ჩხრკეცავ ჩემს ამხანაგებს“.

„გჯერავთ თუ არა?“ — აქ ზედმეტია ბოლო ორი თანხმოვანი. ასევე ზედმეტია და დიალექტის ფორმას ანიჭებს ბოლო „წა“ ზმნას — „წა გუშინია“.

არის შემთხვევები, როცა გათვალისწინებული არ არის ქართული წინადადების ბუნება და თარგმანი წარმოადგენს კალიკრემას, გადმოტანილია რუსული წყობითა და სინტაქსით, არც თუ მშვითად წინადადების წვევთა რუსული განლაგებაც კი დაცულია. ეს უმნიშვნელო საკითხი როდია და მისი გამოსწორება აუცილებელია, მითუმეტეს რომ ეს არ

არის დიდი პრობლემა. მაგ: „Выслали! Иначе это не назовешь“ — „გადმომასხალებს! ამას სხვა სახელს ვერ დავარქმევ“.

— უფრო ბუნებრივი ქართული გამოთქმა: „გადმომასხალებს! სხვანაირად ვერ იტყვი“.

უდავოა, რომ ქართული სიტყვათწყობა რუსულისათვის ჩვეულ ჩარჩოში მოქცეულია მხოლოდ იმიტომ, რომ დაცული იქნეს არტიკულაცია, რომ დუბლაჟი იყოს სინქრონული. ამ პირობის დაცვა აუცილებელია, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს ენის დამახინჯება და ხელოვნურობა.

„წინადადება: „Из чего ты сделан? Из дерева. Или из железа?“ — სიტყვაისტყვეთა თარგმნილი: „რისგან ხარ გაკეთებული? ხისაგან თუ რკინისაგან!“.

აქ შეიძლება ოდნავ გადავეხვიოთ რუსული წინადადებიდან და შევეცვალო ასე:

„რისი გულა გაქვს რიპარდ, ქვისა თუ რკინისა?“ ამ შემთხვევაში არ დაირღვეოდა მარცვალთა რაოდენობაც კი (საერთო ექნებოდა რუსულთან). ამისათვის ტექსტში ჩავემატებდით „რიპარდ რუს“, „ხისაგან ან რკინისაგან გაკეთებული კაცი“ კი ჩვენი ლექსიკისათვის უჩვეულოა და, ამდენად, არაბუნებრივიც.

რუსულ სამონტაჟო ფურცელში გვხვდება ასეთი წინადადება: „Он отобрал одного серба, принявшего французское гражданство“. მისი ქართული თარგმანი არ არის გამართული, თითქოს დაუსრულებელი შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს: „მან შვარჩია ერთი სერბილი შეწვიოდან, რომელსაც საფრანგეთის ქვეშევრდომობა ჰქონდა“. გაცილებით სწორია ამ წინადადების ასეთი ვარიანტი: „მან შვარჩია შეწვიოდან ერთი სერბიელი, რომელსაც საფრანგეთის ქვეშევრდომობა ჰქონდა“.

საყოველთაოდ ცნობილია გამოთქმა „გერმანია თავს დაესხა“, და არ იყო საჭირო მისი შეცვლა, ისიც არასწორი გრამატიკული ფორმით: „გერმანიას აიპოიასთან კავშირი დასჭირდება, რომ თავს დაეცეს საბჭოთა კავშირს!“

ქართული თანხმოვანფუძიანი სახელები გამოთვლით ბრუნვამი მოთხოვნენ I ბრუნვის ნიშნის. ეს არ არის გათვალისწინებული, როცა ბარონესა მიმართავს ზორგეს: — „დოქტორ ზორგე!“ ეს შეიძლება მსახიობის მეტყველების ნაკლიც იყოს, მან მკვეთრად არ გამოხატა ბოლო მხოვანი.

აი, კიდევ ერთი ნიშნავა, რომელიც თავს იჩენს ფილმის წარწერაში. ტიტრზე აღნიშნულია: „რეჟისორი — ივ ჩამპი“ — ივ-ს წერტილი აქვს დასმული. ალბათ, იგი მიჩნეულია შემოკლებულ სახელად, მაგრამ ეს სრული სახელია და ამდენად წერტილიც უაღვლიათა. ფილმში ყველა წარწერა რუსულადაა და თარგმნის დიქტორი. გამონაკლისია გაზეთის მითავსებული განცხადება: „ვეძებ „მორისის“ ფირმის სპორტულ კაბაროლეტს ორმაგი კარბულატორატით. მისამართით — ალექსი ასოხი“. იქნებ სჯობდა ერთიანობის დაცვა და ყველა ტიტრის რუსულად ან ქართულად მოცემა?

საბჭოთა კინემატოგრაფიამ შექმნა ომის მისისხანე დღეთა ამსახველი მრავალი კინოსურათი. ერთ-ერთია „V твоего порога“.

გმირული სული ნაცნობია ქართული ხელოვნებისთვის,

ამიტომ შემთხვევით არ არის ამ ფილმის დუბლირება, „დუბლირება“ — ამ სიტყვის კარგი გაგებით.

„სხვა სხვის ომში ბრძენიაო“ — არსებობს ძველი ქართული ანდაზა და იგი შეეხიტყვება რუსულ „Чужую беду рукой разведу“ — ს. ეს იდენტური გამოთქმა მთარგმნელს უყურადღებოდ არ დარჩენია.

სცენარში არის რუსული ხალხური ლექსები. ამ ლექსთა თარგმანი შესრულებულია თავისუფალი სტილით, მაგრამ ამით არაფერი შეადგება: დედის რიტმი, ვლერადობა, იუმორი კარგადაა გადმოცემული ქართული სატრფიალო ლექსის ტრადიციებზე აგებული სტრიქონებით

ხომ იცი რომ შენ მიყვარხარ —  
სხვა ზაინდა ჩემგანაო, —  
უპის უქმას შენ ის ვიკორო: —  
გულმა დამეცე ეგ დანაო —  
ღა

Я вас люблю, чего же боле.  
Скажите сами же доколе  
Вы сердцем будете моим  
играть.  
Скажите — жать мне, или  
не жать.

— ლხა, ჩემო გოგონაო, —  
ვერე რამ დავაღიზიანო, —  
ღუბათი ჩემზე თუ დარდობა, —  
მისთვის ველარა მარდობა, —  
მითორე დარდებო... —  
თორეც კვლევ ვარდებო —

Лиза, Лиза, Лизавета  
Ты не жди себе привета.  
Ни закрытого пакета.  
Ни открытого письма.  
А подумай ты сама  
Ночка темна, ночь темна.

ორივე ლექსის თარგმანი შინაარსობლივად დედანთან სულ სხვა სურათს გვაძლევს: მათში შეტანილია ქართული სატრფიალო-სახუმარო შაირისათვის დამახასიათებელი — „ბულში დამეცე ეგ დანაო“, — „ვერე რამ დავაღიზიანო“ და სხვ. რამარცველი ტიპი სატრფიალო ლირიკის ყველაზე უფრო გავრცელებული საზომია და ამ საზომს იყენებს მთარგმნელიც.

ორიგინალისა და მისი მხატვრული დეტალების ადექვატური ნიუანსების მიგნება შეუძლებელია მშობლიური და პირველ რიგში, ხალხური ენის ცოდნის გარეშე. სწორედ ეს ცოდნა — საყრდენია, მთარგმნელობითი მეთოდი და გამოცდები. დასაძლევია სრულფასოვანი თარგმანის მისაღებად.

რაც უფრო კარგია თარგმანი, მით უფრო მეტ მოთხოვნას ვუყენებთ მას; ამიტომაც აღენიშნავთ ზოგიერთ აქ „გაბარულ“ შეცდომას:

ქართულში სხვათა სიტყვის — ო ჩვეულებრივ დაისმის წინადადების ბოლო სიტყვაზე და ასეთ ფორმად:

— „სულ ახლოს არიანო მოსკოვთანო“ — წინა „ო“ ზედმეტია. რუსული Шоссе თითქმის მკვიდრდება ჩვენში, მაგრამ მას გააჩნია ქართული შესატყვისიც: „გზატყვევლი, „მარაგზა“, ამდენად მისი პირდაპირ გადმოტანა მთარგმნელს დასჭირდებოდა ისევე და ისევე მარცვალთა რაოდენობის მიხედვით სიზუსტის დაცვისათვის.

სმენას ეხმარებოდა ასეთი ბრძანება — „სროლა!“ მართალია იგი რუსული Вспрей-ის პირდაპირი თარგმანია, მაგრამ ქართული მეთაური უფრო ბუნებრივად იტყობა „ცეცხლი“ ან „ესროლო“, ფილმში კი „სროლა“ რამდენჯერმე მეორდება.

წინადადების სწორთა არასწორი განლაგება აზრს ცვლის, უფრო სწორად სხვადასხვაგვარად დალაგებული ერთი და იგივე სიტყვები კონტექსტს განსხვავებულ შინაარსს აძლევს.

ასეა აქაც: „მითხავდა ჩრდელ ხანდახან ლოგინში, რატომ არაფერს მუენებოი“. ვაგდა იმისა, რომ წინადადება ცუდადაა დალაგებული, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის გამაყფოლებია გამოთქმული, „რატომ ლოგინში არაფერს მუენებოი“. რუსულში ასეა: „Спросит она, бывало, в постели тишком — что же ты ничего не скажешь? აქ შეიძლება „постель“-ის, „ძილის წინ“-ით შეცვლა და წინადადება მიიღებდა ასეთ სახეს: „ხანდახან, ძილის წინ, ჩემად მკითხავდა — რატომ არაფერს მუენებოი“.


ფილმი „შენს ზღურბოდა“ ისეთი სიმღიერითაა დუბლირებული, რომ აღნიშნულ შეცდომათა აცილება მას იდეალურ დუბლაჟთა გვერდით დააყენებდა.

ძალიან ბევრი ითქვა კინოფილმ „ჩაბავეზე“ — ხელოვნების ამ შედეგზე. უკურებთ ფილმის ქართულ დუბლაჟს და გრძნობთ, რომ „ჩაბავეი“ მართო რუსული მოვლენა არ არის, იგი კანონებისათვისაც ისეთივე ახლობელი და საყვარელია. ამის მიზეზებზე, ვეცავეთ ხასიათი მას ჩვენი საუკრაველი გმირების გვერდით აყენებს. მეტყველებს „ჩაბაი“ და გჯერათ, რომ ქართველი ჩაბავეც სწორედ ასე ილაპარაკებდა, ასე გაბრაზდებოდა, ასე გამოხატავდა სიხარულსა თუ წყენას. ეს არის ნიმუში საუკეთესოდ გახმომანებული ფილმისა, რომელშიც შერწყმულია რუსი და ქართველი ადამიანის ბუნება, ლექსიკა. დუბლაჟი თავიდან ბოლომდე ერთიანი სიძლიერითაა შესრულებული, არ არის გააპარული თითქმის არცერთი ენობრივი, სტილისტური თუ ხასიათობრივი შეცდომა; მიგნებულია რუსული წინადადების კარგი ქართული შესატყვისები.

„ჩემს თავზე მხოლოდ კალო (ან „წისკილის ქვა“) არ დატრიალებულია“ — იტყვის ქართველი კაცი. აქედანაა, ალბათ, აღებული და, უნდა ითქვას, ძალიან მიგნებულადაც, წინადადების „Жизнь прямо как карусель-ის ასეთი თარგმანი: „ცხოვრება პირდაპირ კალოსა ჰგავს“.

არც ის არის შეცდომა, როცა მთარგმნელი არ ცვლის რუსულ სახელს „нагали“ და გადმოიტყვს პირდაპირ, ოღონდ ქართული მაწარმოებლის დართვით. ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როცა ვეტეკიში საჩივრულად მიდის კომისარ ფურმა-

რეჟისორი გ. სხიბრტაძე, მემონტაჟე ე. ციხისელი



ნოთან და გადასცემს ჩაპაევის სიტყვებს: „გვემოქურება, ნა-განაში შეიდი ტყვია მაქცია“.

ისევე, როგორც ფილმში, მის დუბლაჟშიც ერთ-ერთი მთავარია მსახიობი. დუბლიორი, ძირითადი მსახიობისაგან განსხვავებით, რომელიც თვითონ პოულობს გმირის ხასიათსა და მისი გადაწყვეტის ზღვებს, რთული პრობლემის წინაშე დგას. მას ესძლევა უვეე შექმნილი ხასიათი, „ამოსწნილი თო-რემა“ და მან უნდა გაიმოროს იგი, მოაქციოს ახალ ეროვნულ ჩარჩოში, მიანიჭოს ბუნებრივი ნაციონალური ელერა-ლიზა, შეიტანოს სხვა ერის ადამიანის ბუნებაში ქართული ხასიათის შტრისებები: იგი არ უნდა დასცილდეს გასაშვავებელ გმირს და ამასთან მას უნდა დაუმატოს თავისი შემოქმედებითი „მე“.

ასეთად წარმოვიგებება ოთ. მედენინთუხუცესი, რომელ-მაც მშვენიერად დასძლია ჩაპაევის რთული როლი. ასე ვთქვათ, ორიგინალში ბრწყინვალედ შესრულებული ჩაპაევი შესანიშნავად გადმოიტანა ქართულ ფილმში, მსახიობის უხ-დუნა ხმის ზოგჯერ ინტონაციის ცვლაც, იუმორული ტრავიზ-შიც გადასვლა, მისისანე და კეთილი, გულთბილი, ხან კი ბო-როტი „ჩაპაის“ ხასიათის გადმოცემა. ამას ყველაფერს დიდი სტატკობით ახერხებს დუბლიორი. განსაკუთრებით ადამია-ნურია მისი მებირი, როცა კომისარს ეთხოვება, როცა საყვარელ პეტკას ესაუბრება; მოუხეწარი და ჭკვიანია, როცა სტრატე-გიამო თავისებურად ამჟღავნებს ბრიგადის მეთაურს, სასა-ცილო და გულგრილობა, როდესაც პირველად გაიგონებს ალექსანდრე მაკედონელის სახელს... ამ კარვად შესრულებუ-ლი დუბლაჟის რეჟისორია გ. გუნია, ხოლო თარგმანი კუთ-ვის ე. კარსანიძეს.

საკუთრებთ დუბლირებულ ფილმებს შორის შეუძლებე-ლია არ მოვიხსენიოთ „ბედნიერების დღე“ (რეჟისორი ა. ჯა-ლიაშვილი, მთარგმნილი შ. ზანდუკელი). ეს თარგმანი იმის დადასტურებაა, რომ მაღალპროფესიული მუშაობით მივი-დებთ საუკეთესო მხატვრულ თარგმანს, საცხცა ხატვანი, ლა-კონური და წმინდა ეროვნული ელქსიკით. ამ ფილმის ქარ-თული ვარანტის გაცნობისას გიტაცებთ ჩვენი ენის მუსიკა-ლობა და მრავალმხრივი შესაძლებლობანი.

თარგმანში შენარჩუნებულია რუსული კოლორიტი, ამას-თან მას ქართული ეროვნული სულიც ემატება და ეს გაერთი-ანება გააძლევს მხატვრული თარგმანის შესანიშნავ ნიმუშს. განა ჩვენთან ახლოს არ დგას ასეთი სხარტული: „თუ ეს-ტუმრე სხვას, ნუ აუწევ ხმასა;“ ან „აი, ამ შუბლით გამტრევე კაკალა“.

სამწუხაროდ, ამ კარვად შესრულებულ თარგმანშიც გვხვდება ასეთი გაურანდავი გამოთქმები:

„რატომ გაუფრთხილებლად ჩამოხვედიო? აქ რუსული წყობა — почему без предупреждения приехал? — ზუსტად არის გადმოტანილი. ასევე არა აქვს ქართული შე-სატყვისი მოტებნილი ფრაზებს:

— Вы в кино не снимались?  
— Мама! Шура нигде не снималась“.

ასეთი გამოთქმა რუსული ენის ბუნებას შეესატყვისება. მაგრამ როცა იგი ქართულში კალკით გადმოგვატანს, აქ არამც თუ ფრაზები გაისმის უხერხულად, არამედ აზრიც იბინდება:

— კინოში ხომ არ იღებდით?

— დედა, შურა არსად არ იღებდა.

არ შეიძლება გვერიდ ავუართო ქართულ ენაზე დუბლი-რებულ „ოპტიმისტურ ტრაგედიას“. რუსი ხალხის გმიერულმა ეპოპამ შემოიარა ჩვენი რესპუბლიკის ეკრანები, ჩვენმა მა-ყურებელმა შეიყვარა მისი გმირები, გულთან ახლოს მიიტა-ნა მათი ბედნი. ამისათვის მხოლოდ მაღალია ეთქმის ქარ-თულ ტანკინატორაფისტთა სადებლიაო ჯგუფს (რეჟისო-რი — გ. გუნია, მთარგმნილი — პ. წერეთელი) დუბლაჟში დაკავებულნი არიან მსახიობები — ერ. მანჯგალაძე (დიტო-რი), გ. მიქელაძე (კომისარი), მ. კობახიძე (ვაიონენი), კ. დაუშვილი (წინამძღოლი) და სხვ. ისინი მაღალ პროფესი-ულ დონეზე ასრულებენ დაკისრებულ საქმეს.

ტრადიციული ქართული კლასიკური ენა, ჩვეთვის ოდნობა ნაცნობი წმინდა, სულიერი სიყვარულის მაგნე სიტ-ყვები — „ჩემო ყველა! ჩემო ერთადერთო!“ ალექსისი (ი. უჩანავიშვილი) მიერ ლირიზმით ნათქვამი, ფილმის ფინალს საამო კეთილმეოფანებასა და გარკვეულ სიბოის ანიჭებს.

მთარგმნილი დაკვირვებულად ცვლის გამოთქმებს, რუსუ-ლი ლექსების შესატყვისის ქართული ენის საუნჯეში პოუ-ლობს. ერთი შესხედვით არაფერი დაშავებდობა, რომ „Мне надо здоровья беречь“ — ზუსტად გადმოგვანათ: „მე ჯანთილობას უნდა გავუფრთხილდე“. მაგრამ ეს მხო-ლოდ ერთი შესხედვით... ნაცნობი გამოთქმებია: „თავს გა-უფრთხილდი, შეილო“, „შენი თავი მიეცელოს ღმერთმა;“, „ჯანმრთელობა“ და „თავი“ ერთგვარი სინონიმები გამხდარა ჩვენს ენაში და აქედან უფრო ნიშნადობლივი არჩევანია მთარ-გმნილთ: „თავს უნდა გავუფრთხილდე“. ეკრანთან მშვენიერი ქართული გვესაუბრებანი მუხლებურები, გავუგებარია მხო-ლოდ, ერთ ადგილას, როცა გვემანაზე დაკუგუგება, ანარქის-ტები ერთბაშე იწვევენ და მეთაური სხვებს აფრთხილებს: „Тёту збу, комиссара в юбке не пускать“ რატომ არის თარგმნილი ასე: „კაბიანი დედაკაცი არ შემოშვათ“. აქ ხაზი უნდა გასმოდა სწორედ „კაბიანი კომისარს“ და არა დედაკაცს. „დედაკაცი“ და „კაბიანი“ ერთმანეთს ისედაც გულისხმობენ. ამ ქართულ ფრაზაში კი სრულიად იკარგება ის ირონია, რომელსაც მისი რუსული დედანი იტყვს.

რუსული ზმნა ზრის ნათესაყოფად ხშირად მოითხოვს ნაცვალსხვლებს, რადან აქ ერთდღივით მაწარმოებელი ხანდახან ზმნის რამდენიმე კატეგორიას გამოხატავს. ქართუ-ლი ენა ამისგან დაზღვეულია. რუსულში: „Я полистил тёрфю“ ორივე ნაცვალსხვად საჭიროა, ქართულს „შემიყ-ვარდი“ კი ცხადყოფს, რომელი პირი მიმართავს რომელს. ალექსი უტყვდება კომისარს — „შემიყვარდი მე“, აქ „მე“ ზედმეტია.

ასეთი მაგალითები ბევრია აქაც და სხვა დუბლირებულ ფილმებშიც: „ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ სწორედ თქვენ შეუხებნით მე ამას“ („ბედნიერების დღე“), „მე შენ მომწონხარ, მაგრამ მე სხვა შემიყვარდა“, („დილის მატა-რებლები“) და სხვ.

რუსულისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატუ-ლი მახვილი ქართული შესუსტებულია, ხასიათდება ხმის ოდნავი აწევიითა და მარცვლის შეუმჩნეველი გაგარტლებით.

ქართულისათვის შეუფერებელი და უცხოა, როცა თერთგვარ-  
დიელთა მეთაური ქართულ სიტყვას რუსული მახვილის ქვეშ  
წარმოთქვამს — პაუზა — აქ ხმოვანი — ა ოდნავ უნდა გაგ-  
რძელებულიყო და ნაწილი ხმის სიმკვეთრისა მეორე ხმოვან-  
ზეც გადასულიყო.

ასეული საიერიშოდ ემზადება. წინ დიდი გზაა. ისმის  
წინამძღოლთა შეძახილები — „სწორდით!“, „სმენა!“, „ნა-  
ბიჯით იარ!“, „მოსხეთ საუბარი“ და სხვ. შეძახილები ძნე-  
ლად გასარჩევია, მაყურებლის სმენამდე არ აღწევს.

ეს ნაკლოვანებანი თითქმის შეუმჩნეველიცაა, მაგრამ იში-  
ნი არსებობენ და საჭიროა მათზე მითითება.

ენა ერის ყველაზე ძვირფასი და წმინდა საუნჯეა, მისი  
დიდება, ყოველ ენას აქვს თავისი ნორმები და უამრავ ხატო-  
ვან გამოთქამათა საბაბო. ჩვენც მეტი ვეძებთ ქართული ენის  
წიაღში.

დუბლირებული ფილმი ისევე უნდა მიიღოს მაყურებელმა,  
როგორც თავიდანვე ქართულად შექმნილი ნაწარმოები, მისი  
გმირები არ უნდა მეტყველებდნენ ჩვენივე უცხო და უჩვეუ-  
ლო ენით, სმენის დაძაბვა არ უნდა გვჭირდებოდეს მათი მეტ-  
ყველების აღსაქმელად.

დუბლირებულ ფილმებში ერთმანეთს ერწყმიან მხედვე-

ლობით და სმენადი აღქმა. ქართული ბგერის ძლიერი, ხა-  
ტოვანი დეტალების შეკავშირება, რიტმისა და ტემპრის, სა-  
ერთოდ მუსიკის ღრმა ცოდნა ეხმარება ხელოვან ხმის ოპერ-  
ატორს, ფილმს მისცეს ეროვნული ჟღერადობა. ყველა  
კადრს თან ახლავს ეს ურინარი შემოქმედელი.

დიდია ფილმთა დუბლირებაზე მომუშავე კოლექტივი და  
მას საბასუსისმებლო სამუშაო აკისრია. კარგი დუბლაჟის  
საწყისი კი მაინც მაღალმხატვრული თარგმანია. ამის დადას-  
ტრებაა „ჰამლეტის“ დუბლაჟი, სადაც ივ. მაჩაბლის შეუ-  
ღარებელი ქართული მუსიკასავით იღვრება.

კვალიფიციურად დუბლირებულ ფილმთა რიცხვი არც ისე  
ცოტაა: „ბეგო“ (რეჟ. გ. სხირტლაძე); „დავდივარ მოსკოვის  
ქუჩებში“ (რეჟ. ო. ჭავჭავაძე), „ერთი წლის ცხრა დღე“  
(ა. ჯალიაშვილი), „ყველაფერი რჩება ხალხს“ (რეჟ. კ.  
გერმელიძევილი), „ყველაზე ნელი მატარებელი“ (რეჟ. დ. აბა-  
შიძე), „ისინი აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ“ (რეჟ. დ.  
ალაიძე) და სხვ.


კარგად დუბლირებული ფილმი ორიგინალს მეტოქეობას  
უნდა უწევდეს. ამის მიღწევა კი, ისეთი ძლიერი და შემოქ-  
მედებითი კოლექტივისათვის, როგორიც „ქართული ფილმის“  
სადუბლაჟო ჯგუფია, ძნელი არ არის.

# უპიკლეპი ნაკსულიან



ილი თეატრალური მოღვაწე და შესანიშნავი დრა-  
მატურგი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-  
იუჭინი ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა ქარ-  
თული თეატრისადმი, ახარებდა მისი წარმატებები  
და კეთილი რჩევით ხელს უწყობდა ქართული სათეატრო ხე-  
ლოვნების შემდგომ განვითარებას. ამიტომ იყო, რომ ქართულ  
ილი მოღვაწეები და დრამატურგები იმედით შესცქეროდნენ  
მას, სახეოდნენ რჩევა დარცობას, გულსაბილად ესაუბრე-  
ბოდნენ მტკიცეფილ საკითხებზე.

შარშან, სსრ კავშირის ლტერატურისა და ხელოვნების



ცენტრალური არქივის ფონდში მივაკვლიეთ შალვა დადიანის  
რამდენიმე წერილს, რომელთა ადრესატია ა. ი. სუმბათაშვი-  
ლი-იუჭინი. ეს ეპისტოლარული მასალა ერთხელ კიდევ ცხად-  
ყოფს ამ ორი ცნობილი მოღვაწის გულობილ და შემოქმედე-  
ბით ურთიერთდამოკიდებულებას.

აი ერთ-ერთი წერილი, დთარიღებული 1923 წლის 4 აპ-  
რილით:

ძვირფასო ალექსანდრე ივანეს ძე!

აი უავე მეზოთ დღეა უმწვავესმა ინფლუციამ მიმაკაჟა სა-  
წოლს, რამაც წაართვა თქვენს საზეიმო სპექტაკლზე დასწრების

და ერთხელ კიდევ თქვენი მეგობრულად გადაკიცვის სიხარული.  
(ნების მომცემი?) მე გუშინვე გამოვიკვავინე ჩემი მეგობარი, ჩვენი დრამატურგი ტრ. რამიშვილი, რომელმაც, იმედი მაქვს, პირნათლად შეასრულა თავისი მისია, გამოვიკვავინე აგრეთვე ის ნომერი ჩვენი უყოვლადიერი გაზეთისა „მსახიობის დღე“, რომლის მშენებელსაც წარმოადგენს თქვენი დიდებული საპროგრამო, დამარჩიებელი აზრები. უღრმეს ქართულ მადლობას ვიმღვინო ქართველ მსახიობთა კავშირის გამომცემლობის და ჩვენი მოყრდნელებული რედაქციის სახელით, ლიტერატურული ხელშეკრულების, ანუ კონვენციის საქმეების შესახებ მე უკვე შექონდა საუბარი რომელიმე გროგოვ ტიტებს ძესთან, ისე განსაზღვო კანდიდატად.

არსებითი ჩემი წინადადება კატეგორიულად მიუღებელია, ახლა წინაა დეტალურად. მე მაქვს ზოგიერთი მასალა, მაგრამ ძალიან გზოვით, ამ წერილის მომტყვის ხელით გამოიზგავნეთ დიდად პატივცემული ლენინარსკის მიერ შეთავაზებული პროექტი, რომლის შესახებაც თქვენ მე შეუბნებოდით. ექიმო იმდენ მძღველს, რომ ამ დღებში შევძლებ სამსახურში წასვლას, ლენინარსკის პროექტს შევუარებო ჩვენი მასალა, შევუფარდებო ჩვენი სინამდვილეს და შესაძლებლობებს. თბილისიდან თქვენ გამგზავრებამდ დავნიშნავთ სპეციალურ სხდომას და გზოვით ამ სხდომაზე დასწრებას. თქვენთან ერთად უკანასკნელ რედაქციას გაუკეთებთ შესაბამის აქტს და შემიძღვ უკვლავების სწრაფად გადგორებათ, თქვენი რწმუნებულებით, გაცემული რუს მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირის მიერ, ჩემთან ინახება.

მართლა, გავიგე, თითქმის ამ მოკლე ხანში დასწრებისათრ ჩემი კომედიის „გუშინდელის“ დადგანას და პიესა მოწერინებიათ, თუ ეს მართალია როგორც ვამაუბრ!

კიდევ ერთხელ მიიღეთ ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები თქვენი ჰუმპარტიკ თაუფანისცემელისაგან.

შალვა დადიანი

მომდევნო წერილი, დათარიღებულია 1926 წლის 10 მაისით. მასში გარკვევითაა ხაზგასმული თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენდა ა. ი. სუბოტაშვილი-უფუნი სპარტელოში სათეატრო სტუდიის დასაარსებლად.

„ღრმა პატივცემული — აღესანდრე ივანეს ძე! თქვენმა ავამეყოფობამ და შემდეგ სტუდიის შემდგომი არსებობის საკითხთან დაკავშირებულმა საფარგლო მდგომარეობამ საშუალება არ მომცა პირადლ მენახეთ მათხაც კი, როცა თქვენ ჩემი მიღების საშუალება მოგვეცათ.“

ახლა სტუდიის საქმეებთან დაკავშირებით მივემგზავრებთ თბილისს და აზიოტ იძულებული ვარ დაკავაყოფილდე წერილით.

პირადლ ჩემი და მთელი სტუდიის სახელით დიდ მადლობას გწირავთ ამ მუღმივთ, განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ უყოვლთვის იჩენთ სტუდიისადმი, მისი პირველი სექტატის გამო თქვენს მიერ წარმოთქმული სიტყვისა და მხარდაჭერისათვის. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან საკითხი სტუდიის შესახებ საპოლოდ თბილისში გადაწყდება, ჭრატკრობით

კი იმას მივალწიეთ, რომ სტუდიას ნება დართეს გადაწყვეტილებას დაელოდოს მოსკოვში და საკითხის გარკვევამდ განაგრძოს თავისი საქმიანობა.

იმედი მაქვს, სტუდიის საკითხი დადებითად გადაწყდება, უკან დაბრუნების საშუალება მომიცემა და მასწინაზღუბებით თქვენი ნებართვით.

ამასთან ერთად, სტუდია იმდენ არ კარგავს, რომ გვეცნება სრული ფორმული შესაძლებლობა ნახვის ღირსი გახადოთ მისი მთავრ სექტატად, რომელიც გათავალწინებულთა ითვისის პირველ რიცხვეთისათვის.

ვიცივლთ გულითად სალომას და სრული გამოყანმრთლების სურვილს, ღრმად პატივცემული აღესანდრე ივანეს ძეც.

შალვა დადიანი“

1926 წ. 10 მაისი, მოსკოვი.

შემდეგ წერილიმ ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულია აღესანდრე ივანეს ძე! გზოვით მიიღეთ სალამო თქვენი შობობური სპარტელოდან. მოსკოვიდან ჩემმა ნაჩქრევმა გამოგზავრებამ საშუალება არ მომცა მენახეთ და პირადლ გადამეხება მადლობა მუღველოვის სტუდიისადმი თქვენი გულითადი ყურადღებისაგან.“

ვრც თქვენმა ჩარევამ, ვერც ჩემმა ცდამ — შევეგანარჩუნებნა სტუდია, შედეგი ვერ გამოიღო: ეკონომიკრ რევიზიან დაკავშირებით სტუდია ლიკვირებულთა იქნა. სპარტელოვლის მოაღდა მეტროსტედალ დიდი კულტურული წამოწყება. ვირწმუნო მინდა, რომ სტუდიის აღწრდლინი განაგრძობენ განსვენებულ ვახტანგ ლევანის ძის დაწყებულ საქმეს. სწორედ ამ მიზნით მიემგზავრებთან მოსკოვის სტუდიელები აღსაბამე და ჭავაშვილი. იმისათვის, რომ მიიღონ სამხატვრო თეატრში სრულყოფილი თეატრალური განაღლება, მათი სურვილი და თხოვნა მოეწყოთ თავისუფლდ მსმენელებად სამხატვრო თეატრის სცენაზე.

ისინი ორივენი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდები და განახლებული ქართული თეატრის მომავალი რევისორები და ხელმძღვანელები, ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ მათი თხოვნა დაკავაყოფილებულთა იქნას. მაისისა რა ხელგუნების საქმეების განყოფილების ხელმძღვანელთა განსაზღვრებით, მე უყოვლმზობე შევუწყობ ხელს მათ დაწყებულ საქმეში, მაგრამ თქვენც, ძვირფასოა აღესანდრე ივანეს ძეც, გაუბედავ და გზოვით დაეხმარათ და მფარველობა გაუწიოთ ჩემს უყოვლ მოწოდებებს. ზამთარში მექნება მოსკოვში ყოფნის და პირადლ მადლობის გადახდის საშუალება. შედინიერი ვიქნები განხით შობობური თბილისში. უზარჩილდეს გზოვით, მომბეგოთ შეწყუებისთვის.

1926 წ. თქვენი პატივისცემული შ. და“

ა/ხ თბილისი.

ეს წერილები შეუქს ჰყვნს ორი დიდი ადამიანის ურთიერ-ობითს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს.


წერილები დაწერილია რუსულ ენაზე.

წალი ბანაშვილი, ლეონი ივანოვი



ენეკალი,

ღკაპატუკი



დავით თაქთაქიშვილი

გიორგი სამხარაძე



რამატურგი დავით თაქთაქიშვილი ორმოცი წელია ემსახურება ქართული თეატრისა და ლიტერატურის განვითარების საქმეს. მწვრთლმა მთელი თავისი მოღვაწეობა საბჭოთა ხალხის სულიერ, კულტურულ და ესთეტიკურ აღზრდას მიუძღვნა. მისი ნაწარმოებები მაცურებულს აყვარებს ცხოვრებას, საქართველოს გმირულ და სახელოვან წარსულს, უღვივებს პატრიოტულ გრძნობებს. დრამატურგი კარგად იმარჯვებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ებრძვის კაპიტალისტური ფსიქიკის უმსგავს ნაშთებს. ეს მგზნებარე პათოსი წითელ ზოლად გასდევს დრამატურგის თითქმის ყველა ნაწარმოებს.

„ამას წინათ, — წერს შალვა დადიანი, — მე გახლდით ქუთაისში. დავესწარი მესხიშვილის სახელობის თეატრის ახალ წარმოდგენას. მიდიოდა ახალი პიესა დავით თაქთაქიშვილისა — „შარავანდელი“ (დადგმა თეატრის მთავარი რეჟისორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნიკო გოძიაშვილისა)... მან (თაქთაქიშვილმა — გ. ს.) აირჩია დასასურათებლად აკაკის მოხუცებულობის უკანასკნელი დრო და ჩვენს წინ გაცოცხლა მშვენიერი ეპიზოდები აკაკი წერეთლის ცხოვრებისა: გვიჩვენა, რომ ის იყო ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომ სწორედ ამისათვის სდევნიდა მას ცარიზმის მთავრობა და მისი ცენზურა“...

შალვა დადიანი აღნიშნავს, რომ ავტორმა სცენაზე გამოიყვანა აკაკის თანამედროვენი ნიკო ნიკოლაძე, იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, სოსიკო მერკვილაძე, კოტე აბდუშელიშვილი, უცხოელი მეგობარი ბარონ დე-ბაი და სხვ. „სტანისლავსკი ამბობს, — განაგრძობს შ. დადიანი, — რომ თუ თეატრი უტილიტარული საგნების გაშუქებასაც მოახერხებს, ეს მხოლოდ თეატრის დადებითი მხარის გამოვლინება იქნება და ეს ბიოგრაფიული პიესა ამართლებს ამ მოსაზრებას. ამიტომაც გვგონია, რომ ეს პიესა უფრო მონო-

დრამა, ამ ჟანრს ეკუთვნის და ამით არაფერი არ შევლება. მაყურებელი დაძაბული ყურადღებით ისმენს პიესას თავიდან ბოლომდე. ეს კი ავტორის გამარჯვებაა. („ლიტერატურული გაზეთი“ 1957 წლის 26 ივლისი).

შალვა დადიანის ამ წერილს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება დავით თაქთაქიშვილის შემოქმედების გაგებისა და მხატვრული ოსტატობის შეცნობისათვის.

დავით თაქთაქიშვილი დიდად ნაყოფიერი მწერალია, აქტურად ემხურება საჭირობოთ ცხოვრებისეულ მოვლენებს, მკაცრად ამართხებს ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს შემორჩენილ მანკურ მხარეებს — სიხარბეს, შურს, სიხარბაყეს, ქედმაღლობას, სიყალბეს, მტრობას, უსწეობას, გარყვნილებას... ხოტბას ასხამს კაცურ-კაცობას, სიმართლეს, თავადიდებას, ჯანსაღის დამკვიდრებას და გამარჯვებას.

დავით თაქთაქიშვილის შემოქმედება, თემატიკის თვალსაზრისით, მრავალფეროვანია. იგი ორიგინალურად მოფიქრებულ ფაბულაზე აგებს თავის პიესებს და ამიტომაც გაეღობათ კარგი ჩვენი რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარში.

დ. თაქთაქიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლექსები, ერთშემქმენიანი პიესები, ფელეტონები, სკეტჩები... ისინი იდგმება ან სრულდება ესტრადაზე, კულტურის სახლებისა და კლუბების სცენებზე.

დავით თაქთაქიშვილმა დაწერა ოცდაათი პიესა, ამათგან ოცდარვა ქართული და რუსული თეატრების სცენებზე დაიდგა. პიესებში ასახულია საქართველოს ისტორიული წარსულის სურათები და მათ ფონზე დახატულია ხალხისათვის თავდადებული ადამიანები, კულტურის მოღვაწეები. პიესების ერთი ნაწილი მიძღვნილია რევოლუციური წარსულისადმი, აქ გამოყვანილი არიან მებრძოლი ადამიანები, მათი ფიქრებით თავისუფალ ცხოვრებაზე, ხალხთა ბედნიერებასა და მშვიდობაზე.

მაგრამ დ. თაქთაქიშვილი უპირატესად თანამედროვეობის ამსახველია. ხალხთან მჭიდრო კავშირში, ცხოვრების მხარდამხარ სიარული, ბრძოლა ახალსა და ძველს შორის — აი მისი დრამატურგიის ორგანული და დამახასიათებელი ნიშნები.

დრამატული კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდა თაქთაქიშვილის პიესებს. ჩვენი პრესის ფურცლები უხვ მასალას იძლევა მასზე.

დრამატურგიაში დავით თაქთაქიშვილის დებიუტი იყო 1938 წელს დაწერილი პიესა „წიწი“, რომელიც მან სიხეშ-ში მუშაობის პერიოდში შექმნა. შემდეგ წელს ეს პიესა ზეგნიდისა და ლანჩხუთის თეატრების სცენაზე დაიდგა. ასე დაიწყო მისი, როგორც პროფესიონალი დრამატურგის ჯგუფი.

ამის მოქვეყნებამ ცხოვრებისეული და მხიარული კომედია „კვალბენი დალაქი“ (1939), რომელიც უღებუდ დაიდგა რაიონულ და საოლქო თეატრებში. 1940 წელს კი დაიწერა „ოჯახი“, რომელიც ავტორის სერიოზულ გამარჯვებად იქნა მიჩნეული. ეს დრამა პირველად დაიდგა გორის სახელმწიფო თეატრის სცენაზე და დიდი გამოხმაურება პოვა საზოგადოებაში. ორი წლის განმავლობაში საქართველოს თეატრების მრავალ სცენაზე იქნა წარმოდგენილი და ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

1940 წელს დავით თაქთაქიშვილმა დაწერა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრების ამსახველი გმირული დრამა „უკვდავი ლაშქრობა“. მომდევნო, წლებში კი, სამამულო ომის თემას მიუძღვნა პიესები „გვირაბი“ და „კაკაპასიონი“. პირველი დასადგმელად მიიღო მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, მეორე — თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა და ლენინის რაიონის მუშათა თეატრმა, რომელსაც თასინბაძე ხელისუფლების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გრიგოლ სულიაშვილი.

ომის წლებშივე განახორციელა მისი ახალი პიესა „რომანტიული შესვენება“ ფოთის სახელმწიფო თეატრმა. ცნინვალის თეატრის რეპერტუარში 1948 წელს დადგა „ქარიშხალმა გაადაიარა“.

1945 წელს დ. თაქთაქიშვილმა დაწერა მუსიკალური კომედია „სამთა სიყვარული“. სპექტაკლი იმდენად საინტერესო გამოვიდა, რომ იგი 300-ჯერ იქნა წარმოდგენილი. 1947 წელს მუსიკალური კომედიის თეატრმა წარმატებით დადგა მისივე „ნათელა“. გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნება“ (1948 წ. 12 დეკემბერი) აღნიშნა, რომ მუსიკალური კომედიის თეატრმა გეზი აიღო თანამედროვე თემებისაკენ. „ამ მხრივ, „ნათელა“, როგორც თანამედროვე ქართული საბჭოთა მუსიკალური კომედია, უფოდ, საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს... „ნათელა“ ავტორისათვის ნაბიჯია წინ. ამ პიესაში დრამატურგი უკვე საკმარისად ეუფლება მუსიკალური კომედიის განზობილვ თვისებებს და სათანადო მასალას ქმნის როგორც კომპოზიტორისათვის, ისე მსახიობისათვის მუსიკალური, კომედიური და ვოკალური ოსტატობის გამოჩენისათვის“.

ამ მუსიკალური კომედიის შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ აღნიშნავდა, რომ დავით თაქთაქიშვილმა პიესაში აძღრა თანამედროვეობის საჭირობოთ საითვისები, გამოიყვანა საბჭოთა ცხოვრების მშენებელ ადამიანთა სახეები.

მუსიკალური კომედიის თეატრში დაიდგა, აგრეთვე, დავით თაქთაქიშვილის პიესები: „ცანის დედოფალი“ (1949 წ.), „სალხინიბოლი“ (1950 წ.), „პირველი ქმრის მორჯულება“ (1958 წ.).

ამავე პერიოდში მან ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაკვეთით დაწერა საოპერო ლიბრეტო „ნაგარბათონი“.

1953 წლიდან დ. თაქთაქიშვილის მუშაობა უკავშირდება ლალა მუსხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი რეჟისორი ვასო ყუბიტაშვილი. აქედან იწყება ახალი, უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ეტაპი დრამატურგის ცხოვრებაში. 1955 წელს ქუთაისის თეატრში დაიდგა მისი პიესა „გრიბოდოლი“, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა.

ა. შალვაშვილი და თ. ჯანელიძე შეურაღ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1955 წლის № 5) წერდნენ, რომ „დ. თაქთაქიშვილის პიესის „გრიბოდოლი“ სახით ჩვენი თეატრების რეპერტუარს კიდევ ერთი ნაწარმოები შეემატა დიდი მწერლის ცხოვრების შესახებ“. რეცენზენტები მიუთითებენ, რომ პიესის დრამატულ მოქმედებას საფუძვლად უდევს მასფრი კოლიზია — გრიბოდოლის იდეალებისა და იმდროინდელი

სოციალური სინამდვილის დაპირისპირება.

თეატრმოდენ ელენე შაფათავა პიესის დადებით მხარეს აღნიშნავს, მაგრამ იმასაც მიუთითებს, რომ დრამატული ნაწარმოები დასდევული არ არის ნაყოფანებისაგან. პიესა მოკლებულია ტრაგიზმს, რადგან კოლიზია ვითარდება „მხოლოდ და მხოლოდ გრიბოედოვის ცხოვრებიდან აღებული ფაქტების თანმიმდევრობის მიხედვით და არა ხასიათებისა და მოსოფლმხედველობათა შეჯახებით“ (1956 წ. № 5).



სტენა სპეტაკილიდან „შარავანდიდ“ რეს. სახ. არტისტო შ. ხაყალიაკაი წერეთლის როლი

ალ. ბურთიკაშვილი წერდა: „დრამატურგ დავით თაქთაშვილს დრამა შეუსწავლია ის ეპოქა, ის გარემო, რომელში უნდებოდა ცხოვრება გრიბოედოს, და ყოველივე ეს კარგ დრამატულ ჩარჩოში მოთქმევია... სცენაზე ცოცხალი ადამიანები დადიან და არა მოლაპარაკე სქემები... რეცენზენტი აღნიშნავს პიესის ზოგიერთ ხარვეზს. (გაზეთი „კომუნისტი“, 1956 წ. 16 სექტემბერი).

სანტერესია რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის აზრიც: „პიესა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს... მიგვიხირობს რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოებრივი მეგობრობის იდეაზე. პირველად ჩვენს მწერლობაში ავტორი სწორი იდეური პოზიციებიდან აშუქებს 1832 წლის შეთქმულების სოციალურ ბუნებას“ (გაზ. „ლიტერატურული ქუთაისი“, 1955 წ. 25 თებერვალი).

გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა კრიტიკოს მიხეილ ტუსკაის ვრცელი წერილი „გრიბოედოვის“ შესახებ.

1960 წელს დავით თაქთაშვილმა ქუთაისის დრამატული თეატრისათვის დაწერა კომედია „შემობრუნება“. იგი ორიგინალურად დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თამაზ მესხმა. ჩვენმა პრესამ დადებითი შეფასება მისცა „შემობრუნებას“ და მის წარმოდგენას ქუთაისის თეატრის სცენაზე.

1963 წელს ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარში გამოჩნდა დ. თაქთაშვილის ახალი პიესა „თეთრი ღამურა“.

გასულ წელს ლაღო მესხიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა დრამატული ახალი კომედია „მგლები“, რომელიც დასცინის და დაუბოძობდა ებრძვის გაიფერობას თაღლითობას, ბოროტებას. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან მგელკაცები, რომლებიც არავის ინლობენ, ბოროტად იყენებენ მდგომარეობას და ფეხქვეშ თელავენ ადამიანურ კეთილშობილებას. ამ კარგ კომედიას სერიოზული შემეცნებითი და აღზრდებითი მნიშვნელობა ენიჭება.

1959 წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დრამატურგი დავით თაქთაშვილი შემოქმედებითის მივლინებაში გაგზავნა მოსკოვსა და ლენინგრადში. იქ მან დიდძალი მასალა შეაგროვა... ამ გმირი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე საქვეყნოდ ცნობილი ადამიანთა ხალხაყების ვეგერდნი მწერალმა ამოიკითხა ეპიტაფა: „პატარა მსახი-

ობ-აგიტატორს კოტე მღებროვს“. ამ წარწერამ დააფიქრა დრამატურგი, შემდეგ შეკრიბა ბიჭუნას შესახებ დოკუმენტები და შექმნა გმირულ-რომანტიკული ბალადა „ნვეის სავარდენი“. პიესაში ამაღლელები უშუალოდ არის ასახული პატარა კომუნარის კოტე მღებროვილის გმირული ცხოვრება იმ ქაირიშალიან დღეებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა თავგანწირვით უმკლავდებოდა რევოლუციის მოსიხსლე მტრებს. „ნვეის შევარდენი“ დაიდგა თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში. ეს არის პოეტური პიესა. დაწერილია კინემატოგრაფიული ხერხით, შედგება პატარ-პატარა სურათებისაგან. ამბები ისე ბუნებრივად, სანტრეტესოდ და მღელავით ვითარდება, რომ მაყურებლები შეუნდებელი ყურადღებით მიჰყვებიან მოქმედების მსვლელობას და რეპლიკებითაც იმ მონაწილეებზე წარმოდგანაში.

„ნვეის შევარდენის“ დადგმა თბილისის მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის კოლექტივმაც წარმატებით განახორციელა სცენაზე.

რევოლუციური პათოსით გამსჭვალულ ამ პიესას, პედაგოგიური და იდეური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დავით თაქთაშვილის მიმელი შემოქმედება, განსაკუთრებით ბოლო პერიოდისა, მთქმელია ჩვენი თანამედროვეობისადმი. დრამატურგს იტაცებს ჩვენი ცხოვრების შემოქმედ ადამიანთა გმირული შემართება, შრომა და მიღავაუბობა. მას მუდამ აქვს გათვალისწინებული ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა საბჭოთა მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს. მცდარ შეხედულებათა ნორმების რღვევა, ძველი გადმონათების აღმოფხვრა, სოციალისტური შეგნების დანერგვა დავით თაქთაშვილის დრამატურგის მასაზრდოებელი წყაროა.

მომავალში ავტორმა კიდევ მეტად უნდა იზრუნოს ტიპების მხატვრული განზოგადებისათვის, რთული ფსიქოლოგიური სახეების გამოკვეთისათვის.

დავით თაქთაშვილი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში იმყოფება, ჭაბუკური ენერჯით განაგრძობს მოღვაწეობას და ბუნებრივია, რომ მკითხველები და მაყურებლები მისგან ასალ, უფრო მნიშვნელოვან, მაღალდღურ და მხატვრულ ნაწარმოებებს მოელან.

(შემდეგი მამუკა) მანამდე დარჩა გიმნაზიაში, ვიდრე არა-  
ლგალური მუშაობისათვის გამოირცხადდნენ, შემდეგ კი ქარ-  
თულ თეატრს მივევლია.

ვლადიმერ (მამუკა) ამაშუკელი ჯერ კიდევ გიმნაზიის  
მე-4 კლასიდან გაიტაცა სათეატრო ხელოვნებამ. იქვე შეადგინა  
სცენისმოყვარეთა რუსული წრე და 1900 წელს პანსიონის  
დიდ დარბაზში წარმოადგინა მეორე მოქმედება გოგოლის პი-  
ესიდან „რევიზორი“, რომელშიც გოროდნიჩის როლს თვითონ  
ასრულებდა. წარმოდგენილი იყო აგრეთვე ვოდვეილი „არცერ-  
თი წამი მოსვენება“. წარმოდგენას ესწრებოდნენ ლადო მეს-  
ხიშვილი, ვიქტორ გამყრელიძე და დავით აწყურელი, რომლე-  
ბიც კმაყოფილი დარჩენილან ამ საღამოთი.

ამან კიდევ უფრო წაახალისა ვლადიმერი. ახლა მან ქარ-  
თველ მოწაფეთაგან შეადგინა სცენისმოყვარეთა წრე და და-  
იწყო წარმოდგენების მართვა კერძო ბინებში, ეზოებსა და  
სახლების აივნებზე. რეპერტუარში ჰქონდათ ვოდვეილები და  
მხატვრული კითხვა. ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს მაყურე-  
ბელი ტაშით აჯილდოებდა.

ქუთაისის გიმნაზიიდან გარიცხვის შემდეგ, ვლადიმერმა  
თბილისის მე-2 გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდები და ატესტატის  
მიღებისთანავე გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც ბუნებისმეტ-  
ყველების ფაკულტეტზე შევიდა. მაგრამ 1905 წლის რევოლუ-  
ციას მოჰყვა უნივერსიტეტების დახურვა და ვლადიმერმა გე-  
ში სამშობლოსაკენ აიღო. თბილისისაკენ მომავალი გზაში  
შეხვდა სტუდენტ ვანო დათოშვილს, რომელიც ყოველ ზაფ-  
ხულს ჩამოდიოდა საქართველოში და წარმოდგენებს მართავ-  
და. ვანო ნიჭიერი კომიკოსი მსახიობი იყო. მას დიდად აფა-  
სებდა ლადო მესხიშვილი. სწორედ მან ურჩია ვლადიმერს,  
ლადო მესხიშვილთან მიდი თეატრში.

მართლაც, ვლადიმერ ამაშუკელი ქუთაისის დასში ჩაი-  
რიცხა. აქ ეზიარა იგი პროფესიულ სცენას. თოფილე ხუსკი-  
ვაძის პიესაში მოხუცი მამუკას როლს ასრულებდა და იმდე-  
ნად მართალი, იმდენად უშუალო იყო, რომ ლადო მესხიშვი-  
ლი აღტაცებაში მოვიდა: „მართლაც ნამდვილი მამუკა ხარ და  
დღეიდან ასეც დაგიძახებო. იმ დღიდან მოინათლა ვლადიმერ  
ამაშუკელი — მამუკა ამაშუკელი, და ახლა თავისი ნამდვი-  
ლი სახელი ვლადიმერი რომ დაუძახოთ, ეგებ არც კი მო-  
გხედოთ.

იმ დროს ქუთაისის დასში ირიცხებოდნენ: ნუცა ჩხეიძე,  
ნარო მდივანი, ღესპინე გვეტაძე, ჩიქოვანი და თათიშვილი;  
ვასო ბალანჩივაძე, დათიკო ჩარკვიანი, გიორგი თუთბერიძე,  
ნიკო გვარამი, ვიქტორ გამყრელიძე, დავით აწყურელი, იუზა  
ზარდალიშვილი, დავით ბაქრაძე, გრიგოლ ჩარკვიანი და მა-  
მუკა ამაშუკელი. თბილისიდან ჩამოდიოდნენ ხოლმე ტასო და  
ვასო აბაშიძეები, ალექსანდრა კარგარეთელი, ვალერიან გუნია,  
ფეფიო და კოტე მესხები.

რეპეტიის პერიოდში ყველგან შეწყდა სანახაობების ჩვენე-  
ბა, არტისტები უნუგეგმო მდგომარეობაში დარჩნენ.

მამუკა კვლავ თბილისში დაბრუნდა და ვალერიან გუნიას  
დასში მიიღეს. მაგრამ თბილისის ქართული თეატრის საქმეც  
გაურკვეველი იყო, ასე რომ გ. გუნიამ ურჩია ბაქოს ქართველ-  
თა კოლონიის სცენისმოყვარეებს შეუერთდით. ეს წრე 1895  
წლიდან არსებობდა. იმხანად მასში ირიცხებოდნენ: ქეთო ან-

## მამუკა

## ამაშუკელი

### ალა გაჩეჩილაძე



მამუკეთელი თერძის, იაკობ ამაშუკელის ოჯახი მძი-  
მე კვირიკოზურ გაჭირვებას განიცდიდა. ყოველდღიუ-  
რი შემოსავალი მცირე იყო დღით დაობლებული ორი  
ვაჟის გამოსაზრდელად და ფიჭვი იმაზე, რომ შვილები უსწავ-  
ლელები არ დამირჩნენო, გულს უკლავდა მზრუნველ მამას.  
დიდი გაჭირვებით მაინც მოახერხა და ისინი გიმნაზიაში მი-  
აღებინა. მაგრამ ვასილმა, რომელიც გატაცებული იყო ხატვით,  
მალე აიცრუა გული სწავლაზე და ვასილ ბალანჩივაძის სამ-  
ხატვრო სახელოსნოში შევიდა (მოგვიანებით იგი პირველი  
კინოოპერატორი გახდა საქართველოში), ხოლო ვლადიმერი

დრონიკაშვილი, ცაცა ამირაჯიბი, ანიკო ნადირაძე, ვარვარა შველიძე, ოლია შველიძე, დავით შველიძე, არტემ ახობაძე, ალექსანდრე ნადირაძე, ანტონ ტუმბურიძე, გიგა მატარაძე, ევტინი თალაკვაძე, გრიშა პავლიაშვილი, ბიხუა. ხელმძღვანელად დაინიშნა მამუკა ამაშუკელი.

ამ წრეს დიდ დახმარებას უწევდნენ ბაქოში მცხოვრები ქართველები, ნავთის მრეწველები: ჯაყელი და იოსებ დადიანი მეუღლით — თამარით, სასამართლოს თავმჯდომარე ასლან გელოვანი, მოსამართლე ლევან მამულაშვილი, ვექილი სვიმონ კვიციანი, ექიმი ვანო ელიაშვილი, გიმნაზიის დირექტორი ემილიანოვი, ფოსტის მმართველი ესტრელი ამამუკელი, გიორგი კახიძე მეუღლით — ქეთო ანდრონიკაშვილით, რომელიც ბაქოს ქართული თეატრის სულისჩამდგმველად ითვლება. სხვადასხვა ხელობის ადამიანები ბაქოს ქართული თეატრის ჭერქვეშ ერთ მთლიან ოჯახად იყვნენ გაერთიანებული. მილიონერები — ტავიგი და მუსანავიგივი კი ერთმანეთს ეჯობებოდნენ, რომელი მეტ თანხას შეწირავდა ქართულ თეატრს; მით უფრო მუსანავიგივი, რადგან ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი ლიზა ხანუმ თარხნიშვილისა. ისინი ბაქოს ქართველთა კოლონიის გამგეობის წევრები იყვნენ. 1912 წელს სწორედ მათი ინიციატივით აშენდა „მორსკოის ქუჩაზე“ (სადაც ახლა 26 კომისიების მოედანია) ორკლასიანი დაწესებითი ქართული სკოლა. ამ სკოლის შენობაში მოთავსდა ქართული თეატრიც, რომლის პატარა სცენიდან ბევრმა ცნობილმა მსახიობმა გაანათა თავისი ბრწყინვალე ნიჭით.

ვიდრე ამ სკოლას ააშენებდნენ, ბაქოს ქართულ თეატრს არ გააჩნდა მუდმივი ადგილი. ამიტომ წარმოადგენებს მარტავდნენ ხან ტალიევის თეატრში, ხან „სომეხების კაცთმოყვარეთა თეატრში“, ხან მუხღვართა კლუბში. მაგრამ ცნობილი მსახიობის ეფემია მესხის მეუღლემ, ივანე გვენჩიმა მალე საკუთარი თანხებით მოაწყო 300-ადგილიანი თეატრი და მოიწვია პროფესიონალი მსახიობები: ეფ. მესხი, ნუცა ჩხეიძე, ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი-თორელი, თავისი ცოლის ძმა კოტე მესხი დასის ხელმძღვანელად დანიშნა, ხოლო მამუკა ამაშუკელი მსახიობად და თეატრის ადმინისტრატორად მიიღო.

ეს დიდი აღმავლობის წლები იყო ბაქოს ქართული თეატრისათვის, მაგრამ სამი სეზონის შემდეგ კოტე მესხი თბილისში გაემგზავრა და თეატრის მუშაობა რომ არ შეფერხებულიყო, მამუკა სეზონურად იწვევდა ხოლმე ალექსანდრე წუწუნავას, შალვა დადიანს, ვალერიან ზალიაშვილს, იუზა ზარდალიშვილს, ნიკო გვარამებს და სხვებს; გასტროლებზე ჩამოყვდა ლადო მესხიშვილი, ვასო და ტასო აბაშიძეები, ალექსანდრა კარგარეთელი, ნინო დავითაშვილი, ცაცა ამირაჯიბი, ვალერიან გუნია და სხვები. მათი სტუმრობა ბაქოელებისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ბაქოში ლადო მესხიშვილმა დადგა „კრეჩინსკის ქორწინება“, რომელშიც მამუკა ასრულებდა კრეჩინსკის როლს, ხოლო ლადო რასპლუევი იყო. აქ მამუკამ თავი ისახელა შემდეგი როლებით: — კრეჩინსკი („კრეჩინსკის ქორწინება“), დათო („ლალატი“), აკოპი („ცხოვრების გარემო“), არდიაქსენი („ექიმი შტოკმანი“), შაკი („სამშობლო“), მესაფლავე („ამელიტი“), მა-



მამუკა ამაშუკელი

მა („როზა ბერტი“), მოხუცი („ფიქრები“), ფაშა („დამა“) და სხვა მრავალი.

ბაქოს ქართულ თეატრში მუშაობის დროს მამუკა ამაშუკელი მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაშიც, მხარში ედგა ცნობილ რევოლუციონერებს — ალიოშა ჯაფარიძესა და სტეფანე შაუმიანს. ალიოშას იგი იცნობდა ქუთაისიდან, როგორც ნიჭიერ სცენისმოყვარეს, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა გაიოზის როლს ვალერიან გუნისა „დამა-ძმის“.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ალიოშა ჯაფარიძემ კომუნდატურა ჩააბარა მამუკა ამაშუკელს.

1918 წელს მამუკა ამაშუკელი თბილისში დაბრუნდა და მისი ძელი მეგობრის — პეტრე ჭავჭავაძის დახმარებით, რომელიც მაშინ ქართული კლუბის მამასახლისად იყო, თეატრის გამგედ დაინიშნა. ამ თეატრში მუშაობდა მუდმივი დასი ალ. იმედაშვილის ხელმძღვანელობით. დასში მამუკაც ითვლებოდა. ამავე 1918 წელს დაარსდა ხელოვნების კავშირი. არჩეული იქნა მისი გამგეობა — თავმჯდომარედ ალ. იმედაშვილი, მოადგილედ — მამუკა ამაშუკელი, მიდინად — სანდალა გაჩეჩილაძე.

1920 წელს მამუკა კვლავ ქუთაისს უბრუნდება, სადა<sup>1</sup> თეატრის ხელმძღვანელობა დაეკალა. ბუნებით შემოქმედს მას სცენა უფრო იტაცებდა, ვიდრე თანამდებობები. ადგილობრივი მსახიობებისაგან დასი ჩამოაყალიბა და დაიწყო წარმოდგენების მართვა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში.

1928 წელს თბილისში რეჟისორ ალ. თაყაიშვილის და მწერალ ელიზბარ პოლუმორდინოვის (ზედგინძის) ინიციატივით დაარსდა მოხარად მასურებელთა თეატრი და მამუკა ამასუკელი ამ თეატრის მთავარ ადმინისტრატორად დანიშნეს. როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, მამუკა ამასუკელმა თავი გამოიჩინა რუსთაველის თეატრშიც, სადაც 1930 წლიდან მუშაობდა ადმინისტრატორად.

შემდეგ მამუკა კვლავ ადმინისტრატორის თანამდებობა-

ზე მუშაობს საქართველოს ფილარმონიაში, ხოლო 1941 წელს, როდესაც გაერთიანდა ფილარმონია და ესტრადა, იგი დანიშნეს საქართველოს ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ. 1955 წელს მამუკა ამასუკელს 70-წელი შეუსრულდა და უფრო „იოლ სამუშაოს“ მოკიდა ხელი — კინოთეატრ „თბილისში“ გადავიდა დირექტორის მოადგილედ, სადაც 1961 წლამდე მუშაობდა.

ამჟამად მამუკა პენსიონერია. თუმცა 80 წელს გადაბიჯა, მაგრამ თავს მაინც მხნედ გრძნობს. გულს უხვარია ამ ახოვანი, წარმოსადეგი მოხუცის დანახვა. სად არ შეხვდებით მას, არცერთი შეკრება, არცერთი სანახაობა არ გაიმართება რომ არ დაესწროს, საქმის კურსში არ იყოს.

იგი ნამდვილი მოჭირნახულეა ჩვენი თეატრისა.

## ო რ გ ო ტ ი ნ ე ლ ი

### ს ც ე ნ ა ზ ე

ივანე დავითიანი

დროი ამირბეკიანი ქორე დანდენის როლში („ქორე დანდენი“)



საკუნწეზე მეტი ხნის ისტორია აქვს სომხურ თეატრს თბილისში. ამ ხნის განმავლობაში აქ — თბილისის სომხური თეატრის სცენაზე მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორც იყვნენ: ცნობილი ტრაგიკოსი პეტროს ადამიანი, გეგორქ ჩმშვიანი, ოვანეს აბელიანი, არმენ არმენიანი, ვაჰრამ ფაფაზიანი, გეგორქ პეტროსიანი, სირანუში, ოლგა მაისურიანი და სხვ.

რეჟოლუციამდელი სომხური თეატრის ცხოვრება მეტად რთული და მძიმე იყო. პირველ ყოვლისა, თეატრს არ გააჩნდა საკუთარი შენობა და მსახიობებიც მატერიალურად დიდ სიდუხჭირეს განიცდიდ-

ნენ, მათი არსებობა დამოკიდებული იყო შემთხვევით შემოსავალზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პირველ ხანებში, სომხური წარმოდგენები იმართებოდა რუსთაველის სახელობის თეატრში, ხოლო პარალელურად სომხეთსა საქველმოქმედო საზოგადოების შენობაში (ალავერდის მოედანზე).

1936 წელს სომხურმა დრამატულმა კოლექტივმა მიიღო საუკეთესოდ მოწოდებული საკუთარი შენობა და ენერგიული მუშაობა გააჩაღა. ამ დროს კოლექტივში გაერთიანებული იყვნენ: მარი და არტემ ბერიანიანი, ის. ალისანიანი, გ. ფორუმიანი, ა. ლუსინიანი, ალავერდი-

ნი, ვალტაინი, დორი ამირბეკიანი, რ. პაპოვიანი, რ. სიმონიანი და სხვ.

ამ პლუდაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტმა დორი ამირბეკიანმა, რომელსაც დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ამირბეკიანი ძალზე საინტერესო მსახიობია. მას ახასიათებს გულწრფელობა, როლის ფაქტად დამუშავება და გიჟის სიყვარული ბუნების ღრმად გახსნის უნარი.

დორი ამირბეკიანი დაიბადა თბილისში 1905 წელს, ხელოსნის ოჯახში, 1906 წელს გარდაცვალა მამა და ქვრივი დედის ანარა დარჩა რვა სულისაგან შემდგარი ოჯახი. დორის დედა განათლებული ქალი იყო, უყვარდა ლიტერატურა. დედამ მოახერხა შვილებისათვის საშუალო და უმაღლესი განათლება მიცეცა: „მარტო ჩემმა ოჯახმა, — ამბობს დორი თავის ბიოგრაფიაში, — ექვსი პედაგოგი და ორი მსახიობი გამოზარდა“.

დორი ამირბეკიანმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის ნერსესიანის სახელობის სომხურ სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს და სომხეთში, პარალელურად მონაწილეობდა მუშათა კლუბებში გამართულ სპექტაკლებში, ხელმძღვანელობდა დრამატულ წრეებს.

1935 წელს იგი სარეჟისორო კურსებზეა მოსკოვში, ხოლო 1936 წლიდან დღევანდლამდე თბილისის შუშუმიანის სახელობის სომხური სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია. ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწევა, წერს მონადირეთა ცხოვრების ამსახველ მოთხრობებსა და ნოველებს, რომლებიც სიტყვითადად იმეჭდება სომხურ ჟურნალ-გაზეთებში, აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ სომხურ რადიოგადაცემებში, ამასთან მხატვრული კითხვის საუკეთესო ოსტატიაა.

დორი ამირბეკიანი გიზ-მაიის როლში („ღარბუელი ოჯახი“)



თეატრალური მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე დორი ამირბეკიანს მრავალი როლი განუსახიერებია. ვისაც კი უნახავს, ვერ დაივიწყებს მის მიერ შექმნილი იერსახეებს, რომლებიც ყოველთვის ხელოვნების მაღალ საფეხურზე იდგნენ. დორი-ამირბეკიანი გამორჩეულად თითქმის ყველა როლში, მაგრამ გარდასუენდუკიანის პიესებში იგი შეუდარებელია. კომედიაში „ხათაბალი“ დორი განასახიერებს ზამბახოს. მისი პერსონაჟი გაქნილი ვაჭარია, სიმდიდრის გარდა არაფერი აინტერესებს, ფულია მისი ერთადერთი სათაყვანებელი.

მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია მიც-დანიელი (შირვანზადეს — „ავი სული“), სისლისმსმელი ელიზბაროვი (შირვანზადეს — „პატიოსნებისათვის“) და მისი სულიერი მეგობარი მინთოევი (შირვანზადეს — „მორგანის მძახალი“), აგრონომი (ვ. კორსტილივის — „მჯერა შენი“), პეპია (ილ. ჭავჭავაძის — „გლახის ნამბობი“). ამ სპექტაკლში დორი დიდი სიყვარულით ძერწავდა ძველი დროის კახელ გლეხს, დინჯს, სპეტაკს, დარბაისელს, ზნეობრივად ფაქიზსა და უმწიკვლოს.

თუსიანი ნარ-დოსის „მოკლულ მტრედში“ დორი ამირბეკიანის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. 400-ჯერ შესრულებია ეს როლი და მუდამ დიდი წარმატება ხვდომია წილად. შემდეგ მისი იაგო (შეჰსპირის „ოტელიო“), ფრანც-მოორი (შილერის „ყარაღები“), ერკლე (აგნიანის „საიათ-ნოვა“), რომელსაც მსახიობი გვიხატავდა როგორც გაბედულ მეომარსა და გამჭრიახ, შორსმჭვრეტელ სტრატეგს, სამშოლოსათვის თავდადებულ პატრიოტს...

ამთ გარდა, დორი ამირბეკიანს 200-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული, რომელთა ჩამოთვლაც შეუძლებელია. იგი მუდამ ღრმა პასუხისმგებლობის გრძნო-



დორი ამირბეკიანი

ბით ასრულებდა როგორც დრამატულ-ტრაგიკულ როლებს, ისევე კომიურსაც. ამასთან დიდი გულსყურით ეცილებოდა ერთგულ დრამატურგას, განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდა თანამედროვე ავტორებთან. საკმაოა დავასახელთ თბილისში მცხოვრები დრამატურგები ბ. სვირანიანი, ს. მანველიანი, ს. აგნიანი, მ. ასლანიანი და სხვ.

დორი ამირბეკიანის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებმა, რომლებმაც მას სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს. ნიჭიერმა არტისტმა მასზე დაიხრებული ტვირთი სახელოვნად ზიდა. იგი კვლავ აღსავსა დაუმრეტელი ენერგიით.

აყენა წინადადება — შემოვიღოთ მარტივი მხედრული მთავრული.

ქართულ ანბანში მთავრული ასოების შემოღების აზრი ახალი როდია. ჯერ კიდევ XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძველი (ხუცური) შრიფტით დაბეჭდილ წიგნებში მთავრულებად ნახმარია მრგოლგანი ასოები. მართალია, თეიმურაზ ბაგრატიონმა თავის ნაშრომში „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ მხედრული ანბანით დაწერილ ტექსტში გამოიყენა მრგოლგანი ასოები, მაგრამ ეს საყოველთაოდ გასაყრცელებლად არ მიაჩნდა. 1833 წლის 9 ოქტომბერს იგი აკად. მარი ბროსეს სწერდა: „ვეფხისტყაოსანი“, თუ დაბეჭდოთ ცალკე ერთს წიგნათ, მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩაატანთ ამისათვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხისტყაოსანსა და და იმათი ხუცური ბეჭემა არ იცის. მარტო მხედრული წიგნი იცინა“.

გასული საუკუნის სამოციან წლებში „დროების“ რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია გაზეთის ფურცლებზე ეხმარა მთავრული ასოები. ამ ასოებით უნდა დაბეჭდილიყო წინადადებათა და საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები, აგრეთვე სათურები. გაზეთის ამ ნაბიჯმა საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში, რადგან მხედრულ ანბანში, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით XIII—XIV საუკუნეებშია ჩამოყალიბებული, მთავრული ასოები არ იხმარებოდა.

„დროების“ რედაქციამ თავისი მოწინავე სტატიით „ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კორეზი“ ასეთი პასუხი გასცა მოწინააღმდეგებს: „დროებას“ ზრახავდნენ, ახალი ასოებით რათ იბეჭდებოთ. ჩვენებურს სტამბაში, რომ ასომთავრული არა ყოფილა, დროებამ საიღამ შამოგვანჩაო. საზოგადოება სწყერბოდა ასომთავრულის შამოღებაზე. — ეს რა ასოებია ინი ინი არა ჰგავსო და ენი ენი. ამგვარათ წერა, თქვენი ჭირიმეთ, ვის გაუგონია: — ენსა და ვინს, რომ მაღლა სმენო, სხვა ასოებს კი დაბლა. ზოგი აწვეულია, ზოგი დაწვეულია, თითქოს ასოები ყირამალაზედ გადასვლას აპირებენო. ამისთანა სჯაში ბევრჯერ იყენენ ხოლმე გართულნი ჩვენი მოხუცებულები. მაგრამ „დროება“ ამისთანებს ყურს არ უდებდა, იმან კარგად იცოდა, რომ ყოველი ახალი საქმე და ნივთი კაცს თვალში ეჩნებოდა, არ მოსწონს იმისათვის, რომ თვალს შეუხვეველი აქვს; იმის წინააღმდეგია, რადგანაც ჯერეთ იმისგან სარგებლობას ვერ ჰხედავს. ამასთანავე „დროება“ კარგათ ხედავს ასომთავრულის სარგებლობას. იმან იცოდა, რომ უასომთავრულოთ კაცი საკუთარს სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე. ასე, რომ კითხვაში ხშირათ შეუნიშნავათ რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები. ამას გარდა ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ ანუ ნათლად იხედება, რადგანაც ის ყოველთვის ასომთავრული იწყება ხოლმე“<sup>1</sup>. რედაქციამ ამ პრინციპს ბოლომდე, გაზეთის დახურვამდე (1885 წ.) იცავდა.

# საჭიროა თუ არა ქართული მთავრული ასოები?

ოთარ გიორგაძე



ურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1962 წლის მეცხრე ნომერში დაიბეჭდა აკად. აკაკი შანიძის წერილი „დაფარული საუნჯე“, სადაც ავტორმა მოითხოვა ქართულ ანბანში ძველი ასომთავრული ასოების გამოყენება. ამავე საკითხს მიეძღვნა აკად. აკაკი შანიძის მიერ შედგენილი საცნობარო წიგნაკი „ქართული შრიფტის ახალი განხილვითი უნივერსიტეტი“ (1965 წ.), რომლის ნაწყვეტიც დაბეჭდა ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ 1966 წ. იანვრის ნომერში.

ამავე ჟურნალში (1964 წ. № 7) კამათის წესით დაიბეჭდა გრიგოლ შანიძის წერილი „ქართულში მთავრულების შემოღებისათვის“, სადაც გაკრიტიკებლია აკად. ა. შანიძის მოსაზრება ქართულ მხედრულ შრიფტში მთავრულ ასოებად მრგოლგანი ანბანის შემოღების თაობაზე. გრ. შანიძემ წამო-

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, 1964 წ., გვ. 27. ხაზგასმია ავტორისა.

<sup>2</sup> გახ. „დროება“, 1867, № 1, 6 იანვარი.

ახალი წინადადებებისა და საკუთარი სახელების დასაწიხის მიზნით მოთავსებული ასოების გამოყენება სცადა გამოჩინებულმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი მიღვაწეობის პირველ წლებში, მაგრამ შემდგომ ეს მოსაზრება უარყო, მთავრულ ასოებს მხოლოდ სათაურების შრიფტად იყენებდა.

ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ „დროების“ მოსაზრება არ გაიზარა. ილიამ მთავრული ასოები მხოლოდ სათაურების შრიფტად გამოიყენა.

ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ გაილაშქრა სილოვან ხუნდაძემ, რომელიც იცავდა „დროების“ რედაქციის კონცეფციას. მისი აზრით, „მთავრულებს სწორედ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და მათი მიზანი ის არის, რომ მკითხველს წაკითხვა და მერე წაკითხვლის გამოვლინება გაუადვილოს. მთავრულების საშუალებით მკითხველი ადვილად ჩერდება ხოლმე, ადვილად აშკარებს ადგილს, სადა წყვილ-და, საკუთარი სახელებით ადვილად პოულობს და იგონებს წაკითხულ შინაარსს“<sup>3</sup>. სილოვან ხუნდაძე მთავრულ ასოებად იყენებდა შავ ასოებს.

„დროების“ რედაქციის მოსაზრება და ს. ხუნდაძის წინააღმდეგ გაიზარებს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა — მწერალმა-აკადემიკოსმა კ. გამასხურდიამ („მოკლე შენიგებულ დიდი საკითხის გამო“, „დროსა“, 1954, № 3; „მარადიული საუნჯე“, გაზ. „კომუნისტისი“, 1961, № 272; „ისევ ქართული შრიფტის გამო“, „დროსა“, 1965, № 1), პროფ. პ. გუგუშვილმა („პოლიგრაფიული ბრეველობისა და მეცნიერული თარგმანის ზოგიერთი საკითხის“, „საქართველოს ეკონომისტი“, 1959, № 1, და „ქართული შრიფტის გაუმჯობესებისათვის“, „კომუნისტისი“, 1962, № 76) და აკად. აკ. შანიძემ („დაფარული შეწერა“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 9; „ქართული შრიფტის ახალი გარნიტური „უნივერსიტეტი“, 1965). მწერალმა-აკადემიკოსმა კ. გამასხურდიამ და პროფ. პ. გუგუშვილმა მოითხოვეს ქართული მხედრული ასომთავრულის შემოღება, ხოლო აკად. აკ. შანიძემ — ხუცური ასომთავრულისა.

მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამასხურდიას თავის წერილში მოჰყავს ცნობილი გერმანელი ფილოლოგის ბ. ფონ ლიტენბერგის აზრი ქართული ალფაბეტის შესახებ: „მე დაუფიქრებელი გარ მსოფლიოს ბარე ოცდაათხუთს ენას და ასეთი უამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამოშატავი ყოფილი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მგებოდეს. ერთი მხოლოდ აღსანიშნავი. ამ უაღრესად მრგვლურ ასონიშნებს უთუოდ ესაჭიროება ასომთავრულის თანდაყოლება, რადგან თქვენი ალფაბეტი ნამეტნავად პომოგენურია და დიდ მანძილზე უთუოდ დადლის მკითხველს“. კ. გამასხურდიას აზრით, „ასომთავრულის შემოღების საჭიროება რუსეთსა და დასავლეთში წარმოშვა სტამბური ბეჭდვის კულტურამ... ასომთავრულის გამოვლინების პრობლემა უპირატესად წარმოშვეს რომანტიკაში, პუბლიცისტურმა და მეცნიერულმა პროზამ“. იგი ხაზგასმით ასკენის, რომ „აუცილებლად საჭიროა ასომ-

თავრული დაწყება ყოველი ახალი ფრაზისა, ასომთავრული დაწერა გეოგრაფიულ და საკუთარ სახელოთა“.

რომანტიკით, პუბლიცისტური და მეცნიერული პროზით ასომთავრულის წარმოშობის განსაზღვრა სწორი არ არის. ქართულსა და აღმოსავლურ ენებზე მრავალი მეცნიერული ნაშრომი და მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა, მაგრამ ამის გამო მხედრულ ანბანს ასომთავრული არ შეუქმნია.

აკად. აკ. შანიძემ კ. გამასხურდიასაგან განსხვავებით, მოითხოვდა ქართულ მხედრულ ანბანში ძველი ასომთავრული ასოების გამოყენება. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მას მოაქვს მრავალი მაგალითი იმისა, რომ მრგვლოანი ასომთავრული დაწერილ ტექსტებს თანამედროვე ქართველები ვერ არჩევენ სომხური ანბანისაგან. ა. შანიძეს ქართული ისტორიული ანბანის მრგვლოანი ასომთავრულის დავიწყებისაგან გადასარჩენად საჭიროდ მიიჩნია თანამედროვე ქართულ ტექსტში წინადადების დასაწყისისა და საკუთარი სახელების წინ ძველი ასომთავრულის გამოყენება.

XVIII საუკუნის დამდეგ ვახტანგ VI-ს ჩამოსიამ ქართული მხედრული შრიფტის დადგენისა და ამისთვის წინ საფუძვლიანად შეისწავლა ისტორიულად ჩამოყალიბებული მხედრული ანბანი, რომელსაც მთავრული ასოები არ გააჩნდა. ნიკოლოზ თბილელის 1728 წელს დაწერილი ანდერძით „მხედრული ასომთავრული ძველთაგან არ ყოფილი არს“<sup>4</sup>. რაკი მხედრული მთავრული ასოები არ არსებობდა, ვახტანგ VI-ს კომისიამ უარი თქვა ქართულ მხედრულ ანბანში აღმთავრულად მრგვლოანი ასოების გამოყენებაზეც, რადგან „უკვე XII ს-ში, 1161 წ. მრგვლოანი ასომთავრული ჩვეულებრივი ქართული მკითხველი, თვით წამდგენლობისადაც კი, იმდენად ვადაჩვეული ყოფილა, რომ წაკითხვა უნებლადებოდა... შემდგომ (მე-18 ს-ში — თ. გ.) უკვე მათი წერაც კი თითქმის დავიწყებით საქართველოში“<sup>5</sup>.

ამრიგად, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი მკითხველი (ჩვენ მხედრელობაში გვყავს არა მალეი უარდების, არამედ დაბალი და საშუალო წოდების წერა-კითხვის მცოდნეები — თ. გ.) იმდენად ვადაჩვეული ყოფილა მრგვლოანი ანბანს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თემურაზ ბაგრატიონმა საგანგებოდ გააფრთხილა მარი ბროსე — ვეფხისტყაოსნის ქართულ ენაზე ბეჭდვის დროს ხუცური (მრგვლოანი) ასოები არ იხმარათ.

დღეს, XX საუკუნის 60-იან წლებში მრგვლოანი ასომთავრულის მხედრულ ანბანში გამოყენების მოთხოვნა ნიშნავს ქართული ანბანის ისტორიული განვითარების უარყოფას.

გრ. შანიძე აცხადებს: „მრგვლოანი ანბანის შესწავლა — ეს სპეციალისტების საქმეა, მაგალითად, ფილოლოგების, ისტორიკოსების და სხვა... რაც შეეხება ლათინურს (და ძველ ბერძნულსაც), მას საშუალო სკოლაში, საშუაზაროდ, არ სწავლობენ, მაშინ როდესაც მათი ცოდნა ძალიან საჭიროა“ (იქვე, გვ. 80).

გრ. შანიძე აქ უკიდურესობაში ვარდება: ის, ერთი მხრივ, ამბობს, რომ ქართული მრგვლოანი ანბანის შესწავლა სპეცია-

<sup>3</sup> ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964, № 7, გვ. 77.

<sup>4</sup> ი. თაყაიშვილი, Описание, II, გვ. 410 (მოყვანილი ივ. ჭავჭავაძისგან, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 118).

<sup>5</sup> ივ. ჭავჭავაძისგან, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 119.

ლისტების საქმეა, ხოლო, მეორე მხრივ, მოითხოვს, ძველი ბერძნული და ლათინური სკოლაში ისწავლებოდეს. გამოდის, თითქმის ქართველი მოსწავლისათვის უკეთესი იყოს არა ძველი ქართული ენის, არამედ ძველი ბერძნულისა და ლათინურის შესწავლა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ენები საფუძვლად დაედო სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიას. როგორც ჩანს, გრ. შანიძეს ავიწყდება, რომ ძველი ქართული ლექსიკა, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის საფუძვლიანია.

გრ. შანიძე ძლიერ აღუფიქრებია „ქართული ორთოგრაფიის პროექტის“ (1921 წ.) სამართლიან გადაწყვეტილებას: „კომისია საჭიროდ არა სთვლის მოაგრულების ხმარებასო“; მოითხოვს ამ კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებას და აყენებს წინადადებას: „ქართულში მხედრული მთავრულების ხმარება უფრო სამართლიანი იქნება, რადგან ჩვენს სრულყოფილ ანბანს სასესებით შეეფარდება“ (იქვე).

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც გაზუთ „დროების“ რედაქცია მოითხოვდა ასომთავრულების ხმარებას საკუთარი სახელისა და წინადადებების დასაწყისში, ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა არ იცოდა წერა-კითხვა. წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ იბრძოდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. იაკობ გუგუცაშვილი, რომელმაც 1865 წელს გამოსცა „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, 1868 წელს — „ბუნების კარი“, ხოლო შემდეგ — „ღელა ენა“, ყოველი ღონით ცდილობდა ხალხში გასავრცელებს. ამავე მიზნით 1879 წელს ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამავე ხანებში დაიწერა „კლასის ნაშთები“, რომელშიც დიდმა ილიამ მისთვის ჩვეული ისტატიკით მივლულს დაამტკიცებინა სწავლის სატიკობა.

„დროების“ რედაქციაც, ისე როგორც იაკობ გუგუცაშვილი, ცდილობდა ქართველ ხალხში განათლების შეტანას, ხალხისათვის ახალი ამბების გაცნობას. ამ დროს შეიძლება მკითხველს შეუნიშნავი დარჩენოდა „უცხო ქვეყნებისა და კაცების სახელები“, რომ ეს არ მომხდარიყო, „დროების“ რედაქციამ წამოაყენა ასომთავრულის გამოყენების პრინციპი, რაც იმ დროისათვის უდავოდ პროგრესული იყო.

დღეს, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში „დროების“ რედაქციის შრომის გაზიარება, ქართულ ანბანში ასომთავრულების შემოღების მოთხოვნა, არასწორია და აი, რატომ:

1. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ გამართკონ რუსული და ევროპული ენები. გაზუთ „იხვეტილი“ გამოქვეყნდა რუსული ენის გამარტივების პროექტი; ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ბერნარდ შოუმ მოითხოვა ინგლისური ენის გამარტივება და ა. შ. ქართულ ენაში ძველი ასომთავრულების შემოღება, როგორც აკად. ვ. თოფურია აღნიშნავს თავის წიგნში „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965 წ., გვ. 50—51), „ორი სხვადასხვა ანბანის შერევა ნიშნულად და ახალი ანბანის დასწავლის მოითხოვს, რაც ქართულ ინტელერ ანბანს არაადიკალურს გახდის... ორი სხვადასხვა ანბანის დასწავლას აიძულებს, 33 ასოს ნაცვლად 66

ასოს გაცნობა-დაწერას მოსთხოვს და მით ადვილ წერას მუცისმეტად გაართულებს“.

2. რუსულ ანბანში შუა მოხაზულობისა 23 ასო, ქვედა მოხაზულობის — 7 ასო (აქედან ბეჭდურში ორი ასო შუა მოხაზულობისა), ზედა მოხაზულობის — ორი ასო (აქედან ერთი ასო ბეჭდურში შუა მოხაზულობისა). მაშასადამე, რუსულ ტექსტში ასომთავრულის ხმარების დროს ერთმანეთს სხედება მხოლოდ ორი ტოლი ასო — ასომთავრული და არასომთავრული ე. დანარჩენ მემთხვევებში ასომთავრულს უშუალოდ არ მისდევს მისი ტოლი არასომთავრული ასო.

მართალია, გერმანულ ენაში ხაზუხაზითა მოხაზულობით 9 ასოა, მაგრამ ასომთავრული ასოები თავისი მოხაზულობით დიდად განსხვავდება არასომთავრული ასოებისაგან.

სულ სხვა მდგომარეობაა ქართულ ენაში.

ქართულ ანბანში ზედა მოხაზულობისა 12 ასო, შუა მოხაზულობის — 4, ქვედა მოხაზულობის — 14, ზედა-ქვედა მოხაზულობის — 3 ასო (აქედან ერთი ხელნაწერში ზედა მოხაზულობისა).

თუ გავიხილავთ გრ. შანიძის მოსაზრებასა და შემოვივლით მხედრულ მთავრულ ანბანს, მაშინ ერთმანეთს უხშირესად გაუტოლდება 3 და მეტი თანატოლი ასო, მაგ., ბრმა, აბრსკილი და სხვა, რაც კი არ გააადვილებს, არამედ გააძნელებს საკუთარი სახელების გამოცნობას.

აკად. აკ. შანიძის მოსაზრების გაზიარებისას, რა თქმა უნდა, ასეთ დაბეჭდვას არ ეწეება ადგილი (თუ მხედრულთბანში არ მივიღებთ ასო ს-ს, რომელიც „უნივერსიტეტის“ შრიფტში თითქმის არ განსხვავდება არასომთავრული ასოსაგან და შ-ს(შ), რომელიც ძლიერ გავს თანამედროვე დაწერილობის ყ-ს, მხოლოდ უნივერსიტეტის შ(შ) ზედა მოხაზულობისა), მაგრამ შესასწავლი ექნება ორი სხვადასხვა ანბანი.

3. სილოვან ხუნდაძე მოითხოვდა მხედრული მთავრული ასოების შვად გამოყოფას. ამ მოთხოვნის შესრულება ააჭრელებს ტექსტს და გააძნელებს კითხვას.

4. თანამედროვე მოხაზულობის შრიფტში, როგორც აღვნიშნეთ, ქართული მხედრული მთავრული ასო გაუტოლდება სიტყვის შემადგენელ სხვა ასოებს. მთავრული ასოების ზომის გადიდება ტექნიკური თვალსაზრისითაც არ შეიძლება, რადგან შრიფტი ჩამოსხმულია 10 პუნქტზე. ასოს ზომის გადიდება გამოიწვევს სტრიქონის ზომის გადიდებას, რაც შეამცირებს გვერდულ სტრიქონების რაოდენობას. ამას, საბოლოოდ, მიყვავართ არაეკონომიურობისაკენ.

5. ქართული ანბანი თავისი მოხაზულობით ოთხხაზოვანია, ხოლო რუსული და ევროპული — ორხაზოვანი. მხედრული ასომთავრულის შემოსაღებად საჭირო გახდება ან სტრიქონის ზომის გადიდება, ან ქართული ანბანის მოხაზულობის შეცვლა.

6. ასომთავრულის შემოღების შემთხვევაში საჭირო გახდება: ა) მოსწავლეებისათვის არა 33 ასოს შესწავლა, არამედ — 66-ისა; ბ) სწავლების სისტემის ნაწილობრივი შეცვლა; გ) მოზრდილი მოსახლეობისათვის-სპეციალური მოხსენებების წაკითხვა და გაცვეთილების გამართვა.

# სახალხო თეატრის წარსულიან\*

თამარ გომარტელი



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წარმოდგენილი იქნა ს. მამიტოვის პიესა „ნალკუტა“. ამ დროისათვის წრის მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. (სპექტაკლების დადგმას კვლავ ზუბალაშვილის სახალხო სახლის სცენაზე განაგრძობდნენ). უჩვენეს ა. ცაგარელის „ციმბირელი“. წრეში მიღებული იქნენ ახალი წევრები: ივანე ძახოვი, ანტონინა ბესტაევა, მიხეილ მარგევი, ვასილ ცაბაევი, ივანე ჯატევი და სხვები.

სუხონი წრემ დაგვიანებით დაიწყო. უმეტესად ძველი დადგმები მიდიოდა: „ციმბირელი“, „ორი მშვიტი“, „მე კი არა, კატა იყო“, „ახია“ და სხვ. დაიდგა აგრეთვე დ. კორიევის სამშოქმედებიანი დრამა „მკითხავი“, რომელიც თბილისის რეპერტუარის შემდეგ გაიმართა ერთდროულ ცხვენებში, რომელიც დიმიტრი კუსოევმა დადგა.

ამ დროს წრის წევრები იყვნენ: გიორგი აბაევი, ანტონინა ბესტაევა, ილია გოგიჩევი, სონია ჯატევა, ნინო ჯიჭივა, ივანე ძახოვი, ვასილ ცაბაევი, კოსტა ლოსოვი, მიხეილ მარგევი, ივანე რეტევი.

1924-25 წლების სუხონი დრამატულ წრეში თავს იყრის თბილისში სასწავლებელად ჩამოსული ოსი ახალგაზრდობა: ვიტალი ვალიევი — კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი, ზაქარია გაზაევი და ილია კანმაზოვი. მუშაყაის სხვადასხვა სასწავლებლების სტუდენტები ვერა ხანიკაევა, კატია გაგლოევა, ალექსანდრე ზასიევი (შემდგომში მხატვარი), თათარხან ქიქოევი (შემდგომში საქართველოს სახალხო არტისტი), ოლდა აბაევა და სხვ. წრის ხელმძღვანელად დაინიშნა ზაქარია გასიევი.

წრის წევრები ზრუნავდნენ რეპერტუარის აღდგენაზე. ბევრი მათგანი თვითონ წერდა პიესებს (ზაქარია გაზაევი, ილია კანმაზოვი, ვიტალი ვალიევი და სხვები), რომლებიც ენმარუბოდნენ აქტუალურ საკითხებს.

წრემ დადგა ზაქარია გაზაევის პიესა „ჩვენ კვლავ დავბრუნდებით“ ავტორის რეჟისორობით. პიესაში მოცემული იყო 1920 წელს მენშევიკების წინააღმდეგ ოსი გლეხების აჯანყების ერთ-ერთი ეპიზოდი. მთავარ როლს ასრულებდა ავტორი.

ამვე სუხონის მეორე პრემიერა იყო რუსულიდან თარგმნილი მოთხრობის ინსცენირება, პროსპერ მერიმეს „მატეო ფალონი“. პიესა დადგა გაზაევმა, რომელიც ამავ დროს ასრულებდა მთავარ როლს. დაიდგა სხვა მრავალი ახალი პიესა.

კავკასიის სამხედრო სასწავლებლის კურსანტებისა და

სტუდენტებისათვის ოსურმა წრემ მოაწყო სადამო, რომლის პროგრამაში იყო დავით კორიევის პიესა „მე კი არა, კატა იყო“. ა. ცაგარელის „ახია“ და ბოლოს — საკონცერტო განყოფილება.

მოწყო კ. ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამო.

სუხონის დასასრულს უჩვენეს ე. გაგლოევის ახალი პიესა „ზანურ აიდაროვი“. პიესაში ასახულია ბოლშევიკური პარტიის წევრის, ყოფილი თბილისელი მუშა-რევოლუციონერის ცხოვრება და მოღვაწეობა, აიდაროვი დაზვრტეს მენშევიკებმა 1919 წელს.

ზანურის — მთავარი როლის განასახიერებდა დავალა ნიკოლოზ კარკუსოს, სხვა როლებში მონაწილეობდნენ: ზაქარია გაზაევი, ნინა ჩაბიევა, მიხეილ მარგევი, თარხან ქიქოევი, სონია პუშჩინა და სხვები. სპექტაკლი დადგა ვასილ ცაბაევმა.

შედგენილ წლის სუხონში წრის სპექტაკლები პლენანოვის სახელობის კლუბისა და ტრამაგის მუშაობა კლუბის სცენაზე იდგმებოდა.

ახალი სპექტაკლებიდან ყურადღებას იპყრობდა ვასილ გაზიევის ორიგინალური კომედია, რომელიც ავტორმავე დადგა და მთავარი როლი განასახიერა.

ამვე სუხონში თათარხან ქიქოევმა დადგა მუსიკალური კომედია „კოლი და ქმარი“. ეს იყო პირველი ოსური მუსიკალური კომედია, რომელიც ოსურმა დრამატულმა კოლექტივმა წარმოადგინა. მუსიკის ავტორი თვით ქიქოევი გახლდათ.

მიუხედავად სპექტაკლის მთელი რიგი ნაკლოვანებების, მისი ოსურ სცენაზე გამორჩენა საინტერესო მოვლენა იყო.

რეპერტუარი ახალ-ახალი პიესებით ივსებოდა. წრის მუშაობაში გზადგავა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუშები, სტუდენტები, მოსწავლეები, ახალგაზრდულმა გატაცებამ და ზრდამ წრეს საშუალება მისცა წარმატებით დაეღვა ა. ცაგარელის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. (დადგა ვასილ ცაბაევმა). აღსანიშნავია, რომ სპექტაკლში ორი ძველი მსახიობის — ილია გოგიჩევისა და მიხეილ მარგევის გარდა მონაწილეობას აღებულობდნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარეები.

ამის შემდეგ ტრამაგელთა კლუბში თვითმშემდეგი ძალეებით წარმოდგენილი იქნა ჩრდილო ოსეთის თეატრის რეჟისორის, ცნობილი მსახიობის თემირბულაქ დუდაროვის მიერ დადგმული პიესა — ბრიტაევის „ორი და“.

სუხონის ბოლოს დაიდგა ნიკოლოზ გაგლოევის სამშოქმედებიანი დრამა „ისაკ ხარეოვი“, რომელშიც ასახული იყო სახალხო გმირის ისაკ ხარეოვის ცხოვრება. სუხონის დასურ-

\* გავრელებლა. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 6.

ვის შემდეგ ეს პიესა ნაჩვენები იქნა ნათელაშვილი ოსი წითელარქივისათვის.

1927-28 წლების სეზონში წრის შემადგენლობა იმდენად გაიზარდა, რომ მათ გამოეყო ცალკე ჯგუფი, რომელიც შეუერთდა პლესანოვის კლუბს. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ნ. ბეგოზოვი, ე. ბელიევი, ა. გაბარაიევი, ა. მარგვილი, ლ. პარასტაევი, ი. თედევი, გ. ხუბუაშვილი, ნ. ჩაბივა და სხვები. ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ნინო ჯიფევა. ძირითადი წრე კი თემირბულაძე დუდარავის ხელმძღვანელობით ტრამპეაული ჯგუფში განაგრძობდა მუშაობას. ორივე წრემ მთელი რიგი ახალი სპექტაკლები დადგა: „ადათი“, „ლოთობის შემდეგ“, „ჯამუში“, „ზამირა“ და სხვ. იმავე სეზონში, ორივე წრის გაერთიანებული ძალებით ოსურმა წრემ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე რუსულ ენაზე წარმოადგინა უცნობი ავტორის პიესა — „ზელიზნანი“.

თბილისელი ოსი სტუდენტების მიერ წითელ თეატრში სამხედრო ნაწილების დასახმარებლად ნაჩვენები იქნა, ე. ბრიტაევის პიესა „ამირანი“, რომელშიც ახალგაზრდებთან ერთად წრის ძველი წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა თათარხან ქიქოვემა.

დიდი მოწონება დაიმსახურა ილია კორმაზოვის პიესა „პარტიზანებმა“, რომელშიც ასახულია ოსი პარტიზანების ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ 1920 წელს. ამის შემდეგ წარმოადგინეს პიესები „ოსრბა“ და „მეორე კოლი“.

მომდევნო სეზონში წრის წევრებმა განაგრძეს რეპერტუარის გამდიდრება ახალი პიესებით. ეს იყო ლ. ცინოვსკის „ანგარიშსწორება“, თ. ქიქოვეის „დაცის საცოლო“, უჩენგის ცომაკ გალივის ისტორიული დრამა „ოს ბაგატარი“, თათარხან ქიქოვეის კომედია „გუბილტის მოგზაობა“, გ. ბუნიაკაშვილის კომედია „კომისარი მოსკოვიდა“. წრემ განხორციელდა მთელი რიგი საინტერესო საგასტროლო დადგენები.

ქართული თეატრმცოდნისა და დრამატურგის გ. ბუნიაკაშვილის ინიციატივით, ოსური დრამაწრე მოძრა საკოლმეურნეო თეატრად გადაკეთდა. თეატრის პროგრამა ძირითადად შედგებოდა ერთმომქმედებიანი საავტორო ხასიათის პიესები-საგანს.

საღამოებზე იკრიბებოდა მრავალრიცხოვანი მყურებელი. მოზრდილ სოფლებში სანახაობას უჩვენებდნენ ორჯერ და მეტად სპექტაკლების დადგამაში წრის ემბროზადა ადგილობრივი მოსახლეობა. საღამოები ეწყობოდა კლუბებში, საკლასო შენობებში. თუკი სოფელს ასეთი რამ არ გაჩნდა წარმოდგენები იმართებოდა ღია ცის ქვეშ. წრე დიდი ენერგიითა და გატაცებით მუშაობდა.

ქნის ძნელად სავალ გადასასვლელზე ფეხითა და ცხენით მიდიოდნენ სცენისმოყვარეები, რომლებსაც თან მიჰქონდათ დეკორაციები და თეატრალური კოსტუმები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სპექტაკლისათვის სხვა აუცილებელი რეკვიზიტები.

ქანიდან წრე ცხინვალში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე საღამო გამართა. საღამოები ჯავასა და ბუხალაშიც მიეწყო. ამ დროს სოფელ რუკის გადასასვლელზე გზა გაკაყადათ.

წრის წევრებმა მუშებისათვის რამდენიმე კონცერტი გამართეს ფართო პროგრამით.

საინტერესოა ის გარემოება, რომ კონცერტის სხვადასხვა განყოფილებებში მონაწილეობდნენ თვით კოლმეურნეები. აქ გამოვილენდა ბევრი ნიჭიერი მომღერალი და მსახიობ-მომღერალი, რომლებმაც შემდგომში ჩრდილო ოსეთის თეატრში დაიწვეს მუშაობა. მაგალითად გ. პლიევი.

საკოლმეურნეო თეატრის გასტროლებმა გამოავლინა წრის მუშების ზოგიერთი ხასიათის ნაკლოვანებანი, რომლის ცხოვრებისწინების შედეგად განმტკიცდა კავშირი ხალხთან, გაურბესათან. თეატრი რამდენადმე გაიზარდა და გაძლიერდა შემოქმედებითი და ორგანიზაციული თვალსაზრისით. მსახიობები ისე დახელოვნდნენ, რომ ჩრდილო ოსეთშივე შეიჩაზა პროფესიული კადრები ოსეთის განახლებულ სახელმწიფო თეატრში სამუშაოდ.

1954 წელს ოსური დრამატული წრის ძველმა წევრებმა ზურაბე ზაზროვმა, ნინო ჯიფევამ, ვლადიმერ კარკუსოვმა, ვასილ ცაბაევმა და გიორგი ჯიფევამ, პლესანოვის კულტურის სახლში ჩამოაყალიბეს ოსური დრამატული კოლექტივი...

დრამწერში მონაწილეობდნენ: მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლე ახალგაზრდობა. რეჟიზორის მუშები: ზენკალი ნოდარ ბიჩაევი, გივი ჯურანოვი, ვახტანგ ტუხუა, სადლე გაბარაიევი, აზა ხუბუაშვილი. მანდის ფაბრიკიდან: სოფი თედევი, ვერა კაჯაევა, სოფი გუბაევა, ხარატი ფედიკა ვანიევი, მძლიო ჟორა ქუმბიტოვი. სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები: ივანე თიფევი, იაზა ბიტაროვი, არეშო ძუკაევი, ნოდარ ხოხიევი, გიორგი ჯიფევი. მოწაფეები: კუზნა გომოზოვი, პეტია თედევი, ლიუბა პლიევა, თამარ ჯიფევა (ნინო ჯიფევის ქალიშვილი).

დრამწერის ხელმძღვანელმა ნინო ჯიფევამ დადგა თავისივე პიესა „წერის ხელის მუნდშტუკი“.

დრამატული კოლექტივიდან ნინო ჯიფევას წასვლის შემდეგ 1955 წელს წრის ხელმძღვანელად მოწვეული იქნა მარკანიშვილის თეატრის მსახიობი ანიკო ავლობაშვილი. ამავე წელს თბილისის ორჯიონიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა რესპუბლიკური თვითმომქმედი მხატვრული კოლექტივების დაფუძნება, წარმატებით გამოვიდა ფრამკაციმეორე ქარხნის თვითმომქმედი კოლექტივი ანიკო ავლობაშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობდა პლესანოვის სახელობის კულტურის სახლის მხატვრული კოლექტივიც, რომლის დირექტორმა გრ. სომანაშვილმა ანიკო ავლობაშვილს სიხოვა სათავეში ჩაადგომდა პლესანოვის კლუბის ოსურ დრამწერს. ავლობაშვილმა შემოთავაზებდა სიამოვნებით მიიღო.

დრამწერე აერთიანებდა ოს სტუდენტ ახალგაზრდობას და მუშა-მოსამსახურეებს ტრიკოტაჟის კომბინატიდან და ფაბრიკა-ქარხნებიდან.

სულ წარუდგინეს ოსეთის ქალი გაიწავა შობილური თეატრალური მისი მუშაობაში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლმა — გ. პლიევის პიესა „ჩენგენმა“. (გასტროლები გაიმართა მარჯა-

ნიშვილის თეატრში.) გადაწყვიტა მისი დადგმა. მთელი კო-  
ლექტივი ჩაება შემოქმედებით მუშაობაში.

საერთო საქმისადმი ერთუხიანობა ნაყოფი გამოიღო. სულ  
მალე პლენაროვის კლუბის სცენაზეც ანტყვევლდა „ჩერმენის“  
დარბაზი ხალხს ვერ იტყვდა. სპექტაკლი მრავალჯერ იქნა  
წარმოდგენილი.

ა. ავლობაშვილმა დაიწყო სცენისმომყვარებთან მუშაობა  
მეტყველებასზე. ავარჯიშებდა მათ პლასტიკაში. დრამურის  
ყველა წევრი კარგად ცმევაგლდა. ცმევეები კი უხვად იყო „ჩერ-  
მენის“ დადგმაში.

სამუშაოდან მოსული მუშები ხშირად ღამეებს ათენებდნენ  
დრამურის მეცადინეობაზე. მალე, „ჩერმენის“ შემდეგ წარმა-  
ტებით განხორციელდა ნ. ქუჩმაშვილის პიესა „კლდემ დაიქუხა“,  
რომელშიც მთავარი როლი დრამურის წამყვანმა მსახიობმა,  
მუშა ივანე თიფცივმა შეასრულა. სპექტაკლს მყურებლის დი-  
დი მოწონება ხვდა.

პარალელურად ანიკო ავლობაშვილმა მოამზადა მხატვრუ-  
ლი საღამო, რომელზეც ორიგინალურად წარმოადგინა ნაწყვე-  
ტი კ. ხეთაგუროვის „კოსტადანი“. ჩანებლებული სცენის განა-  
თებულ წრეში აღმართული იყო კოსტა ხეთაგუროვი, რომელიც  
საკუთარ ლექსებს კითხულობდა. შემდეგ პოეტის გამოსახულება  
თანდათან ქრებოდა და იწყებოდა სცენა, როცა შიმშილისაგან  
დაუძლურებული დედა სადილის ნაცვლად ქვეშ უხარშავს ბავ-  
შვებს და ცდილობს სიმღერით დააძინოს ისინი. დარბაზში ილ-  
ვრება ოსური იავანას პანგები, ისმის ადამიანთა გოდება.

დღის როლის შემსრულებლის, მსახიობ თამარ ჯიფციას  
თანამშა დაიპყრო მყურებელი... საღამოს მოჰყვა სამხრეთ  
ოსეთის მწერალთა ნაწარმოებების მხატვრული კითხვა.

ანიკო ავლობაშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა აგრეთვე  
დავით თვაკვის სამშობულებიანი პიესა „ფასას სურვილი“.

წრის წევრები კარგად იცნობდნენ ხალხური სიმღერების  
ნიშვნებს, მათივე დახმარებით დრამურის ხელმძღვანელმა ამ  
სიმღერებზე შექმნილი თვითიველი მუსიკალური ნომერი საიი-  
თაოდ გააჩნია ინსტრუმენტზე. ავლობაშვილმა სამხრეთ ოსე-  
თიდან მოიწვია ქორეოგრაფი, საქართველოს სსრ დამსახურე-  
ბული არტისტი გიორგი თედვევი. პლენაროვის კლუბის სცე-  
ნაზე აღედგა ოსური მუსიკა.

ფასას დღის როლს ასრულებდა მოსწავლე გოგონა ზამი-  
რა ხასიევა. გამორჩეულდნენ ფასას, საღამოს როლების შემსრუ-  
ლებლებიც — მსახიობი ლუბა პლიევა და ალექსანდრა (შუ-  
რა) ძოწიევა. ომის დრის ძოწიევა ჩრდილო ოსეთიდან თბი-  
ლისში გადმოვიდა. მუშაობა დაიწყო ტრიკოტაჟის კომბინატ-  
ში მჭსოველად. სცენისადმი სიყვარულმა დრამურეში მიიყვანა.  
საღამოთის როლში მას პიესის გვირგვინს ეძახდნენ. თერამეტი  
წლის გოგონა ოსტატურად გარდაისახებოდა ხოლმე მიხუცის  
როლში. ძოწიევა ამავე დროს შსანიშნავი მოცინეავე და სიმ-  
ღერის შემსრულებელი იყო. მსხანის როლს წარმატებით ას-  
რულებდა მსახიობი სოფიო თედვევა, ცოლას როლს — სასოფ-  
ლო სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ვარლამ კაპისაშვილი.  
მან დიდი დახმარება გაუწია დასის ხელმძღვანელს სპექტაკ-  
ლის დადგმის პროცესში პიესის ლიტერატურულ მხარეზე მუ-  
შაობისას.



სახალხო თეატრის მსახიობი ვერა ბეტავა

ამას მოჰყვა ელ. ბრიტაგვის „ორი დის“ დადგმა. პიესა  
ასახავს რევოლუციურ წარსულს, ქალთა ბრძოლას უკეთესი  
ცხოვრებისათვის. სამხრეთ ოსეთიდან საკონსულტაციოდ მოწ-  
ვეული იქნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი კა-  
პისოვი, რომელიც დრამატულ კოლექტივს დაეხმარა თითქმის  
ყველა პიესის სცენურ ხორცენახშიში. სპექტაკლის გასაფორმებ-  
ლად კი მოწვეული იყო მხატვარი კ. ხასიევი.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ „ფატამას“ იღებდა. გა-  
დაღებამი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტის-  
ტი თხაფხვიანი. ანიკო ავლობაშვილმა სიხვნა მსახიობს პიესა  
„ორი დისი“ თათარყანის როლში გამოხვდა.

და, აი, პლენაროვის კლუბის სცენაზე მუშა-სცენისმომყვარე-  
ების გვერდით მყურებელმა იხილა ცნობილი მსახიობი. თვით-  
მოქმედი კოლექტივის წევრები პირველად თუ შეგრძობდნენ იყ-  
ვნენ, შემდეგ წახალისდნენ. პიესაში გამორჩეულდნენ: ლ.  
პლიევა, ვ. თიფცივი, რ. ლიხოვი, კ. გომოხოვი, კ. თედვევი  
და სხვ. საღამო ზეიმიად იქცა.

ალსანიშნავია ზოგიერთი რიგითი მუშაკის ღვაწლიც  
დრამურეში.

თბილისის ავტოსადგურის მძღოლი ზაურბეგ ზაზროვი  
თავისუფალ დროს დრამურეში ატარებდა, დადგებებშიც ღე-  
ბულობდა მონაწილეობას. ელ. ბრიტაგვის „ორი დისი“ ხაზ-  
მად ასრულებდა, ხოლო ნ. ქუჩმაშვილის პიესაში „კლდემ  
დაიქუხა“ — კოლმურენობის თავმჯდომარის მამის როლს  
(ორივე პიესა დადგა ანიკო ავლობაშვილმა), ნ. ჯიფციას პიე-  
საში „ვერცხლის ხუნდმეტყვი“ — კინტის როლს.

როცა დრამატული წრე გასტროლოგზე მიდიოდა, მონა-  
წილეობას იღებდა რეჟისორის დამხმარებელი. ამავე დროს

იყო შესანიშნავი ადმინისტრატორიც. მასზე იყო მინდობილი დადგებინასთვის საჭირო ტანსაცმლისა და რეკვიზიტის მიმარაგება.

დიდი ამაგი დასდო ოსური დრამურის საქმიანობას გიორგი ჯიფიამცა. იგი, მიუხედავად ღრმად მოხუცებულობისა ოდესაც სიყვარულით მუშაობს დრამატულ წრეში (სახალსო თეატრი).

ანიკო ავლობაშვილის თეატრიდან წასვლის შემდეგ 1957 წლიდან აქ პერიოდულად მუშაობდნენ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრის რეჟისორები, საქართველოს სსრ დამასხურებელი არტისტები გრ. გაბისთი და გაზათი. მათი ხელმძღვანელობით დაიგდა მუხტარ შავლობოვის „საცილო“, ნაზი ჯუსოევის „აზა და თაიმურაზი“, მიხ. ქუჩმაშვილის „ნამუსი“. 1960 წელს საქართველოს სსრ სახალსო არტისტმა ნინა ჩაიფიამ მუხტარ შავლობოვის პიესის „სასიძობის“ დადგმა გახანგრძლივა.

1961 წელს რეჟისორად ინიშნება ამავე კოლექტივის აქტიური წევრი, თბილისის თეატრალური სტუდიის კურსდამთავრებული რუბენ ჩეთითი.

1960-61 წლებში კულტსახლის კაპიტალური შეკეთების გამო, დრამურის ტრიოტაჟის ფაბრიკამ დაუთმო თავისი კულტურის სახლის სცენა.

ამ პერიოდში დაიგდა დაბე მამსუროვის პიესა „ღამურა“.

ახლადმეკეთებულ სცენაზე ოსურმა თეატრმა მასყურებელს პირველად უჩვენა პეტე თედვევის მიერ თარგმნილი ა. ცაგარელის „ციმბირული“. ამას მოჰყვა ელ. ბრიტაგვის „სირცხვილს სიკვდილი სჯობს“ და „რუსეთში ნამყოფი“.

რ. ჩეთითის ხელმძღვანელობით განხორციელდა როზა კოჩინას „უმბაკი კაცი“ და ა. მამის ადოქმა თე ჩემი სიყვარული“, დავით თუაგვის პიესა „ხაზროთი ფატიმით“, რ. ჩეთითის მიერ ქართულიდან ოსურად ნაოარგმნი კ. კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“, ვლადიმერ გაგლოევის პიესა „ჩემი ცოლის ქმარი“.

ნაყოფიერად წარმართა მუშაობა რუბენ ჩეთითიმ. მთავარი როლები შესასრულებლად ხშირად იწყვედა დიდი თეატრის ცნობილ მსახიობებს. თაიმურაზის დედის მთავარი როლი პიესაში „თქმულება სიყვარულზე“ საქართველოს სსრ სახალსო არტისტმა ნინა ჩაიფიამ შესასრულა, ხოლო გ. ხეთაგუროვის პიესაში „ხაზროთი ფატიმით“ ჩაბახანი — საქართველოს სსრ დამასხურებულმა არტისტმა ნინო ცოციბომ.

1964 წელს მოეწყო შეხვედრა სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან. ესენი იყვნენ ნაზი ჯუსოევი, გიორგი ძუგათი, კომპოზიტორი ფელიქს ალბორთი და მხატვარი ბარის სანაყოთი. გაიმართა დიდი კონცერტი.

ოსურმა სახალსო თეატრმა 1961 წელს მოაწყო როზა კოჩინას საიუბილეო საღამო, მიძღვნილი მისი დაბადების 80 წლისა და გარდაცვალების 50 წლისთავისადმი.

1965 წელს გაიმართა დიდი ოსი მწერლის კოსტა ხეთაგურის დაბადების 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც მოწვეული იყვნენ მწერლები, პოეტები და გამორჩენილი მსახიობები; მწერალთა კავშირის მდივანი პოეტი გასყევი (ვლადიმერ გაგლოევი), მწერალი ნაზი ჯუსოევი,

პოეტი მაკი-მურად ძუგათი, საქართველოს სსრ სახალსო არტისტი ნინა ჩაიფიამ, დიმიტრი მამიევი და სხვები.

თბილისის ოსური სახალსო თეატრი არ ივიწყებს სოფლებში მცხოვრებ თანამემამულეებს. ყოველ წელს აწყობს საგასტროლო მიგზაურობას ლაგოდხის რაიონში: ფონაში, არეფენაში, უმბაკურში, ბოლქვში. ყვარლის რაიონის სოფლებში: დუმასტურში, არგოხში და კულანში. ლენინგოროს რაიონის სოფელ წინაგორში, ორწოხა, ახალდაბასა და სხვ. ხშირად ეწყობა გასტროლო ცნინვალში, გორსა და რუსთავეში. 1954 წელს სახალსო თეატრში ნაყოფიერად მუშაობენ ოსი მუშა-მოსამასხურეები და სტუდენტი ახალგაზრდობა სამხატვრო აკადემიიდან, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან და სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ავსენტკი გოზათი, ილო გოწოვი, ვახტანგ ტახტი, ვაიოხ აბათი, უმბაკი ქაღითი, ზამირა ხასითი, გიორგი ჩერთყოფითი, ვლადიმერ ჩერთყოფითი, სლავიკ გაბესთი, შურა თედითი.

დღემდე ოსური სახალსო თეატრის სცენას შემორჩნენ: სოფო თედვევა, აზა გოზაევა, ვერა კართი, გივი ჯერანოვი, სადულ გაბარაევი, კუშმა გობოზოვი, ლუბა პლიევა.

წლების მანძილზე დასს შემოემატნენ: ფროსია გუბეთი, ენერა ჭაისთი, პეტია ხუბათი, პეტია ჩელესხათი, კოლა კეულხტი, ვახტანგ ტახტი, ვაიოხ აბათი, უმბაკი ქაღითი, გივი ფუხათი, თაიმურაზ ხობეთი, ნათელა მარლითი...

ახლახან ოსურმა სახალსო თეატრმა მასყურებელს უჩვენა დაბე მამსუროვის სამომქმედებელი ტრაგედია „ქასანა“. მასში ასახულია ოსი ხალხის დუხტორი ცხოვრება რევოლუციამდე პერიოდში. სიუჟეტი მძაფრად, შთამბეჭდავად ვითარდება. ნიჭიერმა კოლექტივმა რეჟისორ რ. ჩეთითის ხელმძღვანელობით „ქასანა“ სერიოზულად მოიგდა ხელი. დამდგმელმა საინტერესო, ერთგულად ვერადღივანი სანახაობა შექმნა.

გოსამა (ვ. ჭარსამოვა) კარგად გადმოსცემს გმირის ტკივილებს. მისი სახით ოსური სახალსო თეატრის კოლექტივს შრომისმოყვარე, უნარიანი ადამიანი ჰყავს.

პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია ქასანა, რომელსაც ახალგაზრდა შემსრულებელი გ. ჯერანოვი ასახაიერებს. მისი ქასანა ვაკაცურად შემართების ჭაბუკია, სიყვარულში სათუთი და მგრძობიარე, მსახიობი დამაპყრებელი გვიხატავს თავის გმირი.

ნარნარი ქლოშვილის აგუნდას როლს ასრულებს ბ. გუბიევა. იგი მორცხვი, მოგრძობებულია, მაგრამ სიყვარულის ძალა მოწოდებს განუდგეს ტრადიციებს. მზად არის სატრფოსათვის უარყოფს სიმიდებე და მის ღარიბ ქოხში ეზიაროს ბედნიერებას.

ნ. კულხვიევი ღრმად ჩასწვდა კულანათის წულიერ სამყაროს, შეიყნო მისი ბუნება და სიმართლით სურთვადგინა. სხვა როლებში გამორჩევიან ახალგაზრდა მსახიობები ს. გაბაევი (ხამბიბი), ვ. ჯაჯაევი (ზარემა), ჰ. ხუგაევი (მათაყო) და სხვები.

ნაყოფიერა ახალგაზრდა რეჟისორის რუბენ ჩეთითი მუშაობა თბილისის ოსურ სახალსო თეატრში. მისი დადგმები წარმატებით სარგებლობენ.



მოსწავლეთა გუნდი

# ენი ღილი

## პერსპექტივაში

ლეილა კაკაბაძე



მეყოფილებასა და სიხარულს განიცდი, როდესაც ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდა-დაოსტატების მოწმე ხდები. სწორედ ასეთი პროფესიული წინსვლა გვიჩვენა ზ. ფალაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა ძაღლები გამართულმა კონცერტმა.

ჩვენი საზოგადოებრივობა განხიზღიებულია ნიჭიერი მოზარდი შემსრულებლების კონცერტებით. იმდღევანდელი საღამო იმით გამოირჩეოდა, რომ წარმადეგნილი იყო მოსწავლეთა გუნდი და სიმფონიური ორკესტრი, რაც ესოდენ იშვიათია ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში. კონცერტმა ცხადყო, რომ მეორე მუსიკალურ სასწავლებელში მაღალ დონეზეა დაყენებული მოსწავლეთა სწავლა გუნდსა და სიმფონიურ ორკესტრში.

კონცერტის პირველი განყოფილება საგუნდო მუსიკას დაეთმო. მოსწავლეთა გუნდი, რომელიც ამაჟამად 49 წევრს აერთიანებს, რამდენიმე წლის წინ ჩამოყალიბდა. მისი შექმნით საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების მოწვევებს (რომლებიც გუნდის წევრებიც არიან და მისი ხელმძღვანელებიც) გუნდთან სისტემატური მუშაობის საშუალება მიეცათ. შესაძლებელი გახდა სერიოზული მხატვრული ამოცანების გადაჭრა. გასულ წლებში მოსწავლეთა დირიჟორობით გუნდმა შესარულა მოცარტის რეკვიემი, ნაწყვეტები შ. შ. შეფლიანის ორატორიიდან „კაჟასინო“, ა. ჩიპაქის კანტატა „ქართლის გული“, ქართულ და რუს კომპოზიტორთა მრავალი საგუნდო ნაწარმოები. ამაჟამდ მის პროგრამაში ცვლავ დიდი ადგილი დაეთმო თანამედროვე კომპოზიტორების ო. თაქაიშვილის, რ. ლალიის, ვ. ცაგარეიშვილის, შ. დავითაშვილის, ზ. კვერნაძის,

ო. თევდორაძის, ვ. შებაღინისა და ი. დუნაევსკის ქმნილებებს. შესრულებულ იქნა აგრეთვე ს. ტანევეის საგუნდო ნაწარმოები.

კონცერტმა გამოავლინა მოსწავლეთა გუნდის შემოქმედებითი ზრდა. ახალდა შესრულების ხარისხი, თუ გუნდი ადრეც საკმაოდ ხმაშეწყობილად და ინტონაციურად წმინდად გაიშლება, ახლა მისი უფროაღმა უზრაველბას იქცევს ხმების ორგანული შერწყმით, თავისუფალი, მოქნილი მოძრაობითა და ფერადობებით.

ცხადია, ასეთი წარმატებანი გუნდმა და მოსწავლე — დირიჟორებმა, მხოლოდ ნაგრძლივი შრომის შედეგად მოპოვეს. არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ საგუნდო საქმის ცნობილი სპეცილისტი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი გრ. კახა ნაძე, რომელიც წლების მანძილზე ნაყოფიერად ხელმძღვანელობს მეორე მუსიკალური სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებასა და მოსწავლეთა გუნდს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში მსმენელთა წინაშე წარსდგა მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრი ზ. ხაბუშაიანის ხელმძღვანელობით. დღემდე მაღალმანას ვიცნობდით, როგორც ჩველსუ დაპყრულ ორკესტრებს. მან კარგად გამოიყენა წლების მანძილზე ორკესტრის შემოხიოთი დატოვოლი ცოდნა, ახელში აიყვანა მოსწავლეთ-ორკესტრანტები და შეწირაჟდ ააქედრა ახალგაზრდა კოლექტივი. მათ შეასრულეს შებერტის „დაუმთავრებელი“ სიმფონიის პირველი ნაწილი, სულელუსის „ნაფლიანი“ ვალსი, შოტკაჟაიანის ფუგა შეასრულეს ორკესტრისათვის, ა. ბალანაიკის მესამე საფორტეპიანო კონცერტი, III კლასის მოსწავლე ი. ლინდარიშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ლ. ცხაიანის კლასი) ილდანას პრიოზო (ჩაიკოვსკის „იოლანტა“) შესაყოლა IV კლასის მოსწავლემ ვ. სოლოკომ (ბედგოგ ს. აბაშიძის კლასი). პროფესიული დონით უზრაველბა მიიქცია ორკესტრის სიმებამ ინსტრუმენტთა ჯგუფმა. შედარებით მჭრთლად გამოუყრებლა სასულდ ინსტრუმენტთა ჯგუფი, ვინაიდან ზოგიერთი შემსრულებელი ერთი წელიც არ არის, რაც მუსიკას სწავლობს.

მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრის ჩამოყალიბებამ კარგი პერსპექტივები დასახა. საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები მიიღებენ ორკესტრში დაკრის გამოცდილებას, რაც მათ მომავალში დიდ დახმარებას გაუწევს. სასწავლებლის ხელმძღვანელობის იმედ აქვს, რომ შემდგომში საუეთრო ორკესტრით გამოიაროს სიმფონიურ კონცერტებს.

მეორე მუსიკალური სასწავლებელში სიმფონიური და საგუნდო მუსიკის შემსრულებელთა აღზრდა უღაღად მოწონებას იმსახურებს და მიზანის ღირსია.

სიმფონიური ორკესტრი





თ. მერკვილაძე — სილვა („სილვა“)

## საოპერატო სენაწა

გიორგი ხარატიშვილი



ესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს თინათინ მერკვილაძეს ბევრი თავყვანისმცემელი ყავს არა მარტო თბილისში, არამედ ყველგან, სადაც კი ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი ყოფილა გასტროლებზე. თ. მერკვილაძე ადრევე შეუდგა სააპერო და წერილობით და მუშაობას, ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს თბილისის ვ. სარაჯიშვი-

ლის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ კლასში. 1954 წელს წარმატებით ამთავრებს კონსერვატორიას და ოპერეტას ირჩევს სასცენო მოღვაწეობისათვის. 1955 წელს თ. მერკვილაძე ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში მივიდა სრულიად გამოუცდელი, მაგრამ ხალასი ნიჭით და თვალსაჩინო ვოკალურ-აქტიურული მონაცემებით. მუსიკალობამ და რიტმის საუკეთესო შერქმობამ გაუადვილა მას დაუფლებოდა საოპერეტო ხელოვნების კიდევ ერთ აუცილებელ კომპონენტს — ცეკვას.

საოპერეტო ხელოვნება ასობოლი აღმოჩნდა თ. მერკვილაძის შემოქმედებითი ბუნებისათვის. სცენურმა გარეგნობამ, ტემპერამენტულმა არტისტულმა ბუნებამ და საქმისადმი სერიოზულმა დამოკიდებულებამ მალე დააწინაურა იგი ქართული ოპერეტის წამყვან მსახიობად.

1955 წლიდან დღემდე თ. მერკვილაძეს მუსიკალური კომედიის თეატრში შექმნილი აქვს 24 სხვადასხვა მსახიობის მხატვრული სახე. მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების ოპერეტებს. ჭრიჭინა (რ. გაბიჩავაძის „ჭრიჭინა“), ტასია (შ. აზმაიფარაშვილის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ფაიცა, დალი, თინა, რუსუდანი, ეთერი (შ. მილორავას „საყვარელი დისშვილი“, „დალი“, „სიმღერა თბილისზე“, „უცნაური სტუმრები“, „მხოლოდ შენ ერთს“, „მე და ჩემი მეზობლები“), ნანული და ლია (ა. კერესელიძის „სამი პატარალი“, „ალუბლები ყვავიანი“, ციური, ციციონ (ჯოჯავას „ორი ქალიშვილი“, „მეგაკრე“), ნანა და მზია (გ. ცაბაძის „შესანიშნავი სამეული“, „ტრფობის ბაღში“, ნანა (რ. ლალიძის „მეგობრები“), ქეთევანი (ნ. გუდიაშვილის „გახშამზე“), თამარი (ა. შავერზაშვილის „ალუბში“, თამილა (გ. ცაბაძის „მიყვარს ჩემი ქუჩა“) და სხვ. თითქმის ყველა მუსიკალური კომედია, რომელიც ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე შექმნეს ქართველმა კომპოზიტორებმა, ყოფილ თემაზე დაწერილი. მათში ასახულია ჩვენი ახალგაზრდობის საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება. ქალთა პერსონაჟები გადაწყვეტილია ლირიკულ პლანში თ. მერკვილაძე მრავალნაირი მხატვრული ფერებით ოსტატობით ქმნის თანამედროვე ქალთა სცენურ სახეებს, რომლებიც გვხვბლავენ რეალიზმითა და პოეტურობით.

მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივი ქართულ ორიგინალურ ოპერეტებთან ერთად დგამს საბჭოთა კომპოზიტორთა, ფრანგულ კლასიკურ და ვენის სკოლის ოპერეტებს. თ. მერკვილაძე ამ სპექტაკლებშიც წარმატებით მონაწილეობს ეს არის ნაზიკა (აივაზიანის „გვიან და ბედნიერად“), საფო (ალეივის „გაზაფხულის სიმღერა), ასია (ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“), სტელას ვოკალურად და დრამატულად ძლიერი როლი (დუნაესკის „ლალი ქარი“), რეგინა (ოფენბახის „პერრიკოლა“) და მექსიკურ ხალხურ მელოდიებზე აგებული მილიუტინის ოპერეტა „ჩანითხას კოცნა“, რომელიც სამართლიანად ითვლება საბჭოთა ოპერეტის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. თ. მერკვილაძე აქაც თავისუფლად ეუფლება ახალ ვოკალურ-სცენურ სახეებს, ყოველი მათგანისათვის პოულობს შესატყვის ინდივიდუალურ საშუალებებს, ღრმად წვდება მათ განცდათა სფეროს.

ელა პალინსკაისა და ნინონის როლებით მსახიობი პირველად ხვდება ი. კალმანის გმირთა რთულსა და საინტერესო პერსონაჟებს. ვენის სკოლის ოპერეტები გამოირჩევა მდიდარი ვოკალური მასალით, შთაფონებული არიებით, ქორეოგრაფიული ნორმებით, გამართული დრამატული დიალოგებით. მხოლოდ ნამდვილად სინთეტურ მსახიობს შესწევს ძალა თავისუფლად ფლობდეს სცენური გამომსახველობის ყველა საშუალებას. თ. მერკვილაძე არიიდან თავისუფლად გადადის მოხდენილ ცვაკზე, ცკვიიდან დრამატულად დაძაბულ სიტუაციაზე, ოსტატურად აერთიანებს მათ და ქმნის მთლიანსა და შთამბეჭდავ მხატვრულ სახეს.

დღეისათვის სილვას როლი ი. კალმანის ოპერეტაში „სილვა“ თ. მერკვილაძის შემოქმედების მწვერვალია. მსახიობი ამ როლით გვიხილავს გმირის რთული ფსიქოლოგიური სამყაროს დამაჯერებელი ვადმოცემით. „სილვა“ აგებულია ადამიანის მრავალფეროვან განცდებზე. ეს როლი ყველაზე მეტად მიუძღვა თ. მერკვილაძის არტისტულ ბუნებას, ცხადყოფს მისი ფართო შემოქმედებითი დაბაზონი. ყველაზე უფრო აქ იგრძობს მსახიობმა შემოქმედებითი სილალე. ნინონის სცენაში მისი სილვა პაეროვანი, მხარული და ბედნიერია. იგი ინიშნება ედვინზე, რომელიც გულწრფელად და გატაცებით უყვარს. მაგრამ არისტოკრატიული საზოგადოების მორალის კანონები ნებს არ აძლევს ახალგაზრდა თავადს ცოლად შეირთოს „ვარიეტეს ჩიტუნია“, და ამიტომაც დალატობს მას. თუმცა სილვა მოტყუებული და შეურაცხყოფილია, მაგრამ მაინც არ თვლის თავს დამარცხებულად. ედვინის შიშობლების თჯახში მოწყობილ მეკლისზე საჯაროდ აშხელს თავის ვინაობას, აცხადებს, რომ ის ვარიეტეს ცნობილი მომღერალია — სილვა ვარესუე. მსახიობი ამ სიტყვებს წარმოსთქვამს საკუთარი ღირსების ისეთი შეგნებით, რომ აშკარად ხდის ფუქსაგა და გამოყყყებულ არისტოკრატისთან შედარებით უბრალო ადამიანის მორალურ უპირატესობას. რევისორმა ამ სცენაში მსახიობს განვბო ჩააცვა შავი კაბა, რაც ტემპერამენტით და დრამატული ექსტაზით ჩატარებულ სცენას კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის. ეს სცენა სცილდება ოპერეტის ფარგლებს. ეს არის ნამდვილი დრამა, აღსავსე შინაგანი წვითა და ფსიქოლოგიური ექსპრესიით.

თ. მერკვილაძეს სცენური მოღვაწეობის მთელ მანძილზე ბევრი საინტერესო და ღირსშესანიშნავი სახეები შეუქმნია. არ მორბობდა არ აფხსნათ ხელოვნების ის მთავარი თვისება, რომელიც მასხიობი იმსახურებს მყუერების დიდ სიყვარულს და გულისხმიერებას. სცენის დიდი ოსტატის კ. სტანისლავსკის შეხედულებით „უმადლები ჯილდო, რომელსაც ბუნება ანიჭებს მსახიობს, ეს არის სცენური მომზიბველობა“. თ. მერკვილაძე სწორედ იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ბუნებამ უხვად დააჯილდოვა სცენური მომზიბველობით. არის როლები, რომლებიც მსახიობს არ აძლევს დიდი შემოქმედებითი გაქანების საშუალებას, დახვეწილი ტექნიკით და დიდი ოსტატობითაც ბევრს ვერაფერს შესძენს, მაგრამ თ. მერკვილაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ასეთ როლებშიც საინტერესოდ და მიმზიდველია.

„მონმარტრის იაში“, „ცირკის პრინესაში“ და „სილ-



სცენა სპექტაკლიდან „ალუბლები ჰყავიან“ — თ. მერკვილაძე, თეთფულე — ი. ვასაძე, სიპიტო — ი. კუთათულაძე

ვაში“ გვიჩვენებს საბჭოთა ოპერეტის უბადლო მსახიობები (ტ. ბაბი, კ. ნივოიკოვა, რ. ლაზარევა, ვ. ვლასოვა და სხვები), რომელთა ბრწყინვალე თამაშით მიღებული შთაბეჭდილება დღესაც ამდიდრებს ჩვენს სულიერ სამყაროს. თითქმის იყო საშინოროება ამ შთაბეჭდილების დაჯარგვის, გაფერმკრთალებისა. მაგრამ ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა. თ. მერკვილაძის ელა პალინსკაიამ, ნინონმა თუ სილვამ ისეთივე უსეთუტეო გუნდა მოგვანიჭა, როგორც ადრე სცენებელს მსახიობებმა. რა უფუთ თუ მერკვილაძე ჯერ კიდევ ვერ შეედრება მათ ტექნიკით, სამაგიეროდ იგი უფრო მაღლა დგას ვოკალური პარტიის მხრივ, ხავერდოვანი ტემპრით.

კლასიკური რეპერტუარიდან თ. მერკვილაძის მონაწილეობით თეატრმა წარმოადგინა ოფენბახის „პერიკოლა“ და კალმანის სამი პიესა — „ცირკის პრინესა“, „მონმარტრის ია“ და „სილვა“. მყუერებელი კმაყოფილი ამ სპექტაკლებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ თეატრმა მთლიანად შიიცი ვერ გამოიყენა თ. მერკვილაძის არტისტული შესაძლებლობანი.

რამდენიმე ხნის წინ თ. მერკვილაძემ საკონცერტო დადგამაში ჩინებულად შეასრულა ი. შტრაუსის ვალსების პოპური. ამით ცხადყოფს, რომ თეატრს ჰყავს ნიჭიერი მსახიობი, რომელიც შესძლებს „ვალსების მეფის“ ი. შტრაუსის ბრწყინვალე ოპერეტებში მონაწილეობას. ვფიქრობთ, თეატრის ნიჭიერი კოლექტივი თ. მერკვილაძის მონაწილეობით მთავარ როლი (როსალინდა) ღირსეულად დასძლევდა ი. შტრაუსის „დამურსას“.

თინათინ მერკვილაძე, როგორც მსახიობი, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია. იგი განაგრძობს ახალი გამომსახველობითი ზერხების ძიებას, მთელი ენერგიითა და მონდიომებით მუშაობს ვოკალური და აქტიორული ტექნიკის სრულყოფასა და დახვეწაზე. გვჯამს, რომ თ. მერკვილაძე კვლავ ბევრჯერ გაეგზავრება ახალი სცენური სახეებით.



# ქებლა ეპიქონა

ზაირა სტურუა



ქვივი დღეღათი შერქული კვლდები... და როგორც სიმბოლო ხელოვნებისა, ქართველი ქალის ფრესკული გამოსახულება... წვეთის წვეთის ჩამორეცხება ღაწვი, წინ კი მუსლმორეიკით მდგარი დიდი პოეტის შოთა რუსთაველი თავის უკვდავ მწილობას უძღვინის მიუღ ქართველ ერს, მიუღ საქართველოს... კომპოზიციის ზემოთ ძველთა დაცვის სახელადღობის სამკერდე ნიშანი-სიმბოლოა, ასე შესანიშნავად რომ გამოხატავს ძველთა შენარჩუნების იდეას.

ასეთია „მეღის მეგობრის“ მიექვქვე ნიშნის ყდა, რომელიც რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართველოს სახალხო

მხატვარს ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის. კრებული იხსნება რუბრიკით: „დიდი ჭარბიველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესათვის“, რომლის ქვეშ დაბეჭდილია არქიტექტურის კანდიდატის გივი გაფინრდაშვილის წერილი — „ვანის ქუჩის განძი“. წერილი გასული წლის ზაფხულში მოწოდებულ სპელესტიკური ექსპედიციის შედეგებს აშუქებს. ნაწილი ამ ექსპედიციის გამოკვლევას ნათელს აჭებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასა და მის ეპოქას.

კრებული ძირითადად ეძღვნება არქეოლოგიას. რუბრიკის ქვეშ „დაიცვათ არქეოლოგიური ძეგლები“ მკითხველს შეუძლია გვეყნის შემდეგ მასალებს: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ტარიელ ჩუბინიშვილის „ამირანის გორა“, გერმანე ძეგუჯიშვილის — „ძველი სამთავრო ძეგლები რაჭაში“ და იაზო კიკვიძის — „ურბნისის ადრეული ხანის ძეგლები“.

ტ. ჩუბინიშვილი გვაცნობს ამირანის გორის კულტურის შემქმნელი ტომების არიავლსაგურიან ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს და რელიგიურ წარმოდგენათა ამსახველ ნივთებს.

წარსლის დასასრულს ავტორი აყენებს წინადადებას, რომ აუცილებელია ამირანის გორის შესწავლისა და დაცვის მიზნით წამოწყებული საველე სამუშაოების უფრო მეტად გაშლა და გაფართოება.

გერმანე ძეგუჯიშვილის წერილში ლაპარაკია ძველ სამთავრო ძეგლებზე რაჭაში, რომლებიც გამოვლენილი იქნა 1960 წლის ზაფხულში ღებში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

ჯანაშიას სახელობის მუზეუმის თანამშრომლის ი. კვიციანის წერილი აღმოცავს უსაქართველოს ერთ-ერთ უძველეს ნაქალაქარს და დღეისათვის საქმიოდ ცნობით, ყველაზე ძველ ნასოფლარს — ურბნისს ეხება. აქ მოპოვებულია პირველ ურბნელთა მატერიალური და სულიერი ყოფის ამსახველი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა. წერილი — „ურბნისის ადრეული ხანის ძეგლები“ სწორედ ამ გათხრების შედეგებზე მოგვითხრობს.

ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლს — უჯარმას ეძღვნება ხელოვნებაშიცოდნობის დოქტორის, პროფესორ ირაკლი ციციშვილის წერილი. „უჯარმის ნაგებობათა ცხადი, ლაკონური და მეტყველი ფორმა და უნაკლო განხორციელება საფრეველს გვამღვებს ეს ციხე-ქალაქი მივავითვით ქართული არქიტექტურის იმ წინადა, ტექტონიკურ მისწრაფებათა ხანას, როდესაც იქმნება მცხეთის ჯვარი, წრიობი თუ სამწვერისი.

ციხე-ქალაქის საბრძოლო ნაგებობათა სისტემა მიხარცეცილებულია V-VI საუკუნეთა მიჯნაზე ერთობლივ გვიგობათა და

შესანიშნავი ჩანაფიქრით — წერს კრებულის ფურცლებზე პროფესორი ირაკლი ციციშვილი.

წერილის დასასრულს ავტორი აყენებს საკითხს — ძველს, რომლის უშუალო დაცვა და რესტავრაცია კულტურის სამინისტროს ძვალთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს ეკისრება, ვეროვანი ყურადღება მიექცეს.

ლ. რეუელიშვილის წერილი ეძღვნება თვალის ბურჯს, რომელიც ბატონის ციხის აღმოსავლეთით მდებარეობს.

XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოგზაურები და თვალის სიძველეთა მკვლევარი ბურჯს იცნობენ, როგორც არტოლოგიისთვის განკუთვნილ სპეციალურ ნაგებობას — „მატარას“. თვით მოწმენი არიან იმისა, რომ მასზედ იდგა საკმაოდ დიდი ზარბაზნი. საფიქრლოა, თვალში ზარბაზნის ბურჯის საკითხება ქალაქის თავდაცვითი ბრძოლის პრაქტიკაში წარმოქმნა. რაც უშუალოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ახალ სტრატეგიულ ამოცანებთან.

რუბრიკის ქვეშ — „რაიონებიდან გვეყრენ“ დაბეჭდილია ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მიადილოის, ისტ. მეცნ. კანდიდატის მიხეილ ნიკოლაიშვილის წერილი — „მშენებ ყვავილის ისტორიული ძეგლების“, გვექცეორის რაისაბჭოს თავმჯდომარის გივი ელიაძის — „ტყვირის ეკლესია“ და ისტ. მეცნიერებათა კანდიდატის „ლუპანდრი მიტავას“ სქურის ხეობის ძეგლები“.

რუბრიკის ქვეშ — „კულტურის ძეგლთა მცველნი და მოამაგენი“ დაბეჭდილია ფოტორეპორტაჟი სათაურით — „ურბნისის ამავდარი“. ამ წერილში ლაპარაკია სტამბის მუზეუმზე — ასოთამწყობებზე, ტექნიკურ მუშაობებზე, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კრებულ „ძეგლის მეგობრის“ გამოცემაზე.

ქრონიკის განყოფილებაში თვითხველს შეუძლია გავცნოს ნ. თუმეშვილის წერილი — „კულტურის ძეგლების პრომადანის ახალი კერა თეთრწყაროში“, რომელიც აქ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის გახსნას გვამცნობს.

„ჩვენი გამოცემების თარი“ — ასე ჰქვია კრებულის რუბრიკას, რომელიც საზოგადოების მიერ გამოცემული ლიტერატურა დასახელებული ილუსტრაციებით. ყურადღობი მოთავსებულ თვითხველ წერილთა ახლავს კარგად შესრულებული ფოტოები. კრებულში, რომელიც გამოცემითაა გაფორმებული, იხსნება ფერადი ფოტოილუსტრაციით — „ბიჭვინთის მოსაიკა“.

კრებულის მთავარი რედაქტორია ითარი თათკაიშვილი, მორიგი რედაქტორი — პროფესორი ანდრია ავაქიძე. გამოცემას დართული აქვს რეზიუმე რუსულ ენაზე.

ერთ-ერთი მათგანია ეროვნულობის მარადიული პრობლემა, რომელიც დღეს მუსიკაში განსაკუთრებული სიმწვავეით და აქტუალობით წამოიჭრა.

ახლახან საბჭოთა კომპოზიტორთა მორიგ პლენუმზე მოსკოვში, კვლავ დადგა თანამედროვე მუსიკის პრობლემები. მრავალნაირი, მრავალფეროვანი მუსიკა აქვდებოდა კონცერტებზე, რასაც ლაპარაკი, მსჯელობა, საინტერესო დისკუსია მოჰყვა.

პლენუმში მასშტაბური იყო, მან გამოავლინა თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების განვითარების ახალი გზები და გზაჯვარედინები.

თუ ხელოვანის მიზანია თავისი შემოქმედებით ხალხს მისართოს და უანდერძოს იგი მომავალ თაობებს, ეროვნულობის პრობლემა მისთვის იქცევა ერთ-ერთ ძირითად შემოქმედებით პრინციპად, რადგანაც ვერავითარ ექსპერიმენტირებას, ყველაზე ნიჭიერსა და ნოვატორულსაც კი, ეროვნული ნიდადგის გარეშე დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ეროვნული საწყისის ნიველირება ხელოვნებას დაღუპვის გზაზე აყენებს. ამას თანამედროვე მუსიკის ყველაზე დიდი ავტორიტეტები აღიარებენ, და ეს თვით მუსიკალურმა ისტორიამ დაადასტურა.

თანამედროვე დასავლეთის გამოჩენილმა კომპოზიტორებმა (რომლებითაც ამჟამად ასე გატაცებული არიან ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორები), თავის დროზე განიცადეს „ახალგაზრდული გატაცებისა და შედეგების პერიოდი“, როდესაც დოდეკაფონური, სერიული და სხვა ულტრამოდერნისტული სისტემები და მიმართულებები აღიარებული იყო ხელოვნების უმაღლეს იდეალად, როდესაც ტრადიციების ყოველგვარი უარყოფა საღებოდა, როგორც ნოვატორობა, როდესაც ბატონობდა ერთადერთი სურვილი — არავის არ დამსგავსებოდნენ არაფერში.

მაგრამ, ბოლოს არც ერთი არ მოსწყდა ეროვნულ საფუძველს. თვითეული მათგანი შემოქმედებითი სიმწიფის წლებში თავისი მშობლიური კულტურის მტკიცე და პრინციპული ქადაგი გახდა.

ასე რომ არ ყოფილიყო, ბარტოკი და ბრიტენი, ორფი და ონეგერი, ბულნეკი და გერშვინი, ბენესტაინი და ხინდემიტი, შენბერგი, ვისლერი, სტრავენსკი ვერასოდეს ვერ აპოინდინენ გზას მსმენელამდე, ვერ გახდებოდნენ პოპულარული იმ ჭეშმარიტი პოპულარულობით, რომელიც მხოლოდ ნამდვილი შემოქმედის ხედვრია.

ასე რომ არ ყოფილიყო, მათი მუსიკა ისევე მიეცემოდა დავიწყებას, როგორც ბევრი სხვისა, რომელთათვის ექსპერიმენტირება თვითმიზნად იქცა.

ბრიტენი ასე ნოვატორულად ვერასოდეს ვერ გაიაზრებდა საოპერო ფორმას, ვერ მოახდენდა მის რეფორმირებას, მთელი მისი შემოქმედება რომ არ დაყრდნობოდა ინგლისური რეალისტური თეატრის უძველეს ტრადიციებს, ქუჩურ თეატრალისებურ წარმოდგენებსა და კომედიურ-სატირულ ხალხურ „ღარიბთა ოპერას“.

ბრიტენის ოპერა „პიტერ-გრამისიდან“ „სიხმარის ზაფხულის დამემდე“ დიდი შემოქმედის დიდი გზაა. ეს ოპერები სრულიად საწინააღმდეგო პოლუსზე დგას, მაგრამ პირველის

## გზები და

## გზაჯვარედინები

მირა ფიჩხაძე



ანამედროვე მუსიკაში, ისევე როგორც ლიტერატურაში, თეატრსა თუ მხატვრობაში ვხვდებით მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც ხშირად ცვლიან ჩვენს წარმოდგენას და დამოკიდებულებასაც კი ხელოვნების დაკანონებული ნორმებისადმი.

ეს სავესებით კანონზომიერია: ცხოვრება მუდამ წინ მიდის. მაგრამ ესოდენ უზარმაზარი ნაბიჯებით, ამგვარი ნახტომებით იგი არასოდეს არ მიმართულა მომავლისაკენ.

დიახ, კანონზომიერია მოვლენები, ახალი გზები, მაგრამ მაინც არსებობს ხელოვნებაში ურყევი პრინციპები და კანონები, რომლებიც განაპირობებენ მის სიცხველესა და მომავალს.

რეალიზში, მეორის ჯალდონური სიღამაზე და ფანტასტიკა ხალხური თავისი საწყისებით.

დასავლეთ ევროპის თანამედროვე მუსიკის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა ისეთი პერიოდები, როდესაც ბრძოლა გამომუცხადებით რეალიზმის მაღალი დიქალების წინააღმდეგ. ახალგაზრდობა გზაჯვარედინზე მდგარა, დაავადებული ყოფილა „ღირებულებათა გადაფასების“ ციურტყელებით. „ახალი ჭეშმარიტების“ მაძიებელი არაფერზე არ აგებდნენ პაუსუსს.

